საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№39 (368)
26 ოქტომბერი - 1 ნოემბერი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## უკრაინაში პროსტიტუციისა და ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებას 15 ბეგმავენ






**ბიძინა ივანიშვილი:** წინა ხელისუფლების უგუნური ქმედებებისგან ჩიხში შევედით. ჩვენ ვიქნებით ძალიან პრინციპული და დარწმუნებული ვარ, ნაბიჯ-ნაბიჯ დავალაგებთ ურთიერთობას რუსეთთან.
ოქტომბერი, 2013 წ.

**გია ვოლსკი:** 5

## ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს კორექტირება არ სჭირდება

ოქტომბერი, 2016 წ.



## «თურქეთი თავს ბათუმის ოლქის სიუზერენად მიიჩნევს» 9

„თურქეთის შემადგენლობაში ბათუმის ყოფნის სურვილი რომელიმე თურქ პოლიტიკოსს, პუბლიცისტს ან პოლიტოლოგს რომ გამოეთქვა, ეს კიდევ შეიძლება მოსათმენი ყოფილიყო, მაგრამ, როცა ამას ამბობს თურქეთის პრეზიდენტი, უკვე საკმაოდ დამაფიქრებელ მოვლენასთან გვაქვს საქმე“.

## რამ მოკლა რომის პაპის თანმხლები ეპისკოპოსი 2

## «დღე არ გავიდოდა, ციხიდან ერთი-ორი მიცვალებული მაინც არ გაესვენებინათ» 6

„ექთანი შემოიყვანეს, რომელმაც ჩემ თვალწინ გატეხა ერთი აბი შუაზე და ერთ ნაწილზე ამბობდა, ეს გულის წამალიაო, მეორე ნაწილზე კი — წნევის წამალიო და ასე „უმკურნალა“ პატიმარს“

## «ბავშვი ტყუილუბრალოდ მოკლეს და მერე იარაღი ჩაუდეს» 7

«გამოდის მინისტრი და ამბობს, გუშაგი კანონის დაცვით მოქმედებდაო. როგორ მოქმედებდა კანონის დაცვით, როცა ადამიანს ბაზიდან 30 მეტრში ესროლა დამიზნებით? რა უფლება ჰქონდა, ბაზის გარეთ გაესროლა? ჯერ ერთი, ნებისმიერი მოქალაქე, გამვლელი შეიძლებოდა იქ ყოფილიყო და მეორეც, რა აუცილებლობა იყო გასროლის? წინააღმდეგობას უწევდნენ, ესროდნენ საპასუხოდ თუ ვინმე რამე საფრთხეს უქმნიდა?»



## ალასანიას ნამსხვრევები «ქართულმა ოცნებამ» «შეიხვეტა» 2

## 8 ოქტომბრის არჩევნებიდან ორი კვირის თავზე ეროვნული უშიშროების საბჭო სააკაშვილის რეჟიმისდროინდელ მოხელეს ჩააბარეს 3



## ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ 12



როგორ შეიძლება, მგელი და კრავი «სტრატეგიული პარტნიორები» იყვნენ?!

## მელია «ნაცმოძრაობიდან» უგულავას კადრებს ყრის 2

საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ელიმინაციის პროგრამა იქამდე გაგრძელდება, სანამ ბოლო პაციენტს არ ჩაუტარდება მკურნალობა



**C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს ჯგუფის მეორე შეხვედრა გაიმართა.** როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა **დავით სერგეენკომ** განაცხადა, პროექტი წარმატებით მიმდინარეობს და მნიშვნელოვნად იზრდება იმ პაციენტების რაოდენობა, რომლებსაც ეძლევათ პროექტში ჩართვის შესაძლებლობა. „ჩვენ მოგვეცა საშუალება, რომ ჩართულობის კრიტერიუმი მოგვეხსნა და ნებისმიერმა, ვინც გაივლის შესაბამის კვლევებს, მიიღოს ეს მკურნალობა. შედარებისთვის, თუ შარშან თვის განმავლობაში პროექტში შეგვეძლო 700-800 პაციენტის ჩართვა, დღეს ავედით 5000-ზე და ეს ბოლო არ არის“, — განაცხადა სერგეენკომ.





## ალასანიას ნამსხვრევები «ქართულმა ოცნებამ» «შეიხვეტა»

**ყოფილი „თავისუფალი დემოკრატები“ მხარდაჭერას „ქართულ ოცნებას“ უცხადებენ. ერთობლივ პრესკონფერენციაზე დავით ონოფრიშვილმა, ზურაბ აბაშიძემ და გია ცაგარეიშვილმა თავიანთ ამომრჩეველს მოუწოდს, მეორე ტურში მხარი დაუჭირონ „ქართული ოცნების“ კანდიდატებს.**

„ალტერნატივა არ არსებობს და ჩემს მხარდამჭერებს, თანამოაზრეებს მოგიწოდებთ, მხარი დაუჭიროთ „ქართული ოცნების“ კანდიდატებს, რადგან ჩემთვის მიუღებელია, რა მიზეზითაც ან რა საფუძველზე შეიძლება მხარი არ დაეჭიროს „ქართულ ოცნებას“, როდესაც ჩვენ, ყველამ ერთად, 2012 წელს მივიღეთ ის გადაწყვეტილება, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სამუდამოდ უნდა წასულიყო ოპოზიციაში და შეიძლება, პოლიტიკიდანაც,“ — განაცხადა დავით ონოფრიშვილმა. არსებული პროგნოზები იმაზე მალე გამართლდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ირაკლი ალასანიას პარტია დაიშალა და, როგორც ჩანს, მის ნამსხვრევებს ისევ „ქართული ოცნება“ „შეიხვეტავს“.



## მელია «ნაცმოძრაობიდან» უგულავას კადრებს ყრის

**„ნაციონალური მოძრაობიდან“ გარიცხეს ქეთი ქოჩორაშვილი, რომელიც თბილისის საკრებულოში ირაკლი აბესაძის ნაცვლად უნდა შესულიყო.**

როგორც ქოჩორაშვილი ამბობს, პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ნიკა მელიამ, ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო და თბილისის საკრებულოს წევრობა, მას კი არა, დავით ავალიანს „უბოძა“. ქოჩორაშვილის განცხადების თანახმად, მას მელია საკმაოდ „კონფლიქტური ტონით“ ელაპარაკებოდა და პარტიული თათბირიც დაატოვებინა. თბილისის საკრებულოში ადგილი გათავისუფლდა და ირაკლი აბესაძის ადგილი უნდა დაეკავებინა ქეთი ქოჩორაშვილს, რადგან 2014 წელს, ცესკო-სთვის გადაცემულ სიაში მისი გვარი ეწერა. გარდა ამისა, ეს ქალთა კვოტითაც იყო განპირობებული. ნიკა მელიამ საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დაფინანსება იმის გამო მიიღო, რომ საკრებულოს ყოველი მესამე კანდიდატი ქალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მან ეს პირობაც დაარღვია და ყოფილ თანაგუნდელს განუცხადა, რომ საკრებულოში შესვლაზე უარი უნდა ეთქვა, რადგან ეს პოზიცია დათო ავალიანისთვის სჭირდებოდა. მელიამ თავისი გადაწყვეტილება იმით განმარტა, რომ დათო ავალიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული და მხოლოდ საკრებულოს წევრობა დაიცავდა — მისი დაკავება უფრო გართულდებოდა, ვიდრე პარტიის რიგითი წევრის.



## მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის თქმა ბრძოლაზე უარის თქმას არ ნიშნავს

**სანდრა რულოვსმა არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. იგი მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის თქმის გამო გამოთქმულ შეფასებებს ეხმაურება.**



„არაერთგვაროვანი რეაქცია და არაჯანსაღი სპეკულაციები მოჰყვა ჩემს განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ არ ვაპირებ არჩევნების მეორე ტურში ივანიშვილის მიერ ჩემ წინააღმდეგ დაგეგმილ ფარსში მონაწილეობას. პარტიისთვის ჩემი ამ გადაწყვეტილების შესახებ ჯერ კიდევ 11 ოქტომბრიდან იყო ცნობილი, როცა ეს გადაწყვეტილება გავაცანი ენმ-ის პოლიტსაბჭოს, დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატების თანდასწრებით. ზუგდიდის რაიონში ჩემთვის პირველი ტური ჯერ არ დამთავრებულა. ნებისმიერი მინიშნება იმაზე, რომ ეს არ იყო ჩემი პირადი გადაწყვეტილება, ღრმად შეურაცხმყოფელია ჩემთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის და, რაც მთავარია, როგორც ქალისთვის. ასეთი აზროვნება და ქალი პოლიტიკოსის მიმართ ასეთი დამოკიდებულება შეუსაბამოა “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ღირებულებებთან. მე მგონი ნათელია, რომ ჩემს მეუღლეს არ სჭირდება ჩემი მეშვეობით თავისი პოზიციის გახმოვანება. ბანალობაა იმის მტკიცება, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, ეს მარტივი ჭეშმარიტებაა და ძალიან ცდება ყველა, ვინც ცდილობს ისე წარმოაჩინოს საქმე, თითქოს მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი ბრძოლაზე უარს ნიშნავს. ჩვენი ბრძოლის მიზანი არაფორმალური მმართველის, რუსი ოლიგარქის დამარცხებაა და ეს აუცილებლად მოხდება იმაზე მალე, ვიდრე ბევრს ჰგონია“, — განაცხადა სანდრა რულოვსმა.

იმ შემთხვევაში, თუ სანდრა რულოვსი არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებს, მისი მონაცემები ბიულეტენში მაინც შეტანილი იქნება. კანონმდებლობით, არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობს ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი და მათი ჩანაცვლება მესამე ან მეოთხე ადგილზე მყოფი კანდიდატით არ ხდება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **გივი თარგამაძე** სანდრა რულოვსის გადაწყვეტილებას, მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი თქვას, მიუღებელს უწოდებს. „სამწუხაროა, ის აზიანებს მეორე ტურების კამპანიას და, ბუნებრივია, ჩვენ ვიცოდით, რომ ივანიშვილი დაგვიპირისპირებდა დაშინებას, მანიპულაციას. მაგრამ ის, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, ეს მარნეულის ამომრჩეველმა დაადასტურა. პარლამენტში შევა თუ არა სანდრა, ეს მისი გადასაწყეტია“, — განაცხადა თარგამაძემ. მის თვალსაზრისს იზიარებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები **სერგო რატიანი** და **ნიკა მელია**. „არ არის ლამაზი ჟესტი, რაც მან გააკეთა. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ბრძოლაზე ვთქვათ უარი“, — თქვა ნიკა მელიამ. **რომან გოცირიძე** კი ამბობს, რომ ეს არის სანდრა რულოვსის პირადი გადაწყვეტილება, თუმცა მათი მიზანი საერთო რჩება და პარტია განაგრძობს ბრძოლას მეორე ტურებში.

პარლამენტის ვიცესპიკერის — **მანანა კობახიძის** განცხადებით, „კანდიდატურის მოხსნა, პრაქტიკულად, დამარცხების აღიარებაა. ვფიქრობ, ეს სააკაშვილის დავალებით არის გაკეთებული, რადგან ის პოლიტიკაში, როგორც სააკაშვილის პროექტი, ისე შემოვიდა და ყოფილი პრეზიდენტის გარეშე გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული. დანარჩენი შიდა პარტიული საქმეა, ნაკლებად საინტერესო“.

## HOLIDAY INN-ის ნომერში კანადელი ეპისკოპოსი გარდაცვლილი იპოვეს — გარემოება, რომელსაც აქამდე არ ასაჯაროებდნენ

**რამდენიმე კვირის წინათ საქართველოს რომის პაპი სტუმრობდა. პონტიფიკოსთან ერთად, თბილისში კათოლიკური სამყაროს სხვა მაღალი რანგის სასულიერო პირებიც ჩამოვიდნენ, მათ შორის გახლდათ კანადელი ეპისკოპოსი, ასურელთა ეპარქიის საპატიო ხელმძღვანელი ჰანნა ზორა, — იუწყება გაზეთი „პრაიმ ტაიმი“.**



77 წლის სასულიერო პირი რომის პაპის ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებსაც დაესწრო. დელეგაციის წევრები, ძირითადად, სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში დაბინავდნენ, 2 ოქტომბერს კი ეპისკოპოსი **ჰანნა ზორა** თავის ნომერში გარდაცვლილი იპოვეს. „ადმინისტრაციამ კატეგორიულად გაგვაფრთხილა, რომ ის, რაც მოხდა, გარეთ არ უნდა გასულიყო. მთელი კრიმინალური პოლიცია აქ იყო იმ დღეს. ვატიკანის უსაფრთხოების სამსახურის მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარდა ყველანაირი საგამოძიებო მოქმედება. მათი მოთხოვნა ყოფილა, რომ ეს ამბავი არ გახმაურებულიყო. ამის შესახებ კატეგორიულად გააფრთხილეს სასტუმროს უსაფრთხოების სამსახურიც“, — განაცხადა სასტუმროს თანამშრომელმა.




სხვა მაღალი რანგის სასულიერო პირების განცხადებით, ეპისკოპოსი მძიმედ იყო ავად და ურჩევდნენ კიდეც, რომ არ წამოსულიყო თბილისში. ეროვნულ სტადიონზე რომის პაპის მიერ აღვლენილ მესაზეც გამხდარა ცუდად. ცხედარი პირველად დამლაგებელმა იპოვა. ოთახი სისხლით იყო მოთხვრილი, სავარაუდოდ, მწვავე სისხლდენის შედეგად ეპისკოპოსმა ბევრი სისხლი დაკარგა, რამაც საბოლოოდ მიიყვანა იგი გარდაცვალებამდე. ამ ფაქტის შეფასებისას ყურადღებას იქცევს ორი გარემოება: პირველი — მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტი 2 ოქტომბერს მოხდა, მასმედიაში არ გაუხმაურებიათ, რაც, თავის მხრივ, საეჭვოს ხდის მომხდარს. მეორე — რატომ არ გამოიძახა დახმარება ეპისკოპოსმა ნომერში შეუძლოდ გახდომისთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იგი მთელი დღის განმავლობაში თავს შეუძლოდ გრძნობდა და რატომ ვერ შეძლო მისმა დამხმარე პერსონალმა ოპერატიული რეაგირება მომხდარზე? მოარულ ხმებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ეს გარემოებები საეჭვოს ხდის ეპისკოპოსის გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიას, რომ კათოლიკური ეკლესიის მაღალი რანგის სასულიერო პირის სიკვდილი კუჭის დაავადების გამწვავებამ გამოიწვია და შეგნებულად არ საუბრობენ სისხლდენის მიზეზებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, სასტუმროს ადმინისტრაციამ მკაცრად აუკრძალა თანამშრომლებს მომხდარზე საუბარი.

**ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი სერიოზული დაწესებულება ჩანს, ხომ? საიდუმლო ინფორმაცია, განსაკუთრებული მნიშვნელობა და ა. შ. ასეთ აპარატს ვინმე ნდობით აღჭურვილმა და ღირსეულმა პირმა უნდა უხელმძღვანელოს, არა? მისმა არც წარსულმა და არც ახლანდელმა საქმიანობამ არავითარი ეჭვი არ უნდა აღგვიძრას, ხომ? ამაზე, იმედია, ვთანხმდებით, მაგრამ გაირკვა, რომ „ოცნებაში“ ასე არ ფიქრობენ. ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ კაი ალპინისტი კაცი მონახეს და ეს თანამდებობა უბოძეს. დიახ, პრეზიდენტ მარგველაშვილის განცხადებით, რაქვიაშვილი კარგი ალპინისტია და ეს მის პიროვნებაზე ბევრს გვეუბნება.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 8 ოქტომბრის არჩევნებიდან ორი კვირის თავზე ეროვნული უშიშროების საბჭო სააკაშვილის რეჟიმისდროინდელ მოხელეს ჩააბარეს

**არჩევნები დასრულდა და დადგა დრო, ყველა პოლიტიკოსი თავის ტყავში დაბრუნდეს. აღარავინ გამოვა და გაეცნობა ხალხის პრობლემებს, აღარც კრავის თვალებით დაიწყებენ თავიანთი უმწიკვლობის მტკიცებას სატელევიზიო ეთერში. და მთავარი — აღარც „ოცნება“ დაიწყებს ლაპარაკს, რა საზიზღრები არიან ნაციონალები და ხელახლა დაპროგრამდებიან კოაბიტაციაზე.**



გახსოვთ, რა გვესმოდა მთელი წინასარჩევნო კამპანიის განმავლობაში „ქართული ოცნებისგან“ და კონკრეტულად ივანიშვილისგან? — „ცხრა წელი“, „ცოცხები“, „ესენი არ უნდა დავაბრუნოთ“, „უნდა დავასამართოთ“... მოკლედ, „ნაცმოძრაობაზე“ უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე საკუთარ თავზე. ხალხს ყოველ წამს ახსენებდნენ, როგორი უნამუსო, უსირცხვილო, ტირანი და სისხლისმსმელია თითოეული ნაცი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სერიალიც კი გადაიღეს, მაგრამ, ალბათ, არ იციან, სიტყვას რომ იტყვი, უკან ველარ წაიღებ.

დამთავრდა არჩევნები. გაიმარჯვა „ოცნებამ“. ხალხს უხარია, ზოგს ისიც კი სჯერა, რომ ნაცები მართლა დაასამარეს და საბოლოოდ მოიშორეს თავიდან. **თარხან-მოურავიშვილიც** კი შევიდნენ პარლამენტში. თითქოს ყველაფერი კარგად არის, მაგრამ უცებ მოწმენდილ ცაზე მეხივარდება და იმ პარტიისა და პირადად იმ კაცის მიერ „დასმული“ პრეზიდენტი ამბობს, რომ **დავით რაქვიაშვილი** ხდება უშიშროების საბჭოს მდივანი. მოკლედ, ვინც არ იცის, მათთვის ორ რამეს განვმარტავ:

**პირველი** — „ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი“ არის საიდუმლო ინფორმაციაზე მომუშავე განსაკუთრებული მნიშვნელობისა და რეჟიმის დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობის ინფორმაციულ-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი სერიოზული დაწესებულება ჩანს, ხომ? საიდუმლო ინფორმაცია, განსაკუთრებული მნიშვნელობა და ა. შ. ასეთ აპარატს ვინმე ნდობით აღჭურვილმა და ღირსეულმა პირმა უნდა უხელმძღვანელოს, არა? მისმა არც წარსულმა და არც ახლანდელმა საქმიანობამ არავითარი ეჭვი არ უნდა აღგვიძრას, ხომ? ამაზე, იმედია, ვთანხმდებით, მაგრამ გაირკვა, რომ „ოცნებაში“ ასე არ ფიქრობენ. ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ კაი ალპინისტი კაცი მონახეს და ეს თანამდებობა უბოძეს. დიახ, პრეზიდენტ **მარგველაშვილის** განცხადებით, რაქვიაშვილი კარგი ალპინისტია და ეს მის პიროვნებაზე ბევრს გვეუბნება. ალბათ, ვინც **კალაძე** დანიშნა ენერგეტიკის მინისტრად, ის დაიხმარეს შერჩევის პროცესში.

ახლა მეორე განმარტება — **ვინ არის ეს რაქვიაშვილი?**

ერთ-ერთი ცნობა, რომელიც შემხვდა, 2011 წელს პრეზიდენტისადმი მიწერილ ღია წერილშია, სადაც უსამართლობით შეწუხებული მხარის მიერ დავით რაქვიაშვილი მოხსენიებულია შემდეგნაირად:

**„ბატონო პრეზიდენტო! ჩვენ კანონიერების აღდგენის მიზნით მივმართეთ სასამართლოს, მათ კი — საბუთების გაყალბებას, რაშიც მათ ეხმარება საჯარო რეესტრის ამჟამინდელი ხელმძღვანელი დავით რაქვიაშვილი“.**

> **საქმე იქით მიდის, რომ, თუ «ნაციონალური მოძრაობის» მოშორება გვინდა ქართული პოლიტიკიდან, ჯერ «ქართული ოცნება» უნდა მოვიშოროთ**

აქ საქმე ქონების არაკანონიერად ჩამორთმევასა და გამოსახლებას ეხებოდა და 2004 წლის ისტორიაა აღწერილი.

როგორც ირკვევა, რაქვიაშვილი შევარდნაძის მთავრობაშიც იყო და სააკაშვილის ნავშიც გადაბრძანდა, სადაც საბუთების გაყალბებას მიჰყო ხელი. უშიშროების საბჭოს მდივნობის შესაფერისი კანდიდატი ჩანს ხომ? ყოფილი „ნაშევარდნაძალი“ ცოტა ხანში სააკაშვილის მთავრობაში ვიხილეთ. 2008-2010 წლებში იყო რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, 2010-2013 წლებში — საქართელოს დესპანი აშშ-ში.

დავტოვოთ ეს რაქვიაშვილი, სადაც არის, და ისევ „ოცნებას“ მივუბრუნდეთ. ხალხი შეიძლება ერთხელ მოატყუოთ, მაგრამ ერთი და იმავე ტყუილის გამეორება უსინდისობის ახალი საფეხურია. ორი წელია, ამომრჩეველთა მხარდაჭერას იმით მოიპოვებენ, რომ წინასაარჩევნოდ ადამიანებს ჰპირდებიან: საბოლოოდ აღვკვეთთ „ნაცმოძრაობის“ გადმონაშთებს, ამოვძირკვავთ, დავასამარებთ და ასე შემდეგ. მაგრამ **8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან ორ კვირის შემდეგ სააკაშვილის რეჟიმისდროინდელ მოხელეს ჩააბარეს ისეთი მნიშვნელოვანი პოსტი, როგორიც ეროვნული უშიშროების საბჭოა.**

„ნაცმოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა დებატებისას ყველა „მეოცნებე“ გულში ცეცხლანთებული შურისმაძიებელივით ლაპარაკობდა. იმ მომენტში, ალბათ, თვითონაც სჯეროდათ საკუთარი თავის. **კახა კალაძის** ნათქვამი მახენდება „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტის მიმართ: „სარკეში ჩაიხედეთ და საკუთარ თავს შეხედეთ, რას დაემსგავსეთ!“

**ბატონო კახა, ახლა თქვენ და თქვენმა გუნდმა ჩაიხედეთ სარკეში და ნახეთ, რას დაემსგავსეთ!**

სისულელეებს აკეთებს „ოცნება“, ხალხს ნაცარს აყრის თვალში და შემდეგ ამ საქციელზე ძალიან ინტელექტუალი პრეზიდენტი გამოდის და ისე ლაპარაკობს, ვითომც არაფერი. ნამდვილი ცირკია!

უკვე მერამდენე ნაციონალია საპასუხისმგებლო პოსტზე? როდის უნდა შეწყდეს ეს ყველაფერი? საქმე იქით მიდის, რომ, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ მოშორება გვინდა ქართული პოლიტიკიდან, ჯერ „ქართული ოცნება“ უნდა მოვიშოროთ. სწორედ ისინი ამარაგებენ დღეს მთავრობას ყოფილი, მსხვილ-მსხვილი ნაციონალებით...

**ვახტანგ დავითაშვილი**

# თსუ-ში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები დაინიშნა



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები 25 ნოემბერს გაიმართება.**

თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის — **ბახვა კვირიკაშვილის** განცხადებით, „სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები მაისში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების გამო არჩევნების თარიღმა გადაიწია. თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულების თანახმად, არჩევნების გადავადება შესაძლებელია 6 თვით. სწორედ ამიტომ შეირჩა 25 ნოემბერი არჩევნების დღედ“. თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მოუწოდა, დააკვირდნენ საარჩევნო პროცესს. სტუდენტური ორგანიზაცია „აუდიტორია 115“ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებს უნდობლობას უცხადებს. მისი წევრები ამბობენ, რომ არჩევნებამდე განათლების შესახებ კანონში ცვლილებები უნდა განხორციელდეს. არჩევნების შემდეგ თვითმმართველობაში დელეგატთა რაოდენობა 120-დან 140-მდე გაიზრდება. ცვლილებები არ შევა თვითმმართველობის წევრების არჩევის წესში, მაგრამ სიახლეა მისი წარმომადგენლობითი ორგანოს — საფაკულტეტო საბჭოს დაკომპლექტებაში, რომელშიც, სტუდენტების გარდა, პროფესურაც შედის. თუ აქამდე თვითმმართველობიდან საფაკულტეტო საბჭოში გადასასვლელად კიდევ ერთი შესარჩევი ეტაპი იყო საჭირო, ეს ბარიერი მოიხსნება და საუკეთესო შედეგის მქონე პირველი 4 სტუდენტი საბჭოში პირდაპირ შევა.



# «კრწანისის» სასწავლო ცენტრზე «თავდასხმის» დეტალები

**23 ოქტომბერს, ღამით, დაახლოებით, 03 საათსა 30 წუთზე, გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისში ტრაგიკული შემთხვევა მოხდა.**



„კრწანისის“ სასწავლო ცენტრის ავტოპარკის ტერიტორიაზე გუშაგმა, რომელიც სადღეღამისო განაწესში იმყოფებოდა, უცხო პირები შენიშნა. თავდაცვის სამინისტროს მტკიცებით, ეს ადამიანები არათუ დაემორჩილნენ გუშაგის რამდენიმე მოთხოვნას, პირიქით — სამხედრო პირს ცეცხლმაქრი ესროლეს. საპასუხოდ, გუშაგმა ცეცხლი გახსნა, რის შემდეგაც თავდამსხმელები მიიმალნენ. გამთენიისას, ცენტრის მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერებისას, სამხედრო პოლიციამ იპოვა 23 წლის **გიგა შენგელიას** გვამი, რომელიც სოფელ ჯიხაშკარის მკვიდრი იყო და ოჯახთან ერთად ზუგდიდში, კომბინატის დასახლებაში ცხოვრობდა.

სამხედრო პოლიციის ინფორმაციით, გვამი შემთხვევის ადგილიდან 300 მეტრის მოშორებით იპოვეს. 25 ოქტომბერს თავდაცვის მინისტრმა **ლევან იზორიამ** დააზუსტა, რომ ცხედარი და მასთან ერთად იარაღი „კრწანისის“ ცენტრიდან, დაახლოებით, 100 მეტრში იპოვეს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, „3 პირი უკანონოდ შეიჭრა სასწავლო ცენტრში, რომელიც დაცულია და გუშაგი მოიქცა ნორმების დაცვით“. თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია ადასტურებს, რომ კრწანისის საწვრთნელ ბაზაზე გარდაცვლილი გიორგი შენგელიას ძმა აღნიშნულ ცენტრში „მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე მსახურობდა“.

გიგა შენგელიას მამა ამბობს, რომ მისი შვილი „კრწანისის“ ცენტრის ტერიტორიაზე არ მოუკლავთ. **რომან შენგელიას** მტკიცებით, ამის შესახებ მას იმ ორმა პირმა განუცხადა, რომლებიც მის შვილს ახლდნენ. გიგა შენგელიას ოჯახს გამოძიების ოფიციალური ვერსიის არ სჯერა. რომან შენგელიას განცხადებით, საგამოძიებო ორგანოები ცდილობენ, დანაშაული მის მეორე შვილს დააბრალონ. მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება ეფექტიანად არ წარიმართება, შვილის ცხედარს ზუგდიდის ცენტრში გადაასვენებს და საპროტესტო აქციას დაიწყებს.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩუღურეთის შტაბის უფროსმა, დავით დაღელაშვილმა პარტიული აქტივისტებისა და კორდინატორებისთვის გამოყოფილი 7 ათასი დოლარი მიითვისა და „ნაცმოძრაობის“ შტაბის წევრები ანაზღაურების გარეშე დატოვა. ეს თანხა პარტიამ არჩევნების პირველი ტურისთვის კორდინატორთა ხელფასების ასანაზღაურებლად გამოყო, მაგრამ დაღელაშვილმა კორდინატორებს ხელფასები არ გადაუხადა და წინასაარჩევნოდ მხოლოდ სიტყვიერ დაპირებაზე, უფასოდ ამუშავა.**

# «შიდაოჯახური დემოკრატია»

**წლები გადის, მაგრამ პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხი საქართველოში აქტუალობას არ კარგავს. სამი დღის განმავლობაში 4,99%-ზე გაყინული „პატრიოტთა ალიანსის“ შეყვანა-არშეყვანას პირდაპირ უკავშირებდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ე.წ. სახეების განცხადებას იმის თაობაზე, რომ პარლამენტში არ შევიდოდნენ. „ელცინის პერიოდის გაყალბების სტილი“ – ასე შეაფასეს მათ 8 ოქტომბრის არჩევნები. აბა, რას იტყოდნენ, „მოქალაქეთა კავშირის“ ან „ნაციონალური მოძრაობის“ სტილს ხომ არ დაარქმევდნენ?!**





**სანდრას ფაქტორი, როგორც ჩანს, «ქართული ოცნების» ლიდერებსაც აწუხებთ. სოციალურ ქსელში უკვე ქილიკობენ იმაზე, რომ მომავალ პარლამენტში ორი ვიცესპიკერი იქნება — სანდრა რულოვსი და ირმა ინაშვილი და მოსალოდნელ «სანახაობას» სწორედ ამ დუეტს უკავშირებენ**

გაყალბება ნამდვილად რომ მოხდა, ამას ისიც ადასტურებს, რომ ათასამდე საჩივრიდან უბნების გადათვლის შესახებ არც ერთი, დიახ, არც ერთი არ დაკმაყოფილდა. თითქოს ყველაფერი მარტივია — თუ არაფერია გაყალბებული, გახსენი და გადათვალე! **„ნაციონალური მოძრაობა“ ფართომასშტაბიან და მრავალფეროვან გაყალბებაზე ლაპარაკობს, მაგრამ ბიულეტენების გადათვლას ცოცხალი თავით არ ითხოვს.**

„ნაცმოძრაობის“ არაფორმალურმა მმართველმა ოდესიდან დირექტივა გასცა, არ შეხვიდეთ პარლამენტშიო, მაგრამ პოლიტსაბჭომ და მისმა ასევე არაფორმალურმა მმართველმა **გიგა ბოკერიამ** პირიქით გადაწყვიტეს. მოკლედ, სააკაშვილის პარტიამ „პირველად საქართველოს ისტორიაში“ მიშას არ დაუჯერა. ახლა მისი ყოფილი თანამებრძოლები ამას „შიდაპარტიულ დემოკრატიას“ არქმევენ, მაგრამ **სანდრა ელისაბედ რულოვსის** გადაწყვეტილებას, არ მიიღოს მონაწილეობა მეორე ტურში, „შიდაოჯახურ დემოკრატიას“ ვერანაირად ვერ დაარქმევ.

ამ საქმეს ველარც „რუსთავი 2“-ის პროპაგანდა შველის. ან რა ქნას ერთმა **ნიკა გვარამიამ**, ვის დაუჭიროს მხარი? სანდრა რულოვსიც ამჯერად სოციალური ქსელით მიმართავს ძვირფას მეგობრებსა და თანამებრძოლებს: „არაერთგვაროვანი რეაქცია და არაჯანსაღი სპეკულაციები მოჰყვა ჩემს განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ არ ვაპირებ არჩევნების მეორე ტურში ივანიშვილის მიერ ჩემ წინააღმდეგ დაგეგმილ ფარსში მონაწილეობას. პარტიისთვის ჩემი ამ გადაწყვეტილების შესახებ ჯერ კიდევ 11 ოქტომბრიდან იყო ცნობილი, როცა ეს გადაწყვეტილება გავაცანი ენმ-ის პოლიტსაბჭოს, დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატების თანდასწრებით. ჩემი ამ განცხადების შემდეგ, პოლიტსაბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა დავით ბაქრაძემ, განაცხადა რომ, პოლიტსაბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიუხედავად, ქალბატონი სანდრას შემთხვევა არის განსაკუთრებული და უნდა შევიდეთ მის მდგომარეობაში რაც, დარწმუნებული ვარ, პოლიტსაბჭოს ოქმშიც არის ასახული.

ზუსტად პოლიტსაბჭოს სხდომის დროს გახდა ცნობილი, რომ ზუგდიდის რაიონის 3 საარჩევნო უბანზე პირველი ტური განმეორებით ჩატარდებოდა. აქედან გამომდინარე, იქვე, პრესკონფერენციაზე განვაცხადე, რომ ზუგდიდის რაიონში ჩემთვის პირველი ტური ჯერ არ დამთავრებულა. ნებისმიერი მინიშნება იმაზე, რომ ეს არ იყო ჩემი პირადი გადაწყვეტილება, ღრმად შეურაცხმყოფელია ჩემთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, და, რაც მთავარია, როგორც ქალისთვის. ასეთი აზროვნება და ქალი პოლიტიკოსის მიმართ ასეთი დამოკიდებულება შეუსაბამოა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ღირებულებებთან.

მგონი, ნათელია, რომ ჩემს მეუღლეს არ სჭირდება ჩემი მეშვეობით თავისი პოზიციის გახმოვანება. ბანალობაა იმის მტკიცება, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა და ძალიან ცდება ყველა, ვინც ცდილობს, ისე წარმოაჩინოს საქმე, თითქოს მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი ბრძოლაზე უარს ნიშნავს. ჩვენი ბრძოლის მიზანი არაფორმალური მმართველის, რუსი ოლიგარქის დამარცხებაა და ეს აუცილებლად მოხდება იმაზე მალე, ვიდრე ბევრს ჰგონია“, — წერს რულოვსი.

ყველამ კარგად იცის, რომ, **თუ სანდრა რულოვსი არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებს, მისი გვარი ბიულეტენში მაინც დარჩება. მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის თქმა არ განაპირობებს მესამე ადგილზე გასული კანდიდატის ზემოთ „ანაცვლებას“.**

„ნაციონალური მოძრაობის“ სახე **აკაკი ბოზოხიძე** კი ასე აფასებს სანდრა რულოვსის ნაბიჯს: „ეს არ არის სასიამოვნო გადაწყვეტილება, მაგრამ მოულოდნელი არ ყოფილა. იმედი მაქვს, შევინარჩუნებთ ერთიან მთლიან ფრონტს დღევანდელი რეჟიმის წინააღმდეგ. პარტიაში ყოველთვის იყო აზრთა სხვადასხვაობა; მაშინაც კი, როდესაც მიშა სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი იყო. პარტიაში განსხვავებული აზრი არ იდევნებოდა, თუმცა ეს არ იყო ღია და საჯარო. დღეს უფრო ღია გახდა შიდაპარტიული დისკუსიები. მივესალმები, რომ მომავალში ნელ-ნელა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შიდაპარტიული დისკუსიები საჯარო გახადოს“, — განაცხადა აკაკი ბოზოხიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

**ეს ის კაკო ბოზოხიძეა, რომელიც ჯერ ხსნიდა საკუთარ კანდიდატურას მეორე ტურიდან, შემდეგ კი „გადაიფიქრა“ და ქუთათურებისთვის სახელდახელო ვერსიაც შეთხზა: იმიტომ ჩავერთვები მეორე ტურში, რომ ქუთაისში პარლამენტის დატოვებაზე „ოცნების“ კანდიდატების პოზიცია ბუნდოვანიაო.**

ბოზოხიძისგან განსხვავებით, **რომან გოცირიძე** არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ „მომავალში ნელ-ნელა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შიდაპარტიული დისკუსიები საჯარო გახადოს“. იგი აცხადებს: „არ ვაპირებ პარტიის შიდა საქმის საჯაროდ გამოტანას ზოგიერთის გულის გასახარად“. ეს მან ჟურნალისტებს იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, იყო თუ არა პარტიის პოლიტსაბჭო ჯერ კიდევ 11 ოქტომბერს ინფორმირებული სანდრა რულოვსის გადაწყვეტილების თაობაზე, რომ არ მიიღებდა მონაწილეობას არჩევნების მეორე ტურში. გოცირიძის თქმით, ეს არის სანდრა რულოვსის პირადი გადაწყვეტილება, თუმცა მიზანი საერთო რჩება და პარტია განაგრძობს ბრძოლას მეორე ტურებში. რაც შეეხება იმას, შევა თუ არა სანდრა რულოვსი პარლამენტში, რომან გოცირიძე ამბობს, რომ ამის თაობაზე საუბარი არ ყოფილა. „მე დარწმუნებული ვარ, რომ შევა“, — დასძინა მან.

აშშ-ის ელჩი დროულად ჩაერია და პოლიტიკურ პარტიებს რჩევა მისცა: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ არჩევნებმა ასახა ქართველი ხალხის ნება. იყო ძალადობისა და დაშინების ინციდენტები. მიგვაჩნია, რომ ასეთი ინციდენტები არ უწყობს ხელს წყნარი ატმოსფეროს შენარჩუნებას. ჩვენ ასევე მოვუწოდეთ პოლიტიკურ პარტიებს და ყველა ჩართულ მხარეს, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და არ გამოეთიშონ არჩევნებს“, — განაცხადა **იან კელიმ.**

ასეა თუ ისე, ინტრიგა რჩება — იტყვის თუ არა უარს სანდრა რულოვსი სიაში მეორე ადგილზე. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ პოლიტიკური პროცესების წარმართვის შესაძლო სცენარებზე აზრთა სხვადასხვაობაა და რულოვსის გადაწყვეტილებაც სწორედ ამ სცენარებიდან ერთ-ერთს უკავშირდება.

**გია ხუხაშვილი:** „ერთია ფორსირებული სცენარი, პირობითად, რულოვსის მეუღლის სცენარი და მეორე — გრძელვადიანი პოლიტიკური სცენარი, პირობითად, ბოკერიას სცენარი. მიუხედავად იმისა, რომ ამან სერიოზული განხეთქილება არ გამოიწვია და მიხეილ სააკაშვილმა უკან დაიხია, იმას არ ნიშნავს, რომ სააკაშვილი არ შეეცდება თავისი არგუმენტის გამოყენებას სამომავლოდ შიდაპარტიულ ბრძოლებში. სააკაშვილი რჩება საკუთარ აზრზე და, როგორც ჩანს, სანდრა რულოვსიც მიიჩნევს, რომ უფრო ფორსირებული სცენარით უნდა წასულიყო პოლიტიკური პროცესი და მისი გადაწყვეტილება შედარებით რბილი, არააგრესიული ფიქსაციაა ამ პოზიციის, რაც სამომავლოდ შეიძლება პარტიისთვის შეხსენებული იყოს. შეიძლება ითქვას, რომ კონცეფციური კონფლიქტი გარკვეულწილად კონსერვაციის მდგომარეობაშია, თუმცა ამის მიუხედავად ასეთი გამოტყორცნები დროდადრო ხდება ხოლმე და ახლა სწორედ ეს მოხდა, ჩემი აზრით“.

პარტიის ლიდერების აზრით, ყოფილი პირველი ლედის გადაწყვეტილება პარტიისთვის გარკვეულწილად დამაზიანებელია. რომელი ფრთა გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში, უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

სანდრას ფაქტორი, როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ ლიდერებსაც აწუხებთ. სოციალურ ქსელში უკვე ქილიკობენ იმაზე, რომ მომავალ პარლამენტში ორი ვიცესპიკერი იქნება — სანდრა რულოვსი და **ირმა ინაშვილი** და მოსალოდნელ „სანახაობას“ სწორედ ამ დუეტს უკავშირებენ. ჯერ კიდევ მოქმედი პარლამენტის ვიცესპიკერი **მანანა კობახიძე** კი ასე აფასებს რულოვსის უარს მეორე ტურში მონაწილეობაზე:

„სანდრამ ნახა, რომ არჩევნებში უკვე მეორედ დამარცხდა, ახლა მესამედაც უნდა დამარცხდეს და, ბუნებრივია, ეს სასიამოვნო არ არის. ყველა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია, ორგანიზაცია აღიარებს, რომ საქართველოში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიის სტანდარტებით, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვით და თავისუფლად ჩატარდა, იყო უპრეცედენტოდ მშვიდი, მიუხედავად ეპიზოდური დარღვევებისა, რომელიც გამოსწორებულია... ამას ყველა აღიარებს, როგორც დასავლეთში, ასევე ქვეყნის შიგნით. ამას არ აღიარებს მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი. როცა სანდრა რულოვსზე ვსაუბრობ, ვამბობ, რომ ის იგივე მიხეილ სააკაშვილია, რადგან სანდრა რულოვსი პოლიტიკაში არ შემოვიდოდა, ეს დავალება რომ არ ჰქონოდა მიხეილ სააკაშვილისგან. ის არჩევნებში მონაწილეობას დიდი სიხარულით არც მიიღებდა — ჰქონდა პირდაპირი დავალება, იყო გარკვეული ტაქტიკური სვლა და ამიტომაც ჩასვეს სიაში მეორე ნომრად. სანდრა რულოვსის სახით, ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილი შემოვიდა არჩევნებში და მხოლოდ ეს ადამიანები ამბობენ, რომ ყველაფერი გაყალბდა, რაც სასაცილოა. ზუგდიდელი ამომრჩეველი მას ხმას არ აძლევს, რადგან ხმას არ აძლევს ძალადობასა და ღირსების შელახვას“.

**გასაგებია მანანა კობახიძის პათოსი სააკაშვილისა და რულოვსის მიმართ, მაგრამ ეს ვერ ხსნის, რატომ გადაარჩინა და გააცოცხლა „ოცნებამ“ უკვე ისტორიის სანაგვეზე მოსროლილი დამნაშავე პარტია.** არის მოსაზრება, რომ **ბიძინა ივანიშვილმა** ეს სწორედ ამ არჩევნების მოგების გასაღებად აქცია. „შუის გაკრეფის“ მომდევნო ეპიზოდი სწორედ დაუძინებელი „მეგობრების“ საარჩევნო დუეტი გახდა, როდესაც ძველი ლოზუნგი „მიშა, მოვდივარ“ ახლა სააკაშვილმა გადაამღერა: „ბიძინა, მოვდივარ!“. ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ამ ორმა პარტიამ საარჩევნო ველის პოლარიზება მოახდინა და ხმები გადაინაწილა.

არც იმაშია მანანა კობახიძე მართალი, რომ მხოლოდ ნაციონალები ლაპარაკობენ არჩევნების გაყალბებაზე. ამას სხვებიც ამბობენ, ოღონდ სამართლებრივი გზით მხოლოდ **ნინო ბურჯანაძე** იბრძვის. რატომ არიან სხვები ჩუმად, ამას მალე დავინახავთ.

ამასობაში „ნაციონალური მოძრაობის“ ჩუღურეთის შტაბში კიდევ ერთი სკანდალი გასკდა. შტაბის უფროსი **დავით დაღელაშვილი** და მაჟორიტარობის კანდიდატი **ირაკლი ჩოლოყაშვილი** ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

დაპირისპირების მიზეზი პარტიული ფულის მითვისებაა. **ჩუღურეთის შტაბის უფროსმა დავით დაღელაშვილმა პარტიული აქტივისტებისა და კორდინატორებისთვის გამოყოფილი 7 ათასი დოლარი მიითვისა და „ნაცმოძრაობის“ შტაბის წევრები ანაზღაურების გარეშე დატოვა. ეს თანხა პარტიამ არჩევნების პირველი ტურისთვის კორდინატორთა ხელფასების ასანაზღაურებლად გამოყო, მაგრამ დაღელაშვილმა კორდინატორებს ხელფასები არ გადაუხადა და წინასაარჩევნოდ მხოლოდ სიტყვიერ დაპირებაზე, უფასოდ ამუშავა.**

სიტუაცია შტაბში მას შემდეგ გამწვავდა, რაც დავით დაღელაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ კორდინატორებსა და მხარდამჭერებს ანაზღაურების გარეშე მუშაობა კვლავ მოსთხოვა. ამან აქტივისტების უკმაყოფილება გამოიწვია და რაიონულმა შტაბმა დაშლა დაიწყო.

თუ ეს მართალია, „კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი“ **ირმა ნადირაშვილის** ქმარი, სავარაუდოდ, პარლამენტში შესვლა-არშესვლისა და მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის თქმის პროგნოზს ემსხვერპლა. „ნაცმოძრაობა“ ამ თამაშიდან რომ გასულიყო, აღარც ეს 7 ათასი დოლარი გაახსენდებოდა ვინმეს და აღარც ნადირაშვილის ქმარი.

შევა თუ არა პარლამენტში სანდრა რულოვსი ან მთელი „ნაციონალური მოძრაობა“, არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელოვანი სხვა რამ არის — შეინარჩუნებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი მათ მომავალი საარჩევნო ციკლისთვისაც. რაც შეეხება ხალხს, მას ნათლად მიანიშნეს, რომ მის ხმას კონკრეტული ფასი მხოლოდ მაშინ აქვს, თუ „ოცნებას“ ან ნაციონალებს უჭერს მხარს. „პატრიოტთა ალიანსი“ კი კვლავ დუმს და ამას „ხმების დაცვით“ ამართლებს.

„მორალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ვალდებულებები საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე და არსებული კანონები შეზღუდავს შესაძლებლობას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმეოროს „ნაციონალური მოძრაობის“ შეცდომები“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გია ვოლსკი: ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს კორექტირება არ სჭირდება

**ამომრჩეველს კარგად ახსოვს, რომ 2012 წელს წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაც იყო. მეტიც, 2013 წლის ოქტომბერში ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ კურსზე საუბრისას შემდეგი რამ განაცხადა: „წინა ხელისუფლების უგუნური ქმედებებისგან ჩიხში შევედით. ჩვენ ვიქნებით ძალიან პრინციპული და დარწმუნებული ვარ, ნაბიჯ-ნაბიჯ დავალაგებთ ურთიერთობას რუსეთთან“. სიტყვები სიტყვებად დარჩა, მაგრამ, როგორც ეს, ასევე სხვა წარუმატებელი ნაბიჯები ხელისუფლებამ ნაცების საბოტაჟს დააბრალა. შეფარვით ისიც ითქვა — ჩვენ კი გვინდა, მაგრამ სტრატეგიული პარტნიორი არ გვანებებს რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებასო. საინტერესოა, რას გეგმავს ამ მიმართულებით „ქართული ოცნება“ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.**
**ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი გია ვოლსკი.**

**— ბატონო გია, ამბობთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რევოლუციის მოწყობას გეგმავს საქართველოში. მათ ისე დაკარგეს მეორე ტურში გამარჯვების იმედი, რომ მხოლოდ ქაოსის გამოწვევაზე არიან ორიენტირებული?**

— აშკარაა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი გეგმა დაძაბულობის შექმნა იყო. მიხეილ სააკაშვილმა საკმაოდ ორგანიზებული, დაგეგმილი განცხადებები გააკეთა „რუსთავი 2“-სა და „ფოქსის“ ეთერში, სადაც საუბრობდა ქვეყნის დამხობაზე, მკვლელობების გახშირებაზე, ბიუჯეტის ჩამოშლასა და ეკონომიკურ კრიზისზე. გარდა ამისა, უამრავი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი გასაჯაროვდა და ნათელია, რომ დაძაბულობისა და არეულობის გამოწვევას ძალისმიერი მეთოდებით ცდილობდნენ. **ეს „გეგმა“ ტვინგათხელებულ ადამიანებსა და სააკაშვილს ისევ სამუშაო მაგიდაზე უდევთ. თუმცა ისიც ნათელია, რომ ეს მცდელობა, უშედეგოდ დასრულდება, რადგან ხალხი ამგვარ ქმედებას არ შეეგუება. იმის თქმაც, რომ არჩევნებში გაიმარჯვეს, მათი გეგმის ნაწილი იყო, რადგან კარგად იცოდნენ და არავისთვის დაფარული არ არის, რომ რეალური შედეგები ნაციონალებს გამარჯვებას არ მოუტანდათ. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა რეალური მონაცემები დამალეს და სხვა ციფრები გამოაქვეყნეს.**

**— არ გამორიცხავთ, რომ გივი თარგამაძის მანქანის აფეთქება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ქვეყანაში შესაქმნელი ქაოსისა და არეულობის მიზეზი უნდა ყოფილიყო, კონკრეტულად რას ეფუძნება თქვენი ვარაუდი?**

— სწორედ იმ მონაცემებსა და მოცემულობას, რომლებზეც პირველ კითხვაში ვისაუბრე. არ მითქვამს, რომ გივი თარგამაძის აფეთქება ასი პროცენტით „ნაციონალური მოძრაობის“ დაგეგმილია, თუმცა ყველა წინაპირობა მიუთითებს, რომ ამ სცენარის ერთ-ერთი ნაწილი თარგამაძის აფეთქება იყო. ისიც დავუშვი, რომ სააკაშვილის მიერ ორგანიზებული ქაოსის ფონზე, მესამე ძალამ პიროვნული ანგარიშსწორებით ისარგებლა, მაგრამ ეს „ნაციონალურ მოძრაობას“ პასუხისმგებლობის ტვირთს არ უხსნის. ნათელია, რომ გივი თარგამაძის აფეთქება ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც მრავალი წინაპირობა უდევს საფუძვლად.

**— თუ არის შესაძლებელი, რომ ჩანაწერების გამოქვეყნებისა და ბრალდებების შემდეგ, ხელისუფლების ძალადობრივად ხელში ჩაგდების მცდელობის გამო, „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე წევრი დააკავონ?**

— ჩვენ გვახსოვს სააკაშვილისა და გვარამიას საუბრის ჩანაწერი ქვეყანაში არეულობის დაგეგმვაზე. ამ ჩანაწერის გახმაურების შემდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მაგრამ როგორ განვითარდება, ვერ გეტყვით, რადგან მომხდარ ფაქტს სამართლებრივი ანალიზი სჭირდება. თუმცა, თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედების ფაქტები გამოაშკარავდება, შესაბამის ზომებს აუცილებლად მივიღებთ.



## «ყველა წინაპირობა მიუთითებს, რომ ამ სცენარის ერთ-ერთი ნაწილი თარგამაძის აფეთქება იყო»

**— ხალხმა „ქართული ოცნება“ იმიტომ აირჩია, რომ სამართლიანობა აღედგინა და „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე წევრები დაესაჯა, ამის ნაცვლად კი ქვეყანაში კოაბიტაციამ დაისადგურა, შედეგად ადამიანები, რომელთა ხილვაც ამომრჩეველს, ციხის საკანში თუ არა, სულ ცოტა, პოლიტიკურ ველს მიღმა სურდა, პარლამენტში აღმოჩნდნენ. რას აპირებთ მომდევნო ოთხ წელიწადში?**

— ხალხმა „ქართული ოცნება“ იმიტომ აირჩია, რომ მასში ქვეყნის ფეხზე დადგომის პოტენცია დაინახა. **სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლამ უამრავი ადამიანი სიკვდილისა და ღირსების შელახვისგან იხსნა.** რაც შეეხება გასამართლებას, ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს. დღეს უამრავი ადამიანი იხდის სასჯელს, მაგალითად, ყოფილი პრემიერი, თავდაცვის მინისტრი, ქალაქის მერი; ბევრი მაღალჩინოსანი გაქცეულია საქართველოდან და მართლმსაჯულებას ემალება. ასე რომ, სამართლიანობის აღდგენა არ შეწყდება და კიდევ უფრო განვითარდება. როდესაც ხალხი უცხადებს „ქართულ ოცნებას“' მხარდაჭერას, ეს ნიშნავს ქვეყნის სტაბილურობას, უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიას.

**— რას გეგმავს „ქართული ოცნება“ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის თვალსაზრისით, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საგარეო ვექტორს კორექტირება სჭირდება?**

— ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს კორექტირება არ სჭირდება. არსებულმა საგარეო-პოლიტიკურმა კურსმა პატარა საქართველოს, მცირე რესურსების მქონე ქვეყანას, სამშვიდობოზე გასვლის საშუალება მისცა. უწინარესად, ეს არის საქართველოს ინტეგრაცია იმ დემოკრატიულ ოჯახში, რომელშიც გარანტირებულია ადამიანის უფლებების დაცვა, ეკონომიკური განვითარება და უსაფრთხოება. რაც შეეხება რუსეთთან მოლაპარაკების შესაძლებლობების გამოყენებას, რუსეთმა საქართველოს ნაწილის ოკუპაცია მოახდინა და მასთან, მართალია, დღეს ვერ გვექნება ვერანაირი პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე მოლაპარაკებებს საგანგებო მნიშვნელობა აქვს, არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის, არამედ უსაფრთხოებისთვისაც. **საგარეო პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აწარმოებს, ქვეყნის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, ვინაიდან ოპტიმალურია იმის გათვალისწინებით, რას წარმოადგენს საქართველო თავისი ეკონომიკური თუ სამხედრო რესურსებით.** აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ჩვენი საგარეო პოლიტიკა მართებულია და სწორი მიმართულებით ვითარდება.

**— სამოქალაქო საზოგადოების წევრები აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს, ქვეყანა დემოკრატიული პრინციპებიდან გადაუხვევს, დგას ამ საფრთხის წინაშე საქართველო?**

— სამოქალაქო საზოგადოების ეს ნაწილი თავიდან ბოლომდე გაიგივებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“, როგორც პოლიტიკურ გუნდთთან, და, აქედან გამომდინარე, იმის თქმა, რომ საზოგადოებაში გაჩნდა ამგვარი თვალსაზრისი, არასწორია. საზოგადოებამ უკეთ რომ გაიგოს, რას წარმოადგენს კონსტიტუციური უმრავლესობა „ქართული ოცნების“ ხელში, გამოვყოფ სამ ფაქტორს: **პასუხისმგებლობა** საკუთარი ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე არის მთავარი ფაქტორი, რომლის გამოც „ქართული ოცნება“ არასოდეს დაუშვებს, რომ საკონსტუტიციო უმრავლესობა პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად გამოიყენოს და არ იფიქროს ქვეყნის ინტერესებზე. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენი **ვალდებულებები** საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე. ჩვენ ევროკავშირის წევრები ვართ, უამრავი ვალდებულებითა და პასუხისმგებლობით. ასე რომ, ნებისმიერი არადემოკრატიული ნაბიჯი საკმაოდ დიდ პრობლემას შეუქმნის, უწინარესად, ჩვენს ქვეყანასა და ხალხს, რასაც არასოდეს დავუშვებთ. და მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანი — ნებისმიერი პარტია ვალდებულია, ფართო საზოგადოების სიღრმისეული **მსჯელობის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება.** ასე რომ, სანამ კენჭის საყრელად გავიტანთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, მანამდე საზოგადოებას უნდა დავეკითხოთ. სწორედ **მორალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ვალდებულებები საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე და არსებული კანონები შეზღუდავს შესაძლებლობას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმეოროს „ნაციონალური მოძრაობის“ შეცდომები.** „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არაერთხელ „გააუპატიურა“ კონსტიტუცია და მოარგო საკუთარი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ვფიქრობ, ეს ტენდენცია საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს.

## «ნაციონალურმა მოძრაობამ» არაერთხელ გააუპატიურა კონსტიტუცია და მოარგო საკუთარი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ვფიქრობ, ეს ტენდენცია საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს»

ესაუბრა ეკა ზარნაძე

მოკლედ

## გიორგი მღებრიშვილი: არ გავუჩუმდეთ ოჯახში ძალადობას!

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის ინიციატივით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო. გიორგი მღებრიშვილის თქმით, სამართალდამცავებმა დახმარება რომ შეძლონ, აუცილებელია ძალადობის მსხვერლთა მხრიდან თანადგომა.**

„ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ რჩება შსს-ს ერთ-ერთ პრიორიტეტად, თუმცა აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ამ ძალზე მგრძნობიარე პრობლემის დასაძლევად პოლიციელმა რომ შეძლოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობის შესრულება, აუცილებელია, თვითონ ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეების თანადგომა, მხარდაჭერა და თანამშრომლობა. მივმართავთ ყველა მსხვერპლს: არ გავუჩუმდეთ ოჯახში ძალადობას, ნუ შეშინდებით! ჩვენი უწყება — 40 000 ადამიანი თქვენ გვერდით ვართ იმისთვის, რომ დაგიცვათ“, — განაცხადა შს მინისტრმა.



**ხანდაზმულობის ვადის გარეშე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ექთანი შემოიყვანეს, რომელმაც ჩემ თვალწინ გატეხა ერთი აბი შუაზე და ერთ ნაწილზე ამბოდა, ეს გულის წამალიაო, მეორე ნაწილზე კი — წნევის წამალიო და ასე „უმკურნალა“ პატიმარს. როდესაც შევეპასუხეთ, ეს რა არის, დაგვცინი, რა გულისა და წნევის წამალს აძლევ ავადმყოფს-თქო, შემოვიდა რეჟიმის უსაფრთხოების უფროსი იოლეგ ფაცაცია მის, დაახლოებით, 15 თანამშრომელთან ერთად და გვითხრეს, — თქვენ რა, არ იცით, ღამით ექიმის გამოძახება რომ არ შეიძლებაო, და ისე სასტიკად გვცემეს, ყველას ნეკნები გვქონდა ჩამტვრეული“

**რატი მაისურაძე:**

# დღე არ გავიდოდა, ციხიდან ერთი-ორი მიცვალებული მაინც არ გაესვენებინათ

**საზოგადოებამ საქართველოს ციხეებში პატიმრებისადმი არნახულად სასტიკი მოპყრობის შესახებ რამდენიმე წლის წინათ შეიტყო და ყოფილი ხელისუფლების მმართველობას წერტილი დაუსვა. მსოფლიომ გაიგო, როგორი სისასტიკით უსწორდებოდნენ უდანაშაულო ადამიანებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ წინააღმდეგ ხელისუფლებას პირადი მიზნები ამოძრავებდა. ამ ყველაფერს კი ყოფილი ხელისუფლება თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით ახორციელებდა.**

**ციხეში წამების ფაქტებზე, მართალია, დროდადრო ვრცელდებოდა ინფორმაცია, მაგრამ მათზე რატომღაც ყველა თვალს ხუჭავდა და ყოფილი პრეზიდენტიც ამერიკელებისთვის — კვლავ „დემოკრატიის შუქურად“ , საერთაშორიოს საზოგადოებისთვის კი თავისუფლებისა და სამართლიანობის მედროშედ რჩებოდა. თუმცა, როგორც ყოფილი პატიმრები ამბობენ, დამნაშავეები არც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დასჯილან და არც ყოფილი პოლიტიკური პატიმრების რეაბილიტაცია განხორციელებულა. მეტიც, როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოების ნაწილს პოლიტიკური ამნეზია დაემართა, ვინაიდან ახლახან გამართულ საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმების 27% მოიპოვა...**

**იმიტომ, რომ არასოდეს დავივიწყოთ ის სისასტიკე და უკანონობა, რომელიც ახლო წარსულში ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა, „საქართველო და მსოფლიომ“ დაიწყო რუბრიკა „ხანდაზმულობის ვადის გარეშე“, რომელშიც ყოფილი პოლიტპატიმრები საკუთარ ისტორიას ყვებიან.**

**დღეს რუბრიკის სტუმარია ყოფილი პოლიტპატიმარი რატი მაისურაძე, რომელიც ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში მომხდარი ინციდენტისას დააპატიმრეს და 7 წელი მიუსაჯეს. მასთან ერთად დააკავეს 8 ახალგაზრდა, „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობისა“ და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრები. როგორც რატი ამბობს, ყოფილმა ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ პროვოკაცია დაგეგმა.**



— ყოფილმა ხელისუფლებამ ჩვენს ახალჩამოყალიბებულ ორგანიზაციაში — „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობაში“ რეალური ძალა დაინახა. ყოველდღიურად ძალიან ბევრი ადამიანი მოდიოდა ჩვენს ორგანიზაციაში გასაწევრებლად, რაც, ბუნებრივია, ხელისუფლებას არ მოეწონა. შედეგად, უშუალოდ **„თავისუფლების ინსტიტუტმა“ და მათმა ლიდერებმა ჩვენ წინააღმდეგ პროვოკაცია დაგეგმეს.**

**— ციხეში რას ითხოვდნენ თქვენგან?**

— სურდათ, ჩვენგან მიეღოთ აღიარებითი ჩვენება, რომ თითქოს ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარ ინციდენტში დამნაშავეები ვიყავით და გვპირდებოდნენ, რომ პირობით სასჯელს მოგვისჯიდნენ, რაზეც არ დავთანხმდით. ეს საქმე თავიდან ბოლომდე შეთითხნილი იყო.

**— რა მეთოდებს მიმართავდნენ თქვენგან აღიარებითი ჩვენების მოსაპოვებლად?**

— ჩემ მიმართ, ძირითადად, ფსიქოლოგიურ ზეწოლას მიმართავდნენ. ჩვენთან ყოველდღიურად შემოდიოდნენ ადვოკატები, მღვდლები, საპატრიარქოს წარმომადგენლები, ამიტომ ჩვენს ცემას ერიდებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ეს ამბავი გახმაურდებოდა. თუმცა ციხეში ისეთი ვითარება იყო, იქ არ არსებობდა პატიმარი, რომელიც არ უცემიათ. ყველას მიმართ ახორციელებდნენ ძალადობას.

ზოგჯერ საკანში შემოვარდებოდნენ და განურჩევლად ყველას სცემდნენ. სასამართლო პროცესზე ყოველ წასვლაზე, საკნიდან გასვლაზე გამუდმებით სცემდნენ და შეურაცხყოფდნენ პატიმრებს.

როდესაც ციხეში ხვდები, პირველივე დღეს ე.წ. სამედიცინო შემოწმებას გადიხარ, შემდეგ გადაგიყვანენ ე.წ. კარანტინში, სადაც წარმოუდგენელი პირობებია. წარმოდიგინეთ, 12 კვადრატულ მეტრ ოთახში, რომელიც მხოლოდ ექვს კაცზეა გათვლილი, 40-მდე პატიმარი იმყოფებოდა და ყველა სასტიკად იყო ნაცემი. ოთახში აუტანელი სიცხე იდგა. პატიმარს დაჯდომის საშუალება არ ჰქონდა. მთელი ორი კვირა ფეხზე უნდა მდგარიყავი, მხოლოდ ასე თუ დაიძინებდი. კარანტინში ასეთ პირობებში ზოგს ერთი და ზოგსაც ორი კვირის გატარება უწევდა. შემდეგ იწყებოდა კარანტინის დაშლა, რომლის დროსაც სასტიკად სცემდნენ პატიმრებს და შემდეგ ზოგს, ასე ნაცემს, ისევ კარანტინში აბრუნებდნენ, ზოგი კი საკანში აჰყავდათ.

## «ლოცვის გამო, სანთლის დანთების გამო, საეკლესიო წიგნების კითხვის გამო სცემდნენ პატიმრებს»

ციხეში მიყვანის წუთიდანვე იწყებოდა პატიმრის წამება.

სწორედ **კარანტინში ჩასვლისას ვნახე საშინლად ნაწამები, დაბმული პატიმრები, რომლებიც ე.წ ფუქსების საკნებში ისხდნენ.**

თუ ჩათვლიდნენ, რომ საკანში რამე დააშავე, მყისვე გადაგიყვანდნენ კარცერში, შემდეგ — ისევ კარანტინში და ასე უსასრულოდ გრძელდებოდა. საკანში კი აუტანელი პირობები იყო: არ შეიძლებოდა საუბარი, ფანჯარაში გახედვა, მხოლოდ ჩურჩულით უნდა გესაუბრა, ლოცვასაც გვიშლიდნენ.

**— ამის გამო შეიძლება ეცემათ პატიმარი?**

— დიახ, **ლოცვის გამო, სანთლის დანთების გამო, საეკლესიო წიგნების კითხვის გამო სცემდნენ პატიმრებს.** მსგავსი რამ ჩვენს საკანშიც მოხდა. ვლოცულობდით, შემოვიდა ე.წ. კონტროლიორი და გვითხრა, — აქ თქვენ, სალოცავად კი არა, დასასჯელად ხართ მოსულებიო. წაგვართვა სანთლები, საეკლესიო წიგნები და, თავისი ჭკუით, ლოცვა აგვიკრძალა, მაგრამ შეუძლებელია, მორწმუნე ადამიანს ლოცვა აუკრძალო.

დილით, როდესაც პატიმრები, წესით, სასეირნოდ უნდა გასულიყვნენ, ყველა უარს ამბობდა ამ გასეირნებაზე, რადგან საკნიდან სასეირნოდ გასულ პატიმრებს სასტიკად უსწორდებოდნენ.

**— თვითონ უშვებდნენ პატიმრებს სასეირნოდ და მაინც სცემდნენ?**

— დიახ, რადგან მათი ცვლა ათ საათზე მთავრდებოდა და ცხრა საათზე პატიმრების გაშვება სასეირნოდ ხელს არ აძლევდათ, ანუ ამით წუხდებოდნენ.

**პატიმრის ცემის მიზეზი თუნდაც ჩურჩულით საუბარი შეიძლება ყოფილიყო. რატომ დგახარო (ამის გამოც შეიძლებოდა ეცემე) ან რატომ ზიხარო. პატიმრის საცემად მიზეზი არ სჭირდებოდათ. ამოჩემებული ჰყავდათ ზოგიერთი პატიმარი და ცემა მათთვის პრობლემა არ იყო, რადგან ადამიანი მათთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენდა და პატიმარს ისე უყურებდნენ, როგორც ცხოველს.**

საკანში გვყავდა გულით ავადმყოფი პატიმარი, რომელსაც მიკროინფარქტი დაემართა და, როდესაც მოვითხოვეთ, მისთვის ციხის ექიმი მოეყვანათ და ციხის სამედიცინო დაწესებულებაში გადაეყვანათ, ჯერ **ექთანი შემოიყვანეს, რომელმაც ჩემ თვალწინ გატეხა ერთი აბი შუაზე და ერთ ნაწილზე ამბობდა, ეს გულის წამალიაო, მეორე ნაწილზე კი — წნევის წამალიო და ასე „უმკურნალა“ პატიმარს. როდესაც შევეპასუხეთ, ეს რა არის, დაგვცინი, რა გულისა და წნევის წამალს აძლევ ავადმყოფს-თქო, შემოვიდა რეჟიმის უსაფრთხოების უფროსი იოლეგ ფაცაცია მის დაახლოებით 15 თანამშრომელთან ერთად და გვითხრეს, თქვენ რა, არ იცით, ღამით ექიმის გამოძახება რომ არ შეიძლებაო, და ისე სასტიკად გვცემეს, ყველას ნეკნები გვქონდა ჩამტვრეული...**

**— ასე ნაცემები არ გადაგიყვანეს საავადმყოფოში ან ექიმი არ მოგიყვანეს?**

— არა, რა თქმა უნდა. ყურადღებას მხოლოდ მაშინ მოგაქცევდნენ, თუ მოკვდებოდი — მორგში გადაგიყვანდნენ. ჩვენი ფანჯრებიდან ჩანდა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, იქ იშვიათად მიჰყავდათ ნაცემები, ძირითადად, მიცვალებულები გადაჰყავდათ. დღე არ გავიდოდა, ციხიდან ერთი-ორი მიცვალებული მაინც არ გაესვენებინათ.

**— ერთ-ერთ ტელეგადაცემაში მოყევით, როგორ გიამბოთ პატიმარმა, რომ ცოლის გაუპატიურების კადრები ანახვეს. ბევრს დღესაც არ სჯერა, რომ ასეთი სისასტიკე მართლაც ხდებოდა ციხეში. თქვენს საკანში იყო ეს პატიმარი?**

— დიახ, უამრავი ასეთი ფაქტი ხდებოდა. გოგა ხაინდრავას ფილმ „ჰეროკრატიაში“ კარგად არის ასახული ყველაფერი. ყველა მეთოდს იყენებდნენ პატიმრების გასატეხად და მათზე ზეგავლენისთვის. ეს პატიმარი მე კარანტინში ვნახე. მომავალში რა ბედი ეწია, არ ვიცი, მაგრამ ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო და თავის მოკვლა სურდა. ყველა პატიმართან ინდივიდუალური მიზეზი ჰქონდათ, ზოგისგან აღიარებითი ჩვენება უნდოდათ, ზოგისგან — ფულის გამოძალვა და ამის გამო ყველა ხერხს მიმართავდნენ.

**— რატი, 7 წელი უნდა გაგეტარებინათ ციხეში. ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, ციხიდან გათავისუფლების შანსი არ გქონდათ?**

— იყო შანსი, სასჯელი დაემატებინათ, რადგან ყოველი წლის ბოლოს ერთ ან ორ წელს მიმატებდნენ. თავდაპირველად გამასამართლეს 152-ე მუხლით, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა დამდეს ბრალად, შემდეგ ბრალი დამიმძიმეს და დამიმატეს ხულიგნობა, 239-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილი.

**— დღეს რას ითხოვთ ხელისუფლებისგან?**

— დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებმაც ჩვენი დაპატიმრება და პროვოკაცია დაგეგმეს და ეს ყველაფერი შეთხზეს. ეს ადამიანები დღეს დაუსჯელები არიან და ზოგიერთი ისევ მუშაობს პოლიციასა თუ პროკურატურაში. ისინი არამხოლოდ ჩემს დაპატიმრებაში მონაწილეობდნენ, სხვა პატიმრების საქმეებშიც ცრუმოწმეებად გამოდიოდნენ ხოლმე. ასევე უნდა დაისაჯონ ციხის ის ზედამხედველები, რომლებიც პატიმრებს აწამებდნენ, დღეს კი თავისუფლად დადიან და კაცმა არ იცის, ვის შეიძლება ავნონ. ზედამხედველს, რომელიც ციხეში ასე სასტიკად აწამებდა, ხომ შეიძლება შეხვდეს რომელიმე ყოფილი პატიმარი, ვერ მოითმინოს და შური იძიოს?!

## «პატიმრის ცემის მიზეზი თუნდაც ჩურჩულით საუბარი შეიძლება ყოფილიყო. რატომ დგახარო (ამის გამოც შეიძლებოდა ეცემე) ან რატომ ზიხარო. პატიმრის საცემად მიზეზი არ სჭირდებოდათ. ამოჩემებული ჰყავდათ ზოგიერთი პატიმარი და ცემა მათთვის პრობლემა არ იყო, რადგან ადამიანი მათთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენდა და პატიმარს ისე უყურებდნენ, როგორც ცხოველს»

ესაუბრა **შორენა ციჭკარაშვილი**

**„გამოდის მინისტრი და ამბობს, გუშაგი კანონის დაცვით მოქმედებდაო. როგორ მოქმედებდა კანონის დაცვით, როცა ადამიანს ბაზიდან 30 მეტრში ესროლა დამიზნებით? რა უფლება ჰქონდა, ბაზის გარეთ გაესროლა? ჯერ ერთი, ნებისმიერი მოქალაქე, გამვლელი შეიძლებოდა იქ ყოფილიყო და მეორეც, რა აუცილებლობა იყო გასროლის? წინააღმდეგობას უწევდნენ, ესროდნენ საპასუხოდ თუ ვინმე რამე საფრთხეს უქმნიდა?“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა მოხდა 23 ოქტომბერს სამხედრო-სასწავლო ცენტრ «კრწანისში» და რა იყო 23 წლის გიგა შენგელიას მკვლელობის მიზეზი

**23 ოქტომბერს წვრთნებისა და სამხედრო განათლების მხარდამჭერ ცენტრ „კრწანისში“ 23 წლის მოქალაქე გიგა შენგელია გუშაგის მიერ ნასროლი ტყვიით შემთხვევის ადგილზე დაიღუპა. აღნიშნულ ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმავე დღესვე გაავრცელა განცხადება და ინციდენტი შეაფასა. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ დილის 4-ის ნახევარზე სასწავლო ცენტრში სამი პირი უკანონოდ შეიჭრა, გუშაგმა კი მოახდინა შესაბამისი რეაგირება. მოგვიანებით მედიასთან კომენტარი გააკეთა თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამაც და აღნიშნა, რომ გუშაგი მოქმედებდა „აბსოლუტურად ნორმების დაცვით“. ოფიციალური ვერსიის არ სჯერათ გარდაცვლილის ნათესავებს და მიმდინარე გამოძიებას ეჭვის თვალით უყურებენ. გიგა შენგელიას ოჯახი სიმართლის დასადგენად დამოუკიდებელ ექსპერტიზას და საქმის ობიექტურ გამოძიებას ითხოვს.**

**რა მოხდა რეალურად 23 ოქტომბერს სამხედრო-სასწავლო ცენტრ „კრწანისში“, რამ გამოიწვია ინციდენტი და მოქმედებდა თუ არა შიგა განაწესის დაცვით გუშაგი, რომელმაც მოქალაქეს დამიზნებით ესროლა — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ დეტალურად ესაუბრება გარდაცვლილი გიგა შენგელიას მამა რომან შენგელია.**



რომან შენგელია:

## ბავშვი ტყუილუბრალოდ მოკლეს და მერე იარაღი ჩაუდეს. საიდან ჰქონდა ჩემს შვილს იარაღი?

**— ბატონო რომან, რა მოხდა სინამდვილეში 23 ოქტომბერს? როგორ შეაფასებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებას?**

— სამი კაცი იყო სამხედრო ბაზაში შესული: ჩემი შვილი და მისი ორი ძმაკაცი. მეგობრის სანახავად მივიდნენ, მაგრამ მის ნაცვლად ადგილზე სხვა გუშაგი დახვდათ, მათთვის უცნობი. გუშაგს პირველი ჩემი შვილი შეფეთებია და მას გაფრთხილების მიზნით ჰაერში გაუსროლია. გიგას უთქვამს, ქართველები ვართ, არ გვესროლოო და ამ დროს მისი მეგობრებიც მოსულან. მერე გიგა ღობეზე გადამხტარა და გაქცევას ცდილობდა, მაგრამ დაახლოებით 20-30 მეტრი რომ გაირბინა, ტყვია მოხვდა. ეს მოხდა დილის 4-ის ნახევარზე და 8-ის ნახევრამდე ბავშვი თუ იქ ეგდო, როგორ ვერ ნახეს? ნახეს კიდეც, წაიყვანეს, მაგრამ ვერ უშველეს. ის კი არა, ჩემი ძმა იყო ჩამოსასვენებლად ჩასული და ბავშვის ცხედარი პროზექტურაში არ დახვდა. სად ჰყავდათ, სად წაასვენეს?

**— თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ და დამალეს ცხედარი. ახლა კიდევ გამოდის მინისტრი და ამბობს, გუშაგი კანონის დაცვით მოქმედებდაო. **როგორ მოქმედებდა კანონის დაცვით, როცა ადამიანს ბაზიდან 30 მეტრში ესროლა დამიზნებით?** რა უფლება ჰქონდა, ბაზის გარეთ გაესროლა? ჯერ ერთი, ნებისმიერი მოქალაქე, გამვლელი შეიძლებოდა იქ ყოფილიყო და მეორეც, რა აუცილებლობა იყო გასროლის? წინააღმდეგობას უწევდნენ, ესროდნენ საპასუხოდ თუ ვინმე რამე საფრთხეს უქმნიდა? ბავშვი ტყუილუბრალოდ მოკლეს და მერე იარაღი ჩაუდეს... საიდან ჰქონდა ჩემს შვილს იარაღი?..

**— საინტერესოა, როგორ მოახერხეს მათ ბაზაში შესვლა, თუ ადგილზე მათთვის უცნობი გუშაგი იმყოფებოდა?**

— როგორც ჩანს, იქ შესვლა სირთულეს არ წარმოადგენდა. რატომ და რანაირად, მე არ ვიცი. ამაზე თვითონ იმტვრიონ თავი.

**რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებას, რომ ჩემი შვილი და მისი მეგობრები ბაზაში შეჭრას ცდილობდნენ, ეს არის სრული სისულელე და აბსურდი. კი არ შეიჭრნენ, ბაზაში შევიდნენ და არანაირი აუცილებლობა, გუშაგს ცეცხლი გაეხსნა, არ არსებობდა. კიდევ ვიმეორებ, ჩემი შვილი გარბოდა და, გუშაგმა რომ ესროლა, ის უკვე ბაზის გარეთ იმყოფებოდა.**

**— როგორც ვიცი, ბაზის ტერიტორიაზე კამერებიც არის დამონტაჟებული. არსებობს ინციდენტის ამსახველი ჩანაწერი?**

— კამერები არის, მაგრამ არ მუშაობსო. რას ჰქვია არ მუშაობს, ამხელა ბაზაა, ამხელა მნიშვნელობის ობიექტი, შეიძლება იქ ვიდეოკონტროლი არ იყოს? დარწმუნებული ვარ, ყველა კამერა მუშაობს და ჩანაწერიც არსებობს, მაგრამ აძლევთ კი ხელს ეს ჩანაწერი? ცხადია, ფირს გაანადგურებენ და არავის ანახვებენ.

**— ითქვა ისიც, რომ შემთხვევის ადგილზე თქვენი მეორე შვილიც იმყოფებოდა.**

— გიგას თავისი ტელეფონი ლომბარდში ჰქონდა მიტანილი და ჩემი მეორე შვილის — გიოს ტელეფონი ჰქონდა, ამიტომ გაჩნდა ეჭვი, რომ ისიც იქ იყო, მაგრამ ეს სიცრუეა. გიო იქ არ ყოფილა.

**— აღძრულია საქმე და დაწყებულია გამოძიება. ენდობით მართლმსაჯულებას?**

— მე ვითხოვ დამოუკიდებელ ექსპერტიზას, რადგან ამათ არ ვენდობი. ან როგორ შეიძლება ვენდო იმ ტყუილებისა და დეზინფორმაციის შემდეგ, რაც გაავრცელეს. კაცი თავიდანვე ტყუილს რომ იტყვის, ბოლოს იტყვის სიმართლეს?!

**— დამოუკიდებელი ექსპერტიზა როდის უნდა ჩატარდეს?**

— უახლოეს დღეებში. ჯერჯერობით დასაფლავებასაც არ ვაპირებ. სანამ არ იქნება საქმე გამოძიებული და არ დაისმება წერტილი, ჩემი შვილი სახლში მეყოლება; ყველაფერს გავაკეთებ, ყველა საშუალებასა და შესაძლებლობას გამოვიყენებ, რათა სიმართლე დადგინდეს.

რაც შეეხება მიმდინარე გამოძიებას, დღემდე ერთხელაც არ დაურეკავს გამომძიებელს, ერთი ზარიც არ ყოფილა, რომ ისე მაინც ეკითხა რამე.

**— თქვენ თუ სცადეთ ვინმესთან დაკავშირება?**

— არა და არც მინდა. თუ რამე აინტერესებთ, მოვიდნენ და მკითხონ. მეც მაქვს შეკითხვები და გამცენ პასუხი. დამიჯდნენ და მელაპარაკონ.

**— ექსპერტიზის შემდეგ რას აპირებთ?**

— თვითონ რას აპირებენ? გამოძიება ხომ დაიწყეს, გამოიძიონ. **მიპასუხონ, სად ჰყავდათ ბავშვი 4-ის ნახევრიდან 8-ის ნახევრამდე. პროზექტურაში არ იყო, სად დამალეს?! ეს შეკითხვა მინდა მინისტრს დავუსვა და გამცეს პასუხი.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«ჯერჯერობით დასაფლავებასაც არ ვაპირებ. სანამ არ იქნება საქმე გამოძიებული და არ დაისმება წერტილი, ჩემი შვილი სახლში მეყოლება; ყველაფერს გავაკეთებ, ყველა საშუალებასა და შესაძლებლობას გამოვიყენებ, რათა სიმართლე დადგინდეს»**

**P.S.** სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ მომხდარი შემთხვევა არსებული ხელისუფლებისთვის ერთგვარი ტესტია და ეს საქმე უახლოეს მომავალში ნათლად დაგვანახვებს, რა გზას დაადგება საბოლოოდ მმართველი გუნდი — სამართლიანობის დამკვიდრების თუ სააკაშვილისა და მისი ხროვის მიერ თავის დროზე დაწყებული კვაზისახელმწიფოს მშენებლობის...



## ახალი ქართული საფოსტო მარკები

**2016 წლის 24 ოქტომბრიდან მიმოქცევაში ახალი ქართული საფოსტო მარკები ჩაუშვეს. მარკები 6 თემატიკას მოიცავს. ახალი მარკები, პირველი ვიცეპრემიერის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის — დიმიტრი ქუმსიშვილის ბრძანებით გამოიცა.** საფოსტო მარკები რამდენიმე თემას აერთიანებს: „ზაფხულის ოლიმპიური თამაშები — 2016 წელი, რიო დე ჟანეირო“, „ეკოლოგია ევროპაში“, „საქართველოს ფაუნა“ და „ქართული ზღაპრების პერსონაჟები“. ახალი საფოსტო მარკების შეძენა შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრებშია შესაძლებელი.



## ავთანდილ ჭრიკიშვილი და ვარლამ ლიპარტელიანი — ბიზნესპარტნიორები

**ძიუდოისტები — ავთანდილ ჭრიკიშვილი და ვარლამ ლიპარტელიანი ბიზნესპარტნიორები ხდებიან. როგორც მთავრობის ?2182 განკარგულებიდან ირკვევა, სახელმწიფომ ძიუდოისტებს თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელ გზასთან ახლოს არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი მიყიდვის წესით საკუთრებაში 379 000 ლარად გადასცა.** პირობების მიხედვით, ავთანდილ ჭრიკიშვილი და ვარლამ ლიპარტელიანი ვალდებულნი არიან, საკუთრებაში გადაცემულ ქონებაზე 36 თვის განმავლობაში ააშენონ სპორტული კომპლექსი, რომელიც უნდა მოიცავდეს, სულ ცოტა, 30 ადამიანზე გათვლილ, არანაკლებ 2 გასახდელ ოთახს, არანაკლებ 8 (ინდივიდუალურ) საშხაპეს, სპორტსმენების ფიზიკური მომზადებისათვის განკუთვნილ სავარჯიშო დარბაზებს. ავთანდილ ჭრიკიშვილსა და ვარლამ ლიპარტელიანს პროექტის განსახორციელებლად, პირობების მიხედვით, სულ ცოტა, 0,4 მლნ ლარის ინვესტირება დაეკისრათ.

## ბასილაშვილმა მსოფლიოს მეათე ჩოგანი დაამარცხა

**ნიკოლოზ ბასილაშვილმა ვენაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე სენსაციური გამარჯვება მოიპოვა.** ქართველმა ჩოგბურთელმა მსოფლიოს მეათე ჩოგანი, ჩეხი ტომაშ ბერდიხი დაამარცხა. ბრძოლამ ორსაათ-ნახევარს გასტანა და ქართველის გამარჯვებით დასრულდა — 6:4, 6:7, 7:5. ტურნირის საპრიზო ფონდი 1,8 მილიონი ევროა.

მსოფლიო

## პენტაგონს სირიაში თურქეთის ამბიციები აშფოთებს

**„ამერიკა შეეცდება, დაარწმუნოს თურქეთი, სირიის სუვერენიტეტს პატივი სცეს“, — განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა პენტაგონში გამართულ პრესკონფერენციაზე.**

„რა თქმა უნდა, ამ საკითხს განვიხილავთ. ეს საკმაოდ დელიკატური თემაა. შეერთებული შტატები და კოალიციის ქვეყნები ვხელმძღვანელობთ ერაყის სუვერენული ინტერესების პატივისცემით. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა კარტერმა.

თურქეთი სირიის ჩრდილოეთში მასშტაბურ სამხედრო ოპერაციას ატარებს, სახელწოდებით „ევფრატის ფარი“. პარალელურად, ანკარა მოსულის ოპერაციაში ჩართვის სურვილსაც გამოთქვამს, რის გამოც დამასკო და სირია ანკარას სუვერენიტეტის შელახვაში ადანაშაულებენ.



საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კატეგორიულად მოვითხოვ თინა ხიდაშელისგან, სანდრა რულოვსისა და მანანა შევარდნაძისგან, ფონდის მიერ გაწეული ხარჯები ათმაგად ამინაზღაურონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად ვუჩივლებ“.**

გოგიტა მურცხვალაძე:

# სანდრამ მომატყუა. მის იმედად რომ დავრჩენილიყავი, შვილი მომიკვდებოდა

**მსოფლიოში დამკვიდრდა ტენდენცია, რომ თითქმის ყველა ქვეყნის პირველი ლედი საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. განსაკუთრებით აქტიურად არიან ჩაბმულნი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პრობლემების მოგვარებაში. წესით, ასე უნდა იყოს საქართველოშიც...**

**გოგიტა მურცხვალაძე, საქველმოქმედო ფონდ „ღვთისშვილების“ თავმჯდომარე, რედაქციის ოფისში გვესტუმრა და თავისი და ფონდში გაერთიანებული შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების ოჯახების გაჭირვებაზე გვესაუბრა — თუ როგორ ექცევიან ამ ქვეყანაში შშმ პირებს პირველი ლედი, მაღალი თანამდებობის ქალები ან მაღალი თანამდებობის პირთა ცოლები.**





— იმ ბავშვის მამა ვარ, რომელმაც ბერი გაბრიელის საფლავზე 2000 წელს ფეხი აიდგა. ვარ აჭარიდან, დედითა და მამით ქართველი. ამ ფაქტს ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ბევრი ქართველი ცდილობს, აჭარა თურქეთს მიაწეროს, მაგალითად, აჭარის ყოფილი „მმართველი“ ლევან ვარშალომიძე, რომელმაც თქვა, — ქართველები და თურქები ერთი ერი ვართ, ოღონდ სხადასხვა სივრცეში ვცხოვრობთო.

ახლა ჩემს გაჭირვებაზე მოგიყვებით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილი მყავს და თვითონაც ასეთ მდგომარეობაში ვარ.

გავიხსენებ იმ ავადსახსენებელ წუთებსა და დღეებს, როდესაც დახმარებისთვის ჩვენი ქვეყნის ყოფილ და ამჟამინდელ პირველ ლედისა და მაღალი თანამდებობის პირთა მეუღლეებს მივმართე.

ცოცხალი აღარ არის **ედუარდ შევარდნაძის** მეუღლე და მასზე აღარაფერს ვიტყვი... თუმცა არ შემიძლია, არ ვახსენო **მანანა შევარდნაძე** და „მაგთის“ მეპატრონე **გია ჯოხთაბერიძე**, ადამიანები, რომლებმაც ქველმოქმედის სახელის დამკვიდრება იმით სცადეს, რომ საზოგადოებას ატყუებდნენ, თითქოს ჩემს შვილს ფინანსურ დახმარებას უწევდნენ და ოპერაციების ფულს იხდიდნენ. რამდენი წელიც უნდა გავიდეს, მათი მტერი ვიქნები. ვიცი, ამ დღეებში ხელოვნების მუზეუმის გახსნას აპირებენ, ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ, არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ, საქართველოში რომ ჩამოვლენ. შევარდნაძეების ოჯახმა ჩემი შვილი სასიკვდილოდ გაწირა.

რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ჩემს შვილს ოპერაცია სჭირდებოდა, მაგთის უფასო ნომრები მომცეს, გადარიცხვები რომ მომხდარიყო. სიმართლე გითხრათ, საკმაოდ ბევრი რეკავდა. „მაგთიში“ რომ მივედი, მითხრეს, ერთხელ შეცდომით სხვისი ფული გადმოგირიცხეთ და ახლა უნდა გასწორდეს, 1 100 ზარის ფულს ვერ მოგცემთო...

**სანდრა რულოვსზე** გადავიდეთ, ამ უსინდისო ქალზე, რომელმაც არჩევნებში მონაწილეობა გაბედა. მრცხვენია იმ ქალების მაგივრად, რომლებმაც სანდრას ქმრის მიერ მოკლული ბუტა რობაქიძის დედა, **ია მეტრეველი**, სენაკში შეურაცხყვეს.

**ვიდრე სააკაშვილი პრეზიდენტის სავარძელში მოკალათდებოდა, სანდრას ოფისი ჰქონდა პეკინის ქუჩაზე. იმხანად მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა და შემპირდა, რომ, როგორც კი მიშა პრეზიდენტი გახდება, პირველი, რასაც გავაკეთებ, იქნება ის, რომ შენს შვილს გერმანიაში საოპერაციოდ გავუშვებო. მეც იმედით ვიყავი. „ვარდების რევოლუციის“ დროს ჩემს ინვალიდ შვილთან ერთად ორჯერ ჩამოვედი თბილისში.** თუმცა ძალიან მალე, რევოლუციიდან რამდენიმე თვეში, მიშას ინაუგურაციის დღეს, პირველი საპროტესტო აქცია გავმართე, სააკაშვილს კოჭებში ეტყობოდა, რასაც ჩაიდენდა. საპროტესტო აქციაზე ინციდენტიც მოხდა...

ამის შედეგ ორკვირიანი საპროტესტო აქცია გავმართე სახელმწიფო კანცელარიასთან. ამ ყველაფერს კი იმიტომ ვაკეთებდი, რომ სანდრამ ზურგი გვაქცია. მისი თანაშემწე ქალების პირით შევუთვალე, სანამ გასუქდები და ხელის მოთბობას დაიწყებ, ბავშვის ჯანმრთელობა არ ითმენს-მეთქი. პასუხი არ გამცა...

ჩემს ინვალიდ შვილთან ერთად სანდრას ოფისთან მივედი... რამდენიმე წუთში სახელმწიფო დაცვის ორი მანქანა მომადგა და, როგორც დამნაშავეს, ტერორისტს ისე მომექცნენ. ერთ-ერთმა პირმა მიცნო და ამან გადამარჩინა.

ამის შემდეგ სახლთან მივედი, პლაკატები გავაკარი წარწერით „ბავშვს სულში ნუ ჩააფურთხებ“ და დაველოდე. მალე მოვიდა. **მანქანიდან რომ გადმოვიდა, დავუძახე, სანდრა-მეთქი, მოიხედა და დამინახა, რომ ჩემი შვილის ეტლი მქონდა სხეულზე მიკრული, ხელში ბენზინის ბოთლი და სანთებელა მეჭირა, მაგრამ მისი რეაქცია ასეთი იყო — „არ მცალია!“. მე გამაკავეს, სამაგიეროდ, სულ მკვდარი და ცოცხალი ვაგინე. ინვალიდი ბავშვის მშობელი როცა ხარ და ხვდები, რომ შენი გაჭირვება ფეხებზე ჰკიდია იმას, ვისაც დახმარება ევალება, შეიძლება ჭკუიდან გადახვიდე და ასეთ ადამიანს თვალები ამოჩიჩქნო.**

**«პრეზიდენტის მეუღლემ მაკა ჩიჩუამ შემოგვითვალა, — არ მცალიაო, ისიც ერთი თვის თავზე დაგვდო პატივი, პასუხი რომ გაეცა. ჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ, — თავი დამანებეთ, რა გამიჭირეთ საქმე თქვენი დებილი ბავშვებითო»**

ამ საშინელი ფაქტის შემდეგ თბილისიდან ბათუმამდე ჩემს შვილთან ერთად ფეხით ჩავედი. ეს საპროტესტო აქცია იყო, მაგრამ საეკლესიო დაარქვეს.

სანდრა, ვიდრე პირველი ლედი გახდებოდა, გაზეთებს აფრიალებდა, სადაც ჩემს შვილსა და მისნაირ ბავშვებზე ეწერა; ხალხს ეუბნებოდა, აი, შევარდნაძის ხელისუფლებას ინვალიდი ბავშვები რა დღეში ჰყავსო... შემდეგ კი მომატყუა და მის იმედად რომ დავრჩენილიყავი, შვილი მომიკვდებოდა.

ამ ყველაფერს ახლა იმიტომ ვიხსენებ, რომ ზუგდიდელებს მინდა ვუთხრა: **მარჯვენა ხელით, რომლითაც პირჯვარს იწერენ, სანდრა რულოვსის, ინვალიდი ბავშვების დამღუპველი ქალის, ნომერი არ შემოხაზონ!**

არსებობს ჩვენს ქვეყანაში კიდევ ერთი ქალი — **თინა ხიდაშელი.**

სანამ ამ ქალბატონზე დავიწყებ ლაპარაკს, მოკლედ გეტყვით, რა დახმარებას ვითხოვ მთავრობის წევრებისგან. მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გავხდი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, საქველმოქმედო აქციები დავიწყე. ვაწყობ ნახატების გამოფენას, ნახატებს კი ჩვენი ქვეყნის ცნობილი მხატვრები უანგაროდ მაძლევენ. გამოფენაზე გატანამდე ამ ნახატებს ჩარჩოებს ვუკეთებ, ვალამაზებ, ამ საქმეში ახალგაზრდები მეხმარებიან. მოკლედ, ხარჯი საკმაოა, მაგრამ, როდესაც ვინმე პატრონაჟს გიწევს, ეს ხარჯი იფარება. პატრონაჟი კი იმაში გამოიხატება, რომ გამოფენაზე სტუმრები მოიწვიონ, ანუ ნახატები გაიყიდოს, შემოსული თანხით კი შემდგომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ვეხმარებით.

როცა ასეთი გამოფენის გაკეთება გადავწყვიტე, ბევრი ფიქრის შემდეგ, არჩევანი თავდაცვის სამინისტროზე შევაჩერე, რადგან, ჯერ ერთი, მინისტრი ქალი იყო, მერე — საქართველოში უამრავი უცხოელი ატაშეა, ბევრი სტუმარი და ა.შ. მოკლედ, „ღარიბისა და ქილა ერბოს“ ამბავი დამემართა. ვიოცნებე და მივადექი თინას უწყებას. ყველაფერი კარგად აეწყო. პრესსამსახურის უფროს დავუკავშირდი. მან, თავის მხრივ, ერთი კვირა ითხოვა იმისთვის, რომ მინისტრი და მოადგილე **ანა დოლიძე** საქმის კურსში ჩაეყენებინა. ერთი კვირის თავზე დამირეკა, — ყველაფერი რიგზეა და მზადება დაიწყეო.

უკვე მოგახსენეთ, რამდენი ხარჯია გასაწევი, როდესაც გამოფენას ამზადებ, მაგრამ ამას აღარ დაგიდევდით, რადგან თავდაცვის სამინისტრო გვეხმარებოდა. ხარჯი დაუშურებლად გავწიეთ. ბანკებიდან სესხიც კი ავიღე.

„პროკრედიტ ბანკთან“ კარგი ურთიერთობა მქონდა, თითქმის ყველა გამოფენას მათ ფოიეში ვაკეთებდი. რომ შეიტყვეს თავდაცვის სამინისტრო გვპატრონობდა, ბანკის პრესსამსახურის უფროსი თავდაცვის სამინისტროს დაუკავშირდა და შვედური მაგიდიდან დაწყებული ყველა წვრილმანი დეტალი მათთან შეათანხმა. გვინდოდა, სტუმრებთან არ შევრცხვენილიყავით. ღონისძიება ამ წლის 18 აპრილს იყო დაგეგმილი და დაახლოებით 200 სტუმარს ველოდით. ღონისძიებაზე სამინისტროს თხოვნით ის ბავშვებიც მოვიყვანეთ, რომელთა მამებიც ომში ან მისიებში დაიღუპნენ. მათი ეს ინიციატივა საქველოქმედო აქციისთვის კარგი იყო და ვფიქრობდით, რომ ამის გამო უამრავ ადამიანს მოიყვანდნენ.

18 აპრილიც დადგა, მაგრამ, სულ რაღაც, 12 ადამიანი მოვიდა, მათ შორის არ იყო არც მინისტრი და არც მისი მოადგილე. ალბათ, შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვები არ აინტერესებდათ, არც ნახატებით „მოიხიბლნენ“.

**მანქანიდან რომ გადმოვიდა, დავუძახე, სანდრა-მეთქი, მოიხედა და დამინახა, რომ ჩემი შვილის ეტლი მქონდა სხეულზე მიკრული, ხელში ბენზინის ბოთლი და სანთებელა მეჭირა, მაგრამ მისი რეაქცია ასეთი იყო — «არ მცალია!». მე გამაკავეს, სამაგიეროდ, სულ მკვდარი და ცოცხალი ვაგინე**

დრო რომ გავიდა და ცოტა აზრზე მოვედი, რესპუბლიკური პარტიის წევრებს დავურეკე, მათ კი **თინათინ ფუტკარაძესთან** დამაკავშირეს, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან დასავლეთის მიმართულებით. მას წერილის გადაცემა ვთხოვე თინა ხიდაშელისთვის და, როგორც შემდეგ მითხრა, გადასცა კიდეც, მაგრამ თინა ხიდაშელს პასუხი არ გაუცია. რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე **ხათუნა სამნიძემ** კი განმიცხადა, რაც სამინისტროში ხდება, თინამ ყველაფერი კი არ იცისო. **ვაი იმ მინისტრს, რომელმაც არ იცის, თავის სამინისტროში რა ხდება.**

ყველაფერი თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროს **თამუნა კაციტაძეს** გადააბრალეს და ღონისძიების დაგეგმვა ხელახლა მთხოვეს. ღონისძიება პაპანაქება სიცხეში უნდა ჩამეტარებინა, მაშინ, როდესაც თბილისში არავინაა, მაგრამ ბოლოს ესეც ჩაიშალა. მათ ჩემთვის აღარ დაურეკავთ. ყველა ტელევიზიას მივმართე, რომ ამ საკითხზე მელაპარაკა, მაგრამ ამაოდ. ტელევიზიები ფატალურ შედეგს ელოდებიან და მერე გააშუქებენ.

**თინა ხიდაშელისა და მისი ქმრის გასაგონად ვიტყვი: თქვენი შვილები ხომ გყავთ მაძღრები და ბედნიერები? რატომ არ ფიქრობთ, რომ ინვალიდი ბავშვების მშობლებსაც სურთ ჯანმრთელი და ბედნიერი შვილები ჰყავდეთ. გვიჭირს, დახმარება გვჭირდება.** 18 აპრილს ხიდაშელი ღინისძიების ჩატარებაში რომ დაგვხმარებოდა, სააღდგომოდ შშმ ბავშვებს გავახარებდით. თინა ხიდაშელისგანაც გაწირულები არიან შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვები. კატეგორიულად მოვითხოვ თინა ხიდაშელისგან, სანდრა რულოვსისა და მანანა შევარდნაძისგან, ფონდის მიერ გაწეული ხარჯები ათმაგად ამინაზღაურონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად ვუჩივლებ.

ზუსტად ასეთი რამ გააკეთა დედაქალაქის მერის ცოლმა, ქალბატონმა **თინიკო თინიკაშვილმაც.** დახმარება ვთხოვე და სხვასთან გამგზავნა. მაშინაც ხარჯი გავწიეთ და ღონისძიება არ გაიმართა.

პრეზიდენტის მეუღლემ **მაკა ჩიჩუამ** შემოგვითვალა, — არ მცალიაო, ისიც ერთი თვის თავზე დაგვდო პატივი, პასუხი რომ გაეცა; ჟურნალისტმა **ინგა გრიგოლიამ**, — თავი დამანებეთ, რა გამიჭირეთ საქმე თქვენი დებილი ბავშვებითო.

ნეტავ, იცოდეთ, რამდენი საპროტესტო აქცია გამიმართავს, რამდენჯერ მიშიმშილია, ჩემი პრობლემა ვინმეს გულთან რომ მიეტანა, მაგრამ ახლა დადგა დრო, ყველამ პასუხი აგოს. არავის შევარჩენ ჩვენთვის განკუთვნილი ფულის შეჭმას. არ გაიხარებს არავინ. როდის ჰქონდა ნატა ფერაძეს სექსი — ეს უფრო საინტერესოა ქართული ტელევიზიებისთვის, ვიდრე შშმ ბავშვების პრობლემა?!

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თურქეთში დღესაც არ არის გაუქმებული 1920 წლის იანვარში ოსმალეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, ე.წ ეროვნული აღთქმა, რომელიც თავისი არსით დამოუკიდებლობის დეკლარაციას წარმოადგენს და მასში ქვეყნის ტერიტორიებია განსაზღვრული. „აღთქმის“ მეორე მუხლი სწორედ ბათუმს ეხება. მასში ნათქვამია, რომ ამ ტერიტორიის მოსახლეობამ ერთხელ უკვე დაადასტურა დედასამშობლოსთან მიერთების სურვილი (იგულისხმება 1918 წლის აგვისტოში თურქების ოკუპაციისას ჩატარებული პლებისციტი) და, თუ საჭირო იქნება, კიდევ შეიძლება მსგავსი რამ ჩატარდესო.**

## სიმონ კილაძე:

# თურქეთი თავს ბათუმის ოლქის სიუზერენად მიიჩნევს

**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ თაიფ ერდოღანმა რამდენიმე დღის წინათ რიზეს უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას ჩამოთვალა სხვადასხვა ქვეყანა, კუნძული, მხარე და ქალაქი, რომლებიც, მისი აზრით, თურქეთის საზღვრებში უნდა მოექცეს. ჩამოთვლილ ქალაქებსა და ქვეყნებს შორის, ბულგარეთის ვარნასთან, კვიპროსთან, ეგეოსის კუნძულებსა და სხვებთან ერთად იყო ბათუმიც. თურქეთის პრეზიდენტის ამ განცხადებას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რეაქცია არ მოჰყოლია. ჩვენ ანალიტიკოს სიმონ კილაძეს დავუკავშირდით და შევეცადეთ, გაგვერკვია, რას ნიშნავს თურქეთის პრეზიდენტის ეს განცხადება და რა საფრთხის შემცველია საქართველოსთვის.**






**— ის, რომ ბათუმი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო და კვლავ უნდა დაბრუნდეს, თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან არაერთხელ მოგვისმენია, მაგრამ რამ აიძულა რეჯეფ ერდოღანი, რომელიც თავს ქართველად მიიჩნევს, ეს ეთქვა?**

— თურქეთის პრეზიდენტის ეროვნება, თუ მხედველობაში მივიღებთ მისივე აღიარებებს და საჯარო განცხადებებს, შეიძლება ითქვას, სიტუაციის შესაბამისად იცვლებოდა. 1956 წელს, როცა პატარა რეჯეფი ერთი წლის გახდა, ოჯახი სტამბოლიდან საცხოვრებლად თურქეთის ჩრდილოაღმოსავლეთ რეგიონში, რიზეში გადავიდა, საქართველოსთან ახლოს, სადაც მამამისს, ახმედს, მრავალრიცხოვანი ნათესაობა ჰყავდა. რეჯეფმა რიზეში ბავშვობის 12 წელი გაატარა. ის პოლიტიკური კარიერის დასაწყისში ამბობდა, ჩემი წინაპრები აჭარიდან არიან და რიზეში დასახლდნენო. **„მე ეთნიკური თურქი არ ვარ, ქართული ფესვები მაქვს, როგორც მამის, ისე დედის მხრიდან“,** — ციტირებდა ერდოღანის სიტყვებს თურქული გაზეთი „მილიეთი“. 2003 წელს, როცა ერდოღანი საქართველოში ჩამოვიდა, ჩვენი მედია ამ საკითხზე საკმაოდ ბევრს წერდა და აღნიშნავდა, რომ თურქეთის ლიდერმა დაადასტურა, — მისი ნათესავები ქართველები (ლაზები) არიან, პაპამისსაც რეჯეფი ერქვა, ბათუმთან ახლოს ერთ-ერთი სოფლის იმამი იყო, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ კი, როცა აჭარა ქუთაისის გუბერნიაში შევიდა, ოჯახით რიზეში გადასახლდაო. სხვათა შორის, თურქული ოპოზიციაც საკმაოდ ხშირად იხსენებდა ხოლმე ამ ფაქტს: „ჩვენი პრემიერმინისტრი რომ ამბობს, ცოლად არაბი ქალი მყავს, მე კი წარმოშობით ბათუმელი ვაროო, ამით პროვოკაციას უწყობს თურქეთის 35 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელს“, — ამბობდა ოპოზიციური პარტიის ლიდერი **დევლეთ ბახჩელი** 2010 წელს. 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ტელევიზიით გამოსვლისას კი ერდოღანმა მტკიცედ განაცხადა: **„მე სტამბოლელი ვარ, მორჩა, წერტილი დავსვი. არ დაიჯეროთ, რაც უნდა მოისმინოთ ჩემ შესახებ. ერთი ამბობდა, რომ მე თითქოს წარმოშობით ქართველი ვყოფილვარ; მეორე იძახდა, ბოდიში ამ გამოთქმისთვის, თურმე სომეხი არისო. მამაჩემიც, პაპაჩემიც და სხვა ნათესავებიც ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ მე თურქი ვარ...“**

ასე რომ, რეჯეფ ერდოღანი ეროვნებით არის თურქი, მას თურქი წინაპრები ჰყავს და, როგორც თურქეთის პრეზიდენტი, თავისი სახელმწიფოს ინტერესებს იცავს, იხსენებს ოსმალეთის ისტორიულ საზღვრებს და თავისი სახელმწიფოს განდიდებისთვის იღვწის. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მისი განცხადება ქალაქ რიზეს უნივერსიტეტში.

**ამასთანავე, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მომენტს: თურქეთის შემადგენლობაში ბათუმის ყოფნის სურვილი რომელიმე თურქ პოლიტიკოსს, პუბლიცისტს ან პოლიტოლოგს რომ გამოეთქვა, ეს კიდევ შეიძლება მოსათმენი ყოფილიყო, მაგრამ, როცა ამას ამბობს თურქეთის პრეზიდენტი, როგორც მმართველი ისლამისტური პარტიის ლიდერი და ნეოოსმანიზმის იდეოლოგიის რეალიზატორი, ქვეყნის მეთაური, რომლის ყოველი საჯარო გამოსვლა მასმედიის თანდასწრებით, წესით, სახელმწიფოს ოფიციალურ პოზიციად უნდა ჩაითვალოს, უკვე საკმაოდ დამაფიქრებელ მოვლენასთან გვაქვს საქმე.**

ჩვენებური უპრინციპო პოლიტოლოგები და მაამებელი ექსპერტები ამბობენ, რა მოხდა, ეფენდი ერდოღანმა ეს განცხადება შიგა მოხმარებისთვის გააკეთაო. რას ნიშნავს შიგა და გარე მოხმარება? **როცა სახელმწიფოს პრეზიდენტი, ქვეყნის მეთაური, საჯაროდ, მასმედიის თანდასწრებით ლაპარაკობს ევროპისა და აზიის ქვეყნებზე, რომლებიც ადრე, მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ, ეს „შიგა მოხმარებისთვის“ გაკეთებულ განცხადებად როგორ უნდა მიიჩნიო?!** რა, შუა საუკუნეებია, კომუნიკაცია არ არსებობს და, რიზელების გარდა, ბაშკან-პრეზიდენტის ნათქვამს ვერავინ შეიტყობდა?

დიახ, ძალზე არასასიამოვნო ფაქტია, რომ ბოლო წლებში ამგვარი განცხადებები საკმაოდ გახშირდა. **უკვე შესამჩნევია ტენდენცია იმისა, რომ თურქეთი, 1990-იანი წლებიდან გააქტიურებულ პანთურქიზმის პოლიტიკას, რომელიც ევრაზიის კონტინენტზე მცხოვრებ თურქულენოვანი ეთნოსების კონსოლიდაციას გულისხმობს კავკასიისა და შუა აზიის ჩათვლით, ახლა ნეოოსმანიზმით ცვლის, ანუ პოლიტიკური გავლენით იმ ქვეყნებსა და ტერიტორიებზე, რომლებიც ადრე ოსმალეთის იმპერიაში შედიოდნენ.** შესაბამისად, ანკარა ცდილობს, მეზობელ, შედარებით სუსტ სახელმწიფოებზე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენა ჰქონდეს. სამწუხაროდ, ზოგჯერ ამგვარ პოლიტიკას, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენც ხელს ვუწყობთ. **აჭარაში თურქული ბიზნესის მომძლავრება, თურქული კულტურის გავლენის გაძლიერება-გაფართოება, ამას წინათ ბათუმში მომხდარი თურქულ სკოლასთან დაკავშირებული სკანდალიც ამ ჩარჩოებში თავსდება.**

**— ეს დაკავშირებული ხომ არ არის ყარსის ხელშეკრულების ვადის ამოწურვასთან?**

— არა მგონია. საქმე ის არის, რომ **თურქეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) შორის 1921 წლის 13 ოქტომბერს ქალაქ ყარსში ხელმოწერილ ხელშეკრულებაში მისი მოქმედების ვადები მითითებული არ არის, ანუ ხელშეკრულება უვადოა.** სხვათა შორის, უვადოა 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში რუსეთსა და თურქეთს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებაც, რომლის საფუძველზეც ყარსის დოკუმენტი გაფორმდა. აქედან გამომდინარე, ერდოღანის განცხადება უფრო მისი პარტიის იდეოლოგიითა განპირობებული, ვიდრე ხელშეკრულების ვადით. თურქებმაც მშვენივრად იციან, რომ 95 წლის წინათ გაფორმებული დოკუმენტი უვადოა, მაგრამ ჩუმად, შენიღბულად, „რბილ ძალას“ იყენებენ — ეკონომიკურ მეთოდებს, კულტურის სფეროს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ხსენებული დოკუმენტები საქართველოსთვის საკმაოდ საჩოთირო, ორმაგ დებულებებს შეიცავს, მხედველობაში მაქვს ის, რომ თურქეთი თავს თითქოსდა ბათუმის ოლქის სიუზერენად მიიჩნევს, თუმცა გვითმობს სიუზერენიტეტს გარკვეული პირობებითა და დათქმით. სიუზერენობა კი რას ნიშნავს, ყველასთვის გასაგებია. სხვათა შორის, **თურქეთში დღესაც არ არის გაუქმებული 1920 წლის იანვარში ოსმალეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, ე.წ. ეროვნული აღთქმა, რომელიც თავისი არსით დამოუკიდებლობის დეკლარაციას წარმოადგენს და მასში ქვეყნის ტერიტორიებია განსაზღვრული. „აღთქმის“ მეორე მუხლი სწორედ ბათუმს ეხება. მასში ნათქვამია, რომ ამ ტერიტორიის მოსახლეობამ ერთხელ უკვე დაადასტურა დედასამშობლოსთან მიერთების სურვილი (იგულისხმება 1918 წლის აგვისტოში თურქების ოკუპაციისას ჩატარებული პლებისციტი) და, თუ საჭირო იქნება, კიდევ შეიძლება მსგავსი რამ ჩატარდესო.** აი, ასეთი სამართლებრივი „წყალქვეშა რიფებია“ საქართველო-თურქეთის ურთიერთობაში.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მოსკოვი-ყარსის ხელშეკრულების „მოქმედების ვადის გასვლაზე“ სომეხი დიპლომატები ჯერ კიდევ 2001 წელს ალაპარაკდნენ. მათი ვარაუდით, არსებობს მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების „საიდუმლო დამატებები“, რომლებშიც მითითებულია სწორედ მოქმედების ვადები — 1946 წლამდე. მოგვიანებით კი „დააზუსტეს“ — თითქოსდა 2021 წლამდე, თუმცა დამადასტურებელ დოკუმენტებს დღემდე ვერსად მიაკვლიეს — ვერც მოსკოვში და ვერც ერევანში. რაც შეეხება თურქებს, მათ რომ ჰქონდეთ ასეთი დოკუმენტები, მყისვე გამოაქვეყნებდნენ, რადგან ანკარისთვის ეს მომგებიანია. აი ასეთი ბლეფისა სჯერა ბევრ ქართველ ექსპერტ-პოლიტოლოგს და წამდაწუმ იმეორებს: „ყარსის ხელშეკრულება ასი წლის ვადით არის დადებული...“, „ყარსის ხელშეკრულებას ვადა 2021 წელს გასდის“ და ა.შ. ასეთი განცხადებები არასერიოზულია.

**— რა საფრთხე გვემუქრება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთის პრეზიდენტი და ერდოღანი შეხმატკბილებული მოქმედებენ სირიაში?**

— რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას საქართველოსთვის ყველა ეპოქაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ახლაც ასეა. ჩვენ ხომ გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ძლიერი მეზობლების ე.წ. ინტერესების სფეროში ვართ. რაც შეეხება სირიაში ანკარისა და მოსკოვის მოქმედებას, იქ ორივეს განსხვავებული ინტერესები ამოძრავებს...

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს მოსკოვი-ყარსის ხელშეკრულებამ ერთგვარი შემკავებლის როლი შეასრულა: ბათუმში არც თურქეთისა და არც რუსეთის ჯარები არ შესულან, არადა, საფრთხე რეალური იყო. საქმე ის არის, რომ ყარსის ხელშეკრულებას, თურქეთის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლების ხელმოწერებთან ერთად, რუსეთის წარმომადგენლის, **იაკობ განეცკის**, ხელმოწერაც ამშვენებს. ეს, ალბათ, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აჭარის ავტონომიის „საერთაშორისო გარანტორები“ გარკვეულწილად რუსეთი და თურქეთი არიან.

ჩვენთვის შედარებით უფრო პრობლემურია ისეთი სიტუაცია, რომელმაც რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვი-ყარსის ხელშეკრულებების დენონსირება შეიძლება მოახდინოს. ეს, სავარაუდოდ, მწვავე კრიზისს გამოიწვევს, რაც ნიშნავს, რომ **საქართველო შეიძლება ორი მეზობლის დაპირისპირების პოლიგონად გადაიქცეს** და, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ თურქეთი ნატოს წევრია, მაშინ...

**— სწორია პოლიტიკა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ აირჩია, ვგულისხმობ, წაყრუებას? საქართველოს ხელისუფლებას ერდოღანის განცხადებაზე რეაქცია არ ჰქონია...**

— თურქი საზოგადოების რადიკალ წარმომადგენლებს ადრეც გაუკეთებიათ მსგავსი განცხადებები, მასმედიაში ქვეყნდება ოსმალეთის იმპერიის ისტორიული და თანამედროვე თურქეთის წარმოსახვითი რუკები, რომლებზეც აჭარა თურქეთის შემადგენლობაშია. ასეთი ადამიანების ხმას ახლა უკვე პრეზიდენტ ერდოღანის ხმაც დაემატა. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე სახელმწიფოს მეთაურის ნათქვამი სხვაგვარად აღიქმება, ამიტომაც ვფიქრობ, რომ **საქართველოს ხელისუფლებამ დიპლომატიური არხების მეშვეობით უნდა მიანიშნოს თურქ ლიდერებს, რომ მსგავსი განცხადებები მეგობარი სახელმწიფოს ტერიტორიის შესახებ არაკეთილმეზობლური მოქმედებაა.** თურქეთის ხელმძღვანელებს კორექტულად უნდა ავუხსნათ, რომ ქართველი საზოგადოება ყურადღებით ადევნებს თვალს ქართულ-თურქული ურთიერთობების პროცესს და მათი ყოველი ემოციური თუ დაუფიქრებელი გამონათქვამი ტერიტორიების შესახებ ჩვენთვის მტკივნეულია.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ თურქეთი აღმოსავლური დიპლომატიის ქვეყანაა, რაც ნიშნავს იმას, რომ ხშირად იცვლის პოლიტიკურ ვექტორებსა და მიზნებს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ბაქარ სვანიძის
საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდის გველირსება ქვეყნის ან თუნდაც ოპოზიციური პარტიის სათავეში ჩვეულებრივი პოლიტიკური ლიდერების ყოფნა და არა „ერის მოძღვრების“, ლამის ფსიქიატრიულ დაავადებამდე მისული „ბრძენკაცების“?.. როდემდე უნდა გადავაყოლოთ ქვეყანა ამ სრულიად უნიჭო, ხელოვნურად „გაბრძენებული“, ჭკვიანის პოზამიღებული ტუტუცების ბელადებად გამოცხადებას?**

# ლიდერთა ბელადური მისწრაფებანი, ანუ «ჩვენი ცეკას მდივანი ნიჭიერი კაცია!»

**რამ დაღუპა დიადი საბჭოთა კავშირი? — ამ კითხვას ხშირად მოჰკრავთ ყურს ტრანსპორტში, ბაზარში, უბანში, ოჯახშიც კი, ბებია-ბაბუებთან საუბრის დროს. ჩემი აზრით, პასუხი ერთია — მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე უდიდესი იმპერია დაშალა სწორედ იმან, რამაც სხვა იმპერიები — სხვადასხვა პერიოდში, კერძოდ, გაზულუქებამ, უდარდელობამ, იოლმა ცხოვრებამ და, რაც მთავარია, კაცობრიობის განვითარებისთვის ფეხის დროულად ვერაწყობამ.**



„უძრაობის პერიოდს“ ტყუილად ნამდვილად არ უწოდებენ პოლიტიკური ექსპერტები ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მმართველობის პერიოდს. როდესაც მიჩნეულ იქნა, რომ სსრკ-ის ცეკას გენერალურ მდივნად ბრეჟნევის არჩევით საბჭოთა კავშირში სოციალიზმმა მიაღწია განვითარების უმაღლეს საფეხურს, მორჩა, განვითარება შეჩერდა და შეიძლება ითქვას, მთელი 30 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში არაფერი შეცვლილა.

ტექნიკურ განვითარებას კიდევ არაფერი უჭირს. მთავარი იყო ის, რომ საბჭოეთი არ განვითარებულა საზოგადოებრივად. ერთი ცვლილებაც არავის შეუტანია კონსტიტუციაში, არ შეცვლილა სისხლის სამართლის კოდექსი და ასე შემდეგ. საბოლოოდ, მაშინ, როდესაც თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1950-იან წლებამდე ამერიკაც და ევროპაც გაცილებით უკან იყვნენ საბჭოთა კავშირზე ადამიანების რასობრივი და რელიგიური დისკრიმინაციის კუთხით, სოციალური განსხვავების გამო ჩაგვრისა და სხვა მიმართულებებით, უკვე 1970-იანი წლებიდან ევროპამაც და ამერიკამაც მკვეთრად გაასწრეს მას ამ სფეროებშიც და დიად საბჭოეთს კაცობრიობის თვალში აღარაფერი დარჩა სატრაბახო.

შავი კანის, ყვითელი კანის, მუსლიმანობისა და კიდევ სხვა ნიშნებით ადამიანების განსხვავებასა და ჩაგვრას ბოლო მოეღო. მსოფლიოს ცივილიზებულ ნაწილში გადაიხედა სისხლის სამართლის კოდექსებიც, მოხდა მკაცრი სასჯელების ჰუმანიზაცია და უკვე 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ცივილიზებულ ნახევარში ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელშიც ადამიანებს ჯერ კიდევ სჯიდნენ სიკვდილითა და დახვრეტით ეკონომიკური დანაშაულისთვისაც კი...

და, რაც მთავარია — მაშინ, როდესაც ამერიკა-ევროპამ მკაცრი და საბოლოო უარი განაცხადა ბელადებზე, საბჭოთა სივრცე ჯერაც ბელადის მოთხოვნით ცხოვრობდა და უკვე ღრმად მოხუცებული, თითქმის „მოარულ ფიტულად“ ქცეული **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის** გაღმერთება-გამესიებით იყო დაკავებული. სწორედ ამ მიზეზით ვერ ხერხდებოდა ბრეჟნევის გადაყენება, მის ადგილზე საღად მოაზროვნე პოლიტიკოსის მოყვანა და ლპობის პროცესის დროულად შეჩერება, რომელიც საბჭოეთს მოურჩენელ მეტასტაზებად მოედო...

როდესაც ლეონიდ ილიჩმა თქვენი ჭირი წაიღო, უკვე 15-ვე რესპუბლიკის ცენტრალურ კომიტეტებშიც და თვითონ კრემლშიც ისეთი ოდიოზური პერსონები იყვნენ შემძვრალმოკალათებულნი, რომ ამ მოშლილი უზრამაზარი მექანიზმის საბოლოო რღვევა გარდაუვალი იყო.

უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, ამ ძირმომპალი „მანქანის“ სათავეში ცეტი **მიხეილ გორბაჩოვი** მოექცეოდა თუ ვინმე სხვა. აი, ათიოდე წლით ადრე რომ მოეხერხებინა საბჭოთა ხალხს და უკვე „მოფამფალებული“ ბრეჟნევის ნაცვლად ქვეყნის სათავეში დაესვა ისეთი მტკიცე ნებისყოფის, გლობალურად მოზაროვნე, თუნდაც არადემოკრატი, მაგრამ რუსეთის ერთგული და პატრიოტი ლიდერი, როგორიც დღეს **ვლადიმერ პუტინია**, „ბოროტების იმპერია“ ეგებ არც კი დანგრეულიყო და სრულიად სხვა, მოდერნიზებული სახით წარდგომოდა კაცობრიობას, როგორც უძლეველი ზესახელმწიფო...

თუმცა ამას ხელი ყველაზე მეტად სწორედ მსოფლიოში იმ დროისთვის უკვე უარყოფილმა, დაგმობილმა და „გოიმობად“ მიჩნეულმა, მაგრამ საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ მყარად ფეხმოკიდებულმა და საზოგადოებაში სასტიკად ფესვგადგმულმა „ბელადომანიამ“ შეუშალა.

**ბელადი ხელშეუხებელია!** რასაც ბელადი იტყვის, უსიტყვო ჭეშმარიტებაა! რასაც ბელადი მოიმოქმედებს, ესე იგი, ასეა საჭირო! ბელადი ბრძენია!

ალბათ, ძალიან შორიდან მოვუარე, მაგრამ ეს საბჭოთა ისტორიული წიაღსვლა იმისთვის დამჭირდა, რომ ქართულ დღევანდელობასთან ლოგიკურად მოვსულიყავი.

ხშირად მოისმენთ რაიმე ფაქტზე, მოვლენაზე ან პერსონაზე საუბრისას, ეგ საბჭოთა გადმონაშთიაო. ამას, ძირითადად, რაიმე ცუდზე ან მიუღებელ პერსონაზე ამბობენ ხოლმე. ვერ დავეთანხმები, რადგან იმ საბჭოეთში კარგიც ბევრი იყო და ალტრუისტი ადამიანებისთვის მისაღებიც, მაგრამ ხსენებული „ლიდერომანიის“ გადმონაშთები კი აშკარად ეტყობა ჩვენს ქვეყანას. შეგვძლია თავისუფლად ვთქვათ, რომ არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანას, არამედ მთელ **პოსტსაბჭოეთსაც უკურნებელ სენად აქვს მოდებული „ბელადომანია“ და თავი მხოლოდ იმით შეგვიძლია ვინუგეშოთ, რომ ჩვენს უშუალო აღმოსავლურ სამეზობლოში ეს სენი გაცილებით მომაკვდინებლად არის გამჯდარი, ვიდრე ჩვენში.** თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ მაინც ჩვენი უფრო გვედარდება, მით უფრო, რომ ასეთი დაავადება სერიოზულად აფერხებს სახელმწიფოს განვითარებას.

კიდევ ერთი რამეა შესამჩნევი — **ჩვენში მხოლოდ ის ლიდერები კი არ „ბელადდებიან“, რომლებიც ქვეყნის პირველ პირობას მიაღწევენ, არამედ მათაც კი, ვინც მეტ-ნაკლებად გავლენიან პოლიტიკურ გუნდს, პარტიას ჩამოაყალიბებს, მალევე ეწყებათ „ალექსანდრე მაკედონელობის“ სინდრომი და რა „სიბრძნეებით“ უჭედავს ყურებს „მრევლს,“ თვითონაც აღარ იცის.**

ვერ გეტყვით, ჩვენს მოსაზღვრე ყოფილ საბჭოთა ქვეყნებშიც ასეა თუ არა, რადგან მხოლოდ მათი სახელმწიფოების პირველი პირების შესახებ გვაქვს ინფორმაცია და არ ვიცით „ბელადობენ“ თუ არა ე.წ. ოპოზიციური პარტიების ლიდერებიც, მაგრამ ჩვენში, ფაქტია, რომ „ბელადების“ ცვენაა. ყველა ასე თუ ისე ცნობილ პოლიტიკოსს, რატომღაც „ერის მოძღვრისა“ და „ბრძენთაბრძენის“ ტიტულის მოპოვება სურს.

ამის ნათელი მაგალითია აწ უკვე საპარლამენტოდ ქცეული „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის, ბატონი **დავით თარხან-მოურავის** პერსონა. მკითხველს არ დასჭირდება იმის შეხსენება, რა ფურორი მოახდინა ინტერნეტით გავრცელებულმა ვიდეომ, სადაც ბატონი თარხან-მოურავი ამტკიცებს, რომ იგი არა მხოლოდ ერეკლე მეფის, **დავით აღმაშენებლისა** და წმინდა დიდმოწამე **ქეთევან დედოფლის**, არამედ მუსლიმანთა წმინდა წინასწარმეტყველ **მაჰმადის**, მისი ბიძის **ხამზასა** და, საზოგადოდ, ისლამის ყველა ფუძემდებლის შთამომავალია სხვადასხვა მიმართულებით, ოღონდ ქალის ხაზით.

**მთავარი აქ ის კი არ არის, რატომ მოუნდა უცებ დავით თარხან-მოურავს მაჰმადის შთამომავალი ყოფილიყო, არამედ ის, რომ მსგავსი „სიბრძნეებით“, უკვე კარგა ხანია, გაჯერებულია მისდამი დაქვემდებარებული ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერი. იქიდან ბატონი დავითი ხან ქართული სუფრის მნიშვნელობას გვიხსნის შთამაგონებელი ინტონაციით, ხანაც იმაზე გველაპარაკება, რას ნიშნავს, იყო ქართველი, და ხანაც ბიბლიის ერთადერთ სწორად წამკითხველის ფუნქციებსაც კი იღებს საკუთარ თავზე.**

სავსებით ნათელი იყო, რომ საზოგადოების ფართო ფენებში ამ „სიბრძნისმფრქვევლობის“ საპასუხო ირონია დაგროვდებოდა და ერთხელაც იფეთქებდა. ამისათვის „ხამზას შთამომავლის“ მონოლოგი იქცა კიდეც ბოლო წვეთად.

რა თქმა უნდა, მხოლოდ თარხან-მოურავი რომ იყოს საქართველოში ასეთი სენით ავად, კიდევ არაფერი გვიჭირს. დავით თარხან-მოურავს არაფრით ჩამორჩებიან **ირაკლი ალასანია** და **ნინო ბურჯანაძე**. მათგანაც არაერთხელ მოგვისმენია, როგორი „ერთადერთები“, „განუმეორებლები“ და „ბრძენები“ არიან.

ვერ გამოვტოვებთ **შალვა ნათელაშვილსაც**, რომელსაც იგავებით ეზოპესეულ სტილში უყვარს ლაპარაკი და „ქვეყანა ერთხელ მაინც მანდეთო“, — იხვეწება, რადგან ამდენი იგავი იცის ზეპირად.

მათზე კი, ვინც ოდესღაც რეალურად იყვნენ საქართველოს პირველი პირები, ლაპარაკიც აღარ არის. ყოველი მათგანი ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული პოლიტიკური მმართველის სტატუსს არ სჯერდებოდა და ცდილობდა, შეეთავსებინა „ერის მოძღვრის“ ფუნქციებიც.

თქვენ წარმოიდგინეთ, მათ შორის ყველაზე უფრო პროფესიონალი და „ცივსისხლიანი“ პოლიტიკოსი **ედუარდ შევარდნაძეც** კი, ბოლო პერიოდში მაინც შეიჭრა „ბრძენთაბრძენის“ როლში და მასაც კი ჰქონდა ორიოდე მომენტი, როდესაც, წმინდა პოლიტიკური განცხადებების ნაცვლად, მოულოდნელად „ქადაგად დავარდა“ და ერს „ბრძნული“ ცხოვრებისეული აზრები გადმოუფრქვია.

ბოლოს კი დამსახურებულად უნდა მივანიჭოთ პირველი ადგილები „სიბრძნის“ რეკორდსმენებს — **მიხეილ სააკაშვილსა** და **ბიძინა ივანიშვილს**. დიახ, ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომელი მათგანია ამ მიმართულებით პირველ ადგილზე და რომელი — მეორეზე. შესაძლოა, ზვიად გამსახურდიას კიდეც გაესწრო მათთვის „სიბრძნეების ფრქვევაში“, მაგრამ მოგეხსენებათ, სამხედრო გადატრიალებამ ზვიადს არ აცალა „ფრთების ბოლომდე გაშლა“.

ამიტომ, როგორც სპორტში იტყვიან ხოლმე, პირველ ადგილს იყოფენ მიშა და ბიძინა.

მათ „ბრძნულ გამონათქვამებს“ ახლა აქ აბზაც-აბზაც აღარ მოვიტან, ისედაც მშვენივრად ახსოვს საზოგადოების ნორმალურ ნაწილს და ეს ნაწილი ხვდება კიდეც, რატომ არის დღეს სახელმწიფოსთვის დამაზიანებელი, როდესაც პოლიტიკოსი საკუთარი პოლიტიკოსობით არ კმაყოფილდება და „ერის მამის“ ტიტულის შეთავსებასაც ცდილობს.

**საინტერესოა ისიც, რატომ მიაჩნიათ ქართველ პოლიტიკოსებს, რომ, თუკი ლიტერატურის „ღრმა ცოდნას“ გამოავლენენ, ეს მათ პოლიტიკურ იმიჯზე დადებითად იმოქმედებს. რა საჭიროა ვითომ, რომ ადამიანი, რომელიც ქვეყანას მართავს, არის პოლიტიკოსი, სიღრმისეულად ერკვეოდეს ლიტერატურაში?**

არადა, ყველას კარგად გვახსოვს ჩვენი ქვეყნის პირველი პირების უბადრუკი მცდელობები, საზოგადოებისთვის დაენახვებინათ, რომ ზეპირად იციან ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები, რაც ყოველთვის კომიკური შედეგით, შედევრის სტროფების ულვთოდ დამახინჯებული ფორმით გადმოცემითა და საბოლოოდ ხალხის ყბაში ჩავარდნითა და დაუნდობელი დაცინვით სრულდებოდა ხოლმე.

გვახსოვს, აგრეთვე, ცალკეული ნაწარმოებებიდან ციტატების მოყვანისას ამ ნაწარმოების ავტორად სულ სხვა მწერლის გამოცხადების შემთხვევებიც, ზოგჯერ ნაწარმოები და ავტორი რამდენიმე საუკუნით ასცილებია ერთმანეთს...

არ ვიცი, საჭირბოროტოდ თუ მიიჩნევს მკითხველი ახლა ამ თემას და ამ საგაზეთო წერილს, მაგრამ მინდა დავსვა მარტივი კითხვა — **როდის გველირსება ქვეყნის ან თუნდაც ოპოზიციური პარტიის სათავეში ჩვეულებრივი პოლიტიკური ლიდერების ყოფნა და არა „ერის მოძღვრების“, ლამის ფსიქიატრიულ დაავადებამდე მისული „ბრძენკაცების“?**

მსოფლიომ კარგა ხნის წინათ თქვა უარი სახელმწიფოების სათავეებთან იულიუსების, ალექსანდრეების, ნაპოლეონების, ჰიტლერების, ფრანკოების, დუჩეების, კასტროებისა და მათი მსგავსი „ქარიზმული“ ბელადების მოყვანაზე... მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილნი მართლაც იყვნენ დაჯილდოებული განსაკუთრებული ნიჭით და მართლაც ჰქონდათ სიბრძნე გარკვეული დოზით...

აი, ჩვენ კი **როდემდე უნდა გადავაყოლოთ ქვეყანა ამ სრულიად უნიჭო, ხელოვნურად „გაბრძენებული“, ჭკვიანის პოზამიღებული ტუტუცების ბელადებად გამოცხადებას?** როდემდე უნდა ვიძახოთ ხან ერთი, ხან მეორე ბელადით აღფრთოვანებულებმა: „ჩვენი ცეკას მდივანი ნიჭიერი კაცია! უხ, რა ნიჭიერი კაცია ჩვენი ცეკას მდივანი!“

და ეს მაშინ, როდესაც ქვეყანა, ამდენი „ბრძენი ბელადის“ ხელში, 30 წელიწადია, ჯანდაბისკენ მიექანება...

**ეს ახალი გერბი ნაცებმა არჩევნებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე შეიმუშავეს და გამოაქვეყნეს, როგორც განახლებული „ნაციონალური მოძრაობის“ სიმბოლო. ესე იგი, ეს მოძრაობა უკვე „ერთიანი“ კი არა, „ერთთვიანი“ ყოფილა, ანუ არჩევნებამდე ერთ თვით ადრე შეკოწიწებული, მასში სანდრას შესვლითა და ზუგდიდში მაჟორიტარული არჩევნების მოგების მცდელობით. თუმცა, როგორც ჩანს, ნაცებს გული უგრძნობდათ, რომ არჩევნების შემდეგ, ანუ ზუსტად ერთ თვეში მათი მოძრაობა კიდევ უფრო მეტად დაქუცმაცდებოდა და მისგან აღარაფერი დარჩებოდა.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ერთთვიანი ნაციონალური მოძრაობა» — საიდუმლო ამოხსნილია

**სკანდალური ინფორმაციის მოპოვებაზე დაგეშილმა ჩვენმა გადარეულმა კორესპონდენტმა გადასარევი ინფორმაცია მოგვაწოდა „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისიდან. კერძოდ, ჩვენს დაგეშილ კორესპონდენტს ყოველთვის უკვირდა, რატომ ეწოდებოდა ამ ორგანიზაციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, როდესაც იგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების დღიდან იშლებოდა მარტივ მამრავლებად. 2012 წლის შემდეგ მას ჯერ „კუბლაშვილების გირჩი“ გამოეყო, შემდეგ — „ვაშაძეები“, ცალკეულ გაქცეულ წევრებზე კი აღარც არის საუბარი. სწორედ ამიტომ, როდესაც კიდევ ერთხელ გამოცხადდა ნაცებში განხეთქილების შესახებ, ჩვენი გადარეული კორესპონდენტი მსწრაფლ იქ გაჩნდა და დაიწყო დაკვირვება იმაზე, თუკი ასე წამდაუწუმ იშლება, მაშ, რატომღა ჰქვია ამ ორგანიზაციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაო“.**




ამჯერად საუბარია „ნაცების“ ორი გამორჩეული ლიდერის — **დავით ბაქრაძისა** და **სანდრა რულოვსის** დაპირისპირებაზე. მოგეხსენებათ, ქალბატონ სანდრას არ სურს „გაყალბებული არჩევნების“ მიზეზით პარლამენტში შესვლა, ხოლო ბატონი დავითი ძალუმად მიიწევს პარლამენტისკენ და სულაც არ აპირებს დეპუტატის მსუყე შემოსავლისა და პრივილეგიების დათმობას ვიღაც მიშასა და მისი ჰოლანდიელი ცოლის ხუშტურების გამო.

როგორც ჩვენი გადარეული კორესპონდენტი გვატყობინებს, ნაცების ოფისში საქმე ისე დაძაბულა, რომ მხარეები უკვე შეტაკებისთვისაც კი არიან მზად. ეტყობა, ამიტომაც აფრქვევენ ხოლმე საომარ რიტორიკას: „ჩვენ საბრძოლველად მზად ვართ და ბოლომდე ვიბრძოლებთ!“ — ამას ამბობენ პარლამენტში შესასვლელად მზადმყოფი „ბაქრაძისტებიც“ და პარლამენტში არშესვლის მომხრე „სანდრისტებიც“. „ჩვენ პარლამენტში შევალთ და ვიბრძოლებთო“, — ამბობენ ერთნი. „ჩვენ პარლამენტში არ შევალთ და ვიბრძოლებთო“, — აცხადებენ მეორენი. როგორც ჩვენმა გაშტერებულმა კორესპონდენტმა საკუთარი თვალით იხილა, მხარეებს შესაბამისი ლოზუნგები და პლაკატებიც კი მოუმზადებიათ, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის საბჭოთა პლაკატების ანალოგიურია. ერთზე დავით ბაქრაძეა გამოსახული წარწერით „შენ! შეხვედი პარლამენტში?!“, ხოლო მეორეზე სანდრა რულოვსია აღბეჭდილი წარწერით „დედა-რულოვსი გვიხმობს“!

**ქალბატონ სანდრას არ სურს «გაყალბებული არჩევნების» მიზეზით პარლამენტში შესვლა, ხოლო ბატონი დავითი ძალუმად მიიწევს პარლამენტისკენ და სულაც არ აპირებს დეპუტატის მსუყე შემოსავლისა და პრივილეგიების დათმობას ვიღაც მიშასა და მისი ჰოლანდიელი ცოლის ხუშტურების გამო**

ყოველივე აქედან გამომდინარე, მართლაც გაურკვეველი რჩებოდა, რატომ ერქვა ამ აშლილ-დაშლილ-მიშლილ-მოშლილ ორგანიზაციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“? სწორედ ამ ფიქრებში იყო წასული ჩვენი გაოგნებული კორესპონდენტი, რომ უნებურად უფრო კარგად დააკვირდა ნაცების ახალ გერბზე წარწერას და გარკვევით ამოიკითხა **„ერთთვიანი ნაციონალური მოძრაობა“**.

აქ კი ყველაფერი უცებ შეიქნა ნათელი. აკი, ეს ახალი გერბი ნაცებმა არჩევნებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე შეიმუშავეს და გამოაქვეყნეს, როგორც განახლებული „ნაციონალური მოძრაობის“ სიმბოლო. ესე იგი, ეს მოძრაობა უკვე „ერთიანი“ კი არა, „ერთთვიანი“ ყოფილა, ანუ არჩევნებამდე ერთ თვით ადრე შეკოწიწებული, მასში სანდრას შესვლითა და ზუგდიდში მაჟორიტარული არჩევნების მოგების მცდელობით.

თუმცა, როგორც ჩანს, ნაცებს გული უგრძნობდათ, რომ არჩევნების შემდეგ, ანუ ზუსტად ერთ თვეში მათი მოძრაობა კიდევ უფრო მეტად დაქუცმაცდებოდა და მისგან აღარაფერი დარჩებოდა.

მოკლედ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — „ერთთვიანი ნაციონალური მოძრაობა“ ზედგამოჭრილი სახელია ამ ტუტუცებისთვისო, — დაასკვნა ჩვენმა უკვე დამშვიდებულმა კორესპონდენტმა და დინჯი ნაბიჯით გამოეშურა რედაქციისკენ.

**მასე აბარავა**

# მეგის, ირინასა და «იმის» ოდესური თავგადასავალი

## (გაგრძელება)

— ხხხ, ფშუუ, ხხხ, ფშუუ... — ნეტარებით ხვრინავდნენ საგუბერნატორო კაბინეტში ირინე, მეგი და „ის“. მოულოდნელად კარი გაიღო, სწრაფი ნაბიჯით შემოვარდა მიხეილი და მძინარე ქალებს დასჩხავლა:

— ადექით ახლა, ნუ გაინავარდეთ, ხალხია მოსასვლელი!

— უი, მომიკვდეს თავი! — წამოფრინდა მეგი და გოგონებსაც ფეხი წაჰკრა, — ადექით, ხალხი მოდისო.

— ბატონო მიხეილ, ყავას დალევთ? — ჰკითხა მეგიმ.

— კი, კი, დავლევ. ისე, კაი იდეაა, ხო იცი. გინდათ, ჩემთან დაგასაქმოთ? ოღონდ უფულოდ! სამაგიეროდ თქვენ გაფუჭებულ საქმეს გამოასწორებთ. ღამის გათევასა და ჭამაში ფულის გადახდა არ მოგიწევთ.

მეგის და მის დაქალებს სიხარულისგან თვალები გაუბრწყინდათ, თუმცა ის კი არ იცოდნენ, რა პირობებს სთავაზობდა მიხეილი.

— მოკლედ, ამის დაბლა სარდაფია, ცოტა დასალაგებელია, ჩადით, მიაწკრიალ-მოაწკრიალეთ, მოაწყეთ და იცხოვრეთ. სხვენში სამი ცალი რკინის კრაოტი უნდა ეგდოს, ჩამოიტანეთ, გაწმინდეთ და დადგით, — უთხრა გუბერნატორმა და ოთახის დატოვებისკენ მოუწოდა,— მაღალი საზოგადოების ხალხი მოდის და არ მინდა, აქ გნახონო.

გოგონებმა თქვეს, ჩვენ გარეთ გავისეირნებთ და, თუ რამე დაგჭირდეთ დაგვირეკეთო.

გარეთ თოვდა, ქარი ზუზუნებდა. გავიდნენ სასეირნოდ, მაგრამ რა ესეირნებოდათ? ვერც უარი უთხრეს მიხეილს ამ სამუშაოს შესრულებაზე, არც ფული აქვთ და დადიან ასე.

— მეგი, მგონი, ნაჩქარევი გადაწყვეტილება მივიღეთ, აქ რომ ვრჩებით — თქვა ირინამ.

— აბა, რა მექნა, ქალო, ისედაც საქმე გავუფუჭეთ კაცს და კიდევ მეყოყოჩა? ცოტა გავუძლოთ და რაღაც გამოჩნდება.

— რა რაღაც გამოჩნდება, არ გადამრიო! ჩაისა და პურზე გვამყოფებს, წუხანდელი ღამის მერე სიგარეტი არ მომიწევია, — უთხრა ირინამ და იქვე გამვლელს ერთი ღერი სთხოვა.

— აბა, რას ფიქრობ, ირინა? არის გამოსავალი? — იკითხა მეგიმ.

„ის“ ჩუმად იყო და ხმას არ იღებდა, ნაღვლიანი თვალებით ცას შესცქეროდა.

— გამოსავალი არის და მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთოთ, — თქვა ირინამ.

— რა? — იკითხა მეგიმ.

— უნდა მოვტყუდეთ აქედან, რის ფასადაც უნდა დაგვიჯდეს.

— ოჰ, მე მაგას ვერ ვიზამ. თბილისში რომ ჩავალ, სანდრას თვალებში როგორ ჩავხედო, შე ქალო?!

— როგორ ჩახედო და ისე, როგორც სანდრამ ჩახედა მიშას თვალებში. „ნი მაგუ, ნუ“, მიყვარს, პატივს ვცემ, მაგრამ უშაქრო ჩაიზე ვერ ვიცხოვრებ სარდაფში, მეყო ბუნკერებში მალვა და ცხოვრება, შენი ჭირიმე! — უთხრა ირინემ და განაგრძო: — მოკლედ, ჩვენი პრობლემა ბილეთებია, ხო? დღეს ღამით, როცა მიშა დაიძინებს, ჩვენ ფულს ავაცლით, ვიცი, სადაც მალავს, წუხელ ღამე რომ შემოვიდა, ცალი თვალი გახელილი მქონდა, ასეთი ძილი მაქვს მე, ჰოდა, დავინახე ფულის შეკვრა როგორ შეინახა ერთ ადგილას.

— უიმე, უიმე, მომიკვდეს თავი! რას ამბობ, ირა, დაო, მაგას რა გამაკეთებინებს?

— დამშვიდდი, მეგუნი. ვიცი, საქმიდან სუფთად როგორ გამოვძვრე. შენ, უბრალოდ, მშვიდად ადევნე მოვლენებს თვალი. ჩვენ არა მხოლოდ ბილეთის ფულს ვიშოვით, არამედ კაი მაყუთსაც გავმაზავთ, — უთხრა ირინემ, ეშმაკურად გაუღიმა, თვალი ჩაუკრა და ნესტოებიდან ნაფაზის ბოლი გამოუშვა.

— აჰა, ჭამეთ, შენახული მქონდა ბუტერბროდები, კიდევ კარგი, ბევრი წამოვიღე, — გაუნაწილა გოგონებს საკვები და დაბინდებას მოუთმენლად დაუწყო ლოდინი.

**ამის დაბლა სარდაფია, ცოტა დასალაგებელია, ჩადით, მიაწკრიალ-მოაწკრიალეთ, მოაწყეთ და იცხოვრეთ. სხვენში სამი ცალი რკინის კრაოტი უნდა ეგდოს, ჩამოიტანეთ, გაწმინდეთ და დადგით, — უთხრა გუბერნატორმა და ოთახის დატოვებისკენ მოუწოდა, — მაღალი საზოგადოების ხალხი მოდის და არ მინდა, აქ გნახონო**

**(გაგრძელება უნდა იყოს)**

**გრიგოლ ინგაძე**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თურქებს მუდამ სხვისი მიწების მიტაცებაზე ეჭირათ თვალი და ისე „გაიწაფნენ“ ამ საქმეში, რომ ციმბირიდან ევროპაში ამოყვეს თავი. საქართველოს სტრატეგია კი საკუთარი მიწა-წყლის დაცვა იყოთ. თურქეთს დღესაც იმპერიალისტური მიზნები რომ ამოძრავებს და უდიდესი თურქული იმპერიის შექმნა სურს, საიდუმლო არავისთვის არის. შეცდომაში ნუ შეგვიყვანს ის ფაქტი, რომ ახლა თურქეთი ძუძუს გოჭივით არის გატრუნული, ეს რუსეთის დამსახურებაა. რუსეთმა ისეთი სილა გააწნა თურქეთს, რომ მისი ხელისუფალი კრემლის ნებართვის გარეშე ნაბიჯსაც არ დგამს. რომ არა რუსეთი, თურქეთი საქართველოში ისეთ ამბებს დაატრიალებდა, სირია მონაგონი იქნებოდა.

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ

**საქართველოს უამრავი დამპყრობი და ამაოხრებელი ესეოდა — ასურელები, სპარსელები, რომაელები, ბიზანტიელები, არაბები, მონღოლები, მაგრამ ყველაზე დიდი ზიანი მაინც თურქული მოდგმის ხალხმა (ჰუნები, ხაზარები, სელჯუკები, აღ- ყოინლუსა და ყარა-ყოინლუს თურქმანები, ოსმალები) მოგვაყენა. ქართული სახელმწიფოებრიობა სამი ათას წელს ითვლის, მათგან დაახლოებით 1200 წელი თურქებთან ბრძოლას შევალიეთ და ზოგიერთი ჩვენი ვაიპოლიტიკოსი მაინც ქართველებისა და თურქების ძმობაზე ასველებს სიტყვას. ლევან ვარშალომიძის ფრაზას მოვიხმობ: „ქართველები და თურქები სრულიად ერთნი ვართ, ერთი ხალხი — ორ სახელმწიფოში“. ვარშალომიძის დიაგნოზი, როგორც „კავკასიის ტყვე ქალის“ კინოგმირი, ამხანაგი საახოვი იტყოდა, ბელაია გარიაჩკაა!**

## როგორ შეიძლება, მგელი და კრავი «სტრატეგიული პარტნიორები» იყვნენ?!




ასეთი რა დავაშავეთ?! ჯერ იყო და „მამა-მარჩენალმა“ გადატრიალება მოახდინა ასტრონომიაში. გახსოვთ, ალბათ, შევარდნაძის სიტყვები: „ჩვენი მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო. ახლა კიდევ ერთი პოლიტიკოსი, ვარშალომიძე, „გაგვიმეცნიერდა“ და გენეტიკაში ახალი აღმოჩენებით „გაგვაბედნიერა“. სად თურქი და სად ქართველი?! ჩვენ ხომ საერთო არაფერი გვაქვს?! თურქები შუა აზიელები არიან, ქართველები — კავკასიელები და სხვადასხვა ენათა ჯგუფს მივეკუთვნებით. სისხლითაც და დნმ-ითაც ისე განვსხვავდებით ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. არც ტრადიციები და ცხოვრების წესი გვაქვს ერთნაირი. სალაპარაკოდაც არ ღირს, რომ სარწმუნოებაც გვყოფს ერთმანეთისგან.

**მოკლედ, თურქეთი არასოდეს ყოფილა ჩვენი ძმა და მეგობარი, მით უმეტეს — „სტრატეგიული პარტნიორი“. როგორ შეიძლება მგელი და კრავი „სტრატეგიული პარტნიორები“ იყვნენ?!** თურქებს მუდამ სხვისი მიწების მიტაცებაზე ეჭირათ თვალი და ისე „გაიწაფნენ“ ამ საქმეში, რომ ციმბირიდან ევროპაში ამოყვეს თავი. საქართველოს სტრატეგია კი საკუთარი მიწა-წყლის დაცვა იყო. თურქეთს დღესაც იმპერიალისტური მიზნები რომ ამოძრავებს და უდიდესი თურქული იმპერიის შექმნა სურს, საიდუმლო არავისთვის არის. შეცდომაში ნუ შეგვიყვანს ის ფაქტი, რომ ახლა თურქეთი ძუძუს გოჭივით არის გატრუნული, ეს რუსეთის დამსახურებაა. რუსეთმა ისეთი სილა გააწნა თურქეთს, რომ მისი ხელისუფალი კრემლის ნებართვის გარეშე ნაბიჯსაც არ დგამს. რომ არა რუსეთი, თურქეთი საქართველოში ისეთ ამბებს დაატრიალებდა, სირია მონაგონი იქნებოდა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს საქართველოსა და თურქეთის „ძმობის“ თითქმის თორმეტსაუკუნოვანი ისტორია, რომელიც ჩვენი დიდი წინაპრების სისხლითა და ცრემლით არის დაწერილი.

### ჰუნები

თურქული მოდგმის მრავალრიცხოვანი ტომებიდან ქართულ მიწაზე პირველად ჰუნებმა დადგეს ფეხი. მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში შორეული აღმოსავლეთიდან დაძრულმა ჰუნებმა გრიგალივით გადაურეს აზიასა და ევროპას, მიწასთან გაასწორეს ასეულობით სამეფო თუ სამთავრო და მათ ნანგრევებზე უზარმაზარი იმპერია შექმნეს. ველური და დაუნდობელი ჰუნები შიშის ზარს სცემდნენ მაშინდელ მსოფლიოს. ევროპელი მემატიანეები წერდნენ: **„სადაც ჰუნი ფეხს დაადგამს, იქ სიცოცხლის არავითარი კვალი არ რჩება“.** ამის გამო ტყუილად როდი შეარქვეს ჰუნების ბელად **ატილას** კაცთა მოდგმის ცოდვებისთვის მოვლენილი „უფლის მათრახი“.

მეხუთე საუკუნის შუა წლებში, ვარშალომიძესის „მოძმე“ ჰუნები საქართველოსაც მოადგნენ (ქართველი მემატიანენი ჰუნებს შეცდომით ხაზარებად მოიხსენიებენ). ჰუნთა ბელადის — ატილას სარდლებს **ვარსიხსა** და **კურსიხს** მხარში ოსებიც ამოუდგნენ და გაერთიანებული ლაშქრით საქართველოსკენ დაიძრნენ. იმხანად იბერიას 9 წლის ვახტანგ გორგასალი მართავდა. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ჰუნები იბერიის გულში შეიჭრნენ, ააოხრეს და მიწასთან გაასწორეს კასპის ციხე, უამრავი ტყვითა(ტყვეებს შორის იყო ვახტანგ მეფის და მირანდუხტი) და ნადავლით „დამძიმებულმა“ ჰუნებმა აღარ განაგრძეს ლაშქრობა და უკან გაბრუნდნენ.

მართალია, მოგვიანებით, გორგასალმა სპარსთა დახმარებით ჩრდილოეთ კავკასია დალაშქრა, იოლად დაამარცხა ოსებიცა და ჰუნებიც, მირანდუხტიც გამოიხსნა ტყვეობიდან, მაგრამ ქვეყანა ჰუნების მიყენებულ ჭრილობებს დიდხანს იშუშებდა. ისე გავერანდა და გაუკაცრიელდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, რომ ვახტანგს ხალხის სხვა საერისთავოებიდან გადასახლება მოუწია. ხოლო ხევში, მუდმივად დასასახლებლად მეფემ 1000 საუკეთესო მეომარი შეარჩია ღუდუშას მეთაურობით. მათვე დაევალა დანგრეულის აღდგენა და დარიალის ხეობის დაცვაც (სწორედ იმ 1000 ვაჟკაცის შთამომავლები არიან მოხევეები).

### ხაზარები

საქართველოსთვის არანაკლები ზიანის მომტანი იყო კიდევ ერთი თურქული ტომის — ხაზარების შემოსევები. „ისინი არავის იბრალებდნენ — არც ულამაზეს ქალებს, არც ბავშვებს, არც უვარგისსა და უმაქნის, არც ხეიბარსა და მიხრწნილს. არ იცოდებდნენ არც ჩვილ ბალღებს, რომლებიც მოკლულ დედებს ეხუტებოდნენ და ძუძუებიდან რძის მაგივრად სისხლს სწოვდნენ“, — ასე ახასიათებდნენ მემატიანეები ხაზარებს, რომლებიც სისასტიკით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ჰუნებს.

ბიზანტიის იმპერატორმა **ჰერაკლემ** და ხაზართა ხაკანმა **ჯიბღუმ** ე.წ. ანტიირანული კოალიცია შეკრეს. ვინაიდან იბერია ირანულ სატრაპიას წარმოადგენდა, ჩვენი ქვეყანა ჩათრეული აღმოჩნდა ამ უთანასწორო ომში. 626 წელს ჰერაკლე კეისარი საქართველოსკენ დაიძრა და ლაშქრობის დაწყება მოკავშირესაც მოუწოდა. ხაკანმაც არ დააყოვნა და ხაზართა ურდოებით ამიერკავკასიაში შემოიჭრა. მან ცეცხლითა და მახვილით გაიარა დარუბანდი, ალბანეთის მიწა-წყალი და მოადგა თბილისს, სადაც მოკავშირე კეისარი ელოდებოდა. ხაზარებმა და ბიზანტიელებმა ერთობლივი ძალებით შეუტიეს თბილისს. გასაოცარი სიმამაცით იბრძოდა ქართლის ერისმთავარი **სტეფანოზი**, სპარსი სარდლები — **ვარსამუსე, შარაპაგი** და მათი ქართულ-სპარსული გარნიზონი. მტერმა მაინც იძალა და შეძლო თბილისის კარების შენგრევა. ქალაქის დამცველებმა კალა ციხეს შეაფარეს და იქიდან განაგრძნობდნენ წინააღმდეგობის გაწევას. ვერაფერი დააკლო მტერმა კალა ციხეს. გული მოეცათ ქალაქის დამცველებს — მოალყეებს სიცილს აყრიდნენ და თავს ლაფს ასხამდნენ. დიდი გოგრა გამოიტანეს, ზედ თვალები, ცხვირი და ტუჩები მიახატეს, ეს გოგრა ციხის კარიბჭიდან დააგორეს და ხაზარებს ჩასძახეს: ეგ არის თქვენი ჯიბღუ ხაკანი და თაყვანი ეცითო..

ქალაქის დამცველებს არც ჰერაკლე კეისარი „დავიწყებიათ“, მასაც „ამკობდნენ“ უშვერი სიტყვებით, ბილწსა და მამათმავალს ეძახდნენ: „ჰერაკლე კეისარს თხის წვერი და ვაციბოტის კისერი აქვს და, ბიზანტიელებო, თაყვანი ეცით თქვენს თხა-იმპერატორს!“ განრისხებულმა მტერმა, მართალია, კალა ციხეს ვერაფერი დააკლო, მაგრამ ქალაქში სისხლის მდინარეები დააყენა. გაპარტახდა თბილისის შემოგარენიც.

**რამდენიმეთვიანი უშედეგო ალყის შემდეგ ჰერაკლე კეისარი უკან გაბრუნდა. ჯიბღუ ხაკანმაც გამოსაზამთრებლად ხაზარეთს მიაშურა, ცეცხლითა და მახვილით გაიარა საქართველოს მთიანეთი, დარიალის ხეობა და საქართველოს გაეცალა.**

628 წელს ხაზარებმა ახალი ლაშქრობა მოაწყვეს საქართველოში. ხაზართა უფლისწულის — **შადეს** სამიზნეც თბილისი იყო. ქალაქმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მომხვდურს, მაგრამ როდესაც „ძველ, მხნე კაცთაგან ქალაქს შიგნით აღარავინ დარჩა“, თბილისი დაეცა. ხაზარებმა ცოცხალი არავინ დატოვეს, დიდსაც და პატარასაც ერთიანად გაავლეს მუსრი. **„როდესაც შეწყდა ხმა ტირილისა და ვაებისა და აღარავინ გადარჩა ცოცხალი, მაშინ მათაც გაიგეს, რომ სისხლით დაძღნენ მათი მახვილნიც“**, — მოგვითხრობს მემატიანე.

ამის შემდეგ საქართველო ხაზარებისა და არაბების საბრძოლო ასპარეზად იქცა. ეს ორი უდიდესი ვეშაპი ამიერკავკასიაში ერკინებოდა ერთმანეთს. ამ ომებმა მთლიანად გააპარტახა აღმოსავლეთ საქართველო. ხაზარებმა არაერთხელ სცადეს, მოკავშირედ გაეხადათ ქართველები, მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა შორს დაიჭირეს თავი ასეთი „მოკავშირისგან“. ხაზარებმა ისეთი დიდი ზიზღი და სიძულვილი დათესეს ჩვენს ქვეყანაში, რომ ქართლის დიდებულები მათთან დამოყვრება-დამეგობრებას სიკვდილს ამჯობინებდნენ.

VIII საუკუნის შუა წლებში ქართლის ერისმთავარი იყო **ჯუანშერი**, რომელსაც ჰყავდა სილამაზით განთქმული და **შუშანა**. მისი სილამაზის ამბავი შორეულ ხაზარეთშიც შეუტყვიათ და ხაზართა ხაკანმა მოიწადინა მისი ცოლად შერთვა. ჯუანშერს მოციქული გამოუგზავნა, დამოყვრება შესთავაზა, სამაგიეროდ არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება აღუთქვა. ხაკანს, რა თქმა უნდა, ცივი უარი შეუთვალეს და 764 წელს ხაკანის „შელახული ღირსების“ დასაცავად ხა- ▶

## იცით თუ არა, რომ:



**რუსეთიდან გაქცევის შემდეგ ნაპოლეონი მდინარე ნემანზე ადგილობრივმა გლეხმა გადაიყვანა.**

**— ბევრი დეზერტირი გადავიდა ამ მდინარეზე? — ჰკითხა ნაპოლეონმა.**

**— არა, თქვენ პირველი ხართ! — უპასუხა გლეხმა.**



**ძველად ბარბაროსებს შარვლით ცნობდნენ. ძველი ბერძნებისა და რომაელისთვის შარვალი უცხო რამ იყო.**



**ქალისთვის გზის დათმობის ტრადიცია ქვის ხანიდან მოდის. იმხანად ადამიანები გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც გამოქვაბულთან ახლოს მიმალული მტაცებელი ცხოველი თავს ესხმოდა გამოქვაბულიდან გამომსვლელს, ამიტომ მონადირეები წინ ქალს ატარებდნენ, როდესაც დარწმუნდებოდნენ, რომ არავინ იდგა, ამის შემდეგ ტოვებდნენ გამოქვაბულს.**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## თურქ-სელჩუკთა ბატონობა მათი ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო, ახლო აღმოსავლეთის კულტურული ხალხებისთვის უფრო საშიში და დამღუპველი იყო, ვიდრე არაბთა ბატონობა. სელჩუკთა მოძრაობამ დაღი დაასვა არა მხოლოდ წინა აზიისა და კავკასიის ქვეყნებს, არამედ გავლენა იქონია ეგვიპტეზე, ბიზანტიაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე.

**ჯერ იყო და «მამა-მარჩენალმა» გადატრიალება მოახდინა ასტრონომიაში. გახსოვთ, ალბათ, შევარდნაძის სიტყვები: «ჩვენი მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო», ახლა კიდევ ერთი პოლიტიკოსი, ვარშალომიძე, «გაგვიმეცნიერდა» და გენეტიკაში ახალი აღმოჩენებით «გაგვაბედნიერა». სად თურქი და სად ქართველი?! ჩვენ ხომ საერთო არაფერი გვაქვს?! თურქები შუა აზიელები არიან, ქართველები — კავკასიელები და სხვადასხვა ენათა ჯგუფს მივეკუთვნებით. სისხლითაც და დნმ-ითაც ისე განვსხვავდებით ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. არც ტრადიციები და ცხოვრების წესი გვაქვს ერთნაირი. სალაპარაკოდაც არ ღირს, რომ სარწმუნოებაც გვყოფს ერთმანეთისგან**



◀ ზართა დიდი ურდოც დაიძრა **ბლუჩანის** მეთაურობით. ჯუანშერი კახეთში დაუხვდა მტერს. სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბლუჩანმა კახეთის თითქმის ყველა ციხე აიღო, მათ შორის, ის ციხეც, რომელსაც თავს აფარებდა ჯუანშერი შუშანასთან ერთად. ჯუანშერი და შუშანა უმალ დაატყვევეს, შემდეგ კი ხაზარებმა თბილისიც გადაწვეს და უკან გაბრუნდნენ.

როდესაც ურდომ დარიალის ხეობას მიაღწია, შუშანამ ხაზართა ყურადღების მოდუნებით ისარგებლა და ბეჭედში დამალული საწამლავით თავი მოიკლა. ამის გამო ხაზარეთში ჩასულ ბლუჩანს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს: „შეიპყრეს ბლუჩან და მოაბეს ყელსა საბელი და განზიდვად სცესორთა ცხენოსანთა იმიერ და ამიერ, და მოსწყვდეს თავი ბოროტად“.

### სელჩუკები

ჰუნებისა და ხაზარების გადაშენების შემდეგ თურქთა ლაშქრობები დროებით შეწყდა და თითქმის სამი საუკუნის შემდეგ ახალი ძალით განახლდა. ეს მოხდა მას შემდეგ, როცა თურქ-სელჩუკებმა ირანი დაიპყრეს. თურქ-სელჩუკები ეკუთვნოდნენ ოღუზ თურქმანულ ტომებს. თავდაპირველად არალის ტბასა და ურალს შორის მომთაბარეობდნენ. ისინი საზოგადოებრივი განვითარების გვაროვნულ საფეხურზე იდგნენ და მეჯოგეობას მისდევდნენ. ოღუზები 24 შტოდ იყოფოდნენ. სელჩუკები მათ ერთ-ერთ შტოს — კინიკის წარმომადგენლები არიან. ეს იყო ოღუზებში საკმაოდ წარჩინებული და მრავალრიცხოვანი ტომი. ოღუზთა ტომებში IX-X საუკუნეებიდან ჩნდება პირველი სახელმწიფოებრივი ჩანასახი, რომლის სათავეში იდგა მეფე **ანუ იაბღუ**. იაბღუ არ იყო ერთპიროვნული მმართველი, ყველა ტომს თავისი მეთაური ჰყავდა. X საუკუნიდან მათში დაწინაურდა ბარანთა ტომის ლიდერი **ალი-ხანი** და იაბღუს ტიტულიც მან დაისაკუთრა. ამასთანავე, გაძლიერდა **დუკაკი**, რომლის მოღვაწეობის პერიოდიდან იწყება სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორია. დუკაკი იაბღუსთან ერთად ხშირად ერეოდა მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტაში და დიდი გავლენით სარგებლობდა ტომში.

დუკაკი გარდაიცვალა, როდესაც მისი შვილი **სელჩუკი** 17-18 წლისა იყო. დუკაკის გარდაცვალების შემდეგ იაბღუმ სელჩუკს სუბაშის (მხედართმთავრის) ტიტული უბოძა და რაზმის მეთაურად დანიშნა. სელჩუკი ისე გაძლიერდა, რომ საფრთხე შეექმნა თვით იაბღუს ხელისუფლებას. სამფლობელოების გადანაწილების გამო, 930-935 წლებში იაბღუს უთანხმოება მოუვიდა სელჩუკთან, რის გამოც სელჩუკი იძულებული შეიქნა, თავის მოკავშირეებთან ერთად სამარყანდში გადასახლებულიყო. აქედან **იწყება თურქთა ურდოების გადაადგილება დასავლეთისკენ, რომელიც საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა. ხოლო 1040 წლის მაისში დენდანეკანთან სელჩუკების მიერ ღაზნეველებზე გამარჯვებისა და სელჩუკ უფლისწულთა მიერ ტერიტორიების დანაწილებით, საბოლოოდ ჩამოყალიბდა სელჩუკთა დიდი იმპერია. ამის შემდეგ თურქ-სელჩუკებმა აქტიურად დაიწყეს საბრძოლო მოქმედება, როგორც ცენრტალური და დასავლეთ ირანის, ასევე ბიზანტიისა და კავკასიის მიმართულებით.**

სელჩუკთა გამოჩენამ შეცვალა პოლიტიკურ ძალთა ბალანსი მსოფლიოში და დიდი გავლენა იქონია დაპყრობილი ქვეყნების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე. **თურქ-სელჩუკთა ბატონობა, მათი ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო, ახლო აღმოსავლეთის კულტურული ხალხებისთვის უფრო საშიში და დამღუპველი იყო, ვიდრე არაბთა ბატონობა. სელჩუკთა მოძრაობამ დაღი დაასვა არა მხოლოდ წინა აზიისა და კავკასიის ქვეყნებს, არამედ გავლენა იქონია ეგვიპტეზე, ბიზანტიაზე, სამხრეთ -აღმოსავლეთ ევროპაზე,** რაც შეეხება მათ ამიერკავკასიაში ლაშქრობებს, XI საუკუნის 60-იან წლებამდე სელჩუკთა ლაშქრობებს სპონტანური ხასიათი ჰქონდა. 1021 წელს სელჩუკები, **თოღრულ ბეგის** მეთაურობით სომხეთში შეიჭრნენ. ნახჭევანთან მათ ხუთი ათასი კაცით შეხვდა **ლიპარიტ ბაღვაში**, მაგრამ არათანაბარი ძალების გამო ვერ გაუმკლავდა და გაიქცა, ხოლო ტერიტორია გასანადგურებლად სელჩუკებს დაუტოვა.

**1029 წელს სელჩუკები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შევიდნენ, ბევრი ქალაქი და სოფელი გაანადგურეს და დაანგრიეს. მათ ბრძოლა გაუმართა საქართველოს მეფემ ბაგრატ მეოთხემ (1027-1072). მემატიანე წერს: „აქა ბაგრატ კურაპალატი სულტანსა დაესხა“, მაგრამ, როგორ ჩანს, ქართველებმა ისევ ვერ მიაღწიეს წარმატებას, ვინაიდან სელჩუკებმა მოახერხეს ნადავლითა და უამრავი ტყვით უკან გაბრუნება.**

1041 წლის მარტში სელჩუკები სომხეთში იჭრებიან. მათ წინააღმდეგ ქართველებმა და სომხებმა კოალიციური ლაშქრობა მოაწყვეს (ბაგრატ IV 4 000 მეომარი გამოუყვანია). ქართველ-სომეხთა გაერთიანებულმა ლაშქარმა **აბულსოვარის** შემოტევა მოიგერია და უკუაქცია.

1047 წელს სელჩუკები ისევ გამოჩნდნენ ამიერკავკასიაში: „**ასანი**, რომელიც გაგზავნილ იქმნა სულთანის მიერ რომაელთა წინააღმდეგ, თავრეზისა და თბილისის გავლით, ჩავიდა ვასპურაკანში, გზაზე ყველაფერს ანადგურებდა და წვავდა, ვინც გზაში ხვდებოდა, სპობდა, საბავშო ჰასაკის ყმაწვილებსაც არ ზოგავდა“. ვასპურაკანის მმართველმა დასახმარებლად ბიზანტიელებს უხმო, ბიზანტიის კეისარმა კი დახმარება ლიპარიტ ბაღვაშს სთხოვა. „წავიდა ლიპარიტ მითვე ლაშქრითა დვინად, და ულაშქრა ბერძენთა მეფესა დვინელსა ზედა, და შემოიქცა თავის ქუეყანად“, — გვამცნობს „მატიანე ქართლისაი“. მდინარე სტრაგნისთან გამართულ ბრძოლაში კოალიციურმა ჯარმა დაამარცხა სულჩუკთა ურდო.

თოღრულ ბეგმა ვერ მოინელა ეს მარცხი და შურის საძიებლად 1048 წელს სელჩუკთა ასიათასიანი ურდო გამოგზავნა **იბრაჰიმ იინალის** სარდლობით. სელჩუკები ბასიანს შეესივნენ. ბიზანტიელებმა ისევ ლიპარიტს სთხოვეს დახმარება. კლდეკარის ერისთავიც დაიძრა ბასიანისკენ 10 ათასი ქართველი მეომრის თანხლებით. გადამწყვეტი ბრძოლა 18 სექტემბერს გაიმართა. ამ ბრძოლის მთავარი გმირი ლიპარიტია. სელჩუკებმა მის წინააღმდეგ მიმართეს მთავარი ძალები და ტყვედ აყვანის შემდეგ გაიმარჯვეს კიდეც გაერთიანებულ ლაშქარზე: **„ბერძნები შურით უმზერდნენ ლიპარიტის გასაოცარ ვაჟაცობას და არ სურდათ, რომ დიდება ძლევისა ქართველისათვის მიეწერათ. ამისათვის ისინი უკუსდგნენ და გაიქცნენ... გაცეცხლებულს ომში, როდესაც ლიპარიტი გაშმაგებული სვრიდა, ერთმა იმის მემამულეთაგანმა... უკანიდან მოჰკვეთა ლიპარიტის ცხენს ორივე ფეხი. ლიპარიტი ცხენიდან ჩამოვარდა და დაეცა, მაგრამ ერთი ხრმლის მოქნევით გააპო მოღალატე. ამის შემდეგ ლიპარიტი მტერს ტყვედ ჩაუვარდა, ქართველნი ზოგნი იქვე დაიხოცნენ, ზოგი გაიბნენ“...**

**(გაგრძელება იქნება)**

**ვანო სულორი**



**ლაო ძი**
**(ჩინელი ფილოსოფოსი. ძვ.წ. აღრიცხვით VI საუკუნე):**

* * *

**ყველაფერი ამაზრზენი გაუნათლებლობისგან მოდის.**

* * *

სამეფო კარი თუ ბრწყინავს, მინდვრები გადახრიოკებულია, ბეღლები — დაცარიელებული.

* * *

**რაც მეტია აკრძალვა, მით მეტია სიღარიბე. რაც მეტია იარაღი, მით მეტია ამბოხი. რაც მეტია ცრუბრძენობა, მით მეტია სიხარბე. რაც მეტია კანონი და ბრძანება, მით მეტია ქურდი და ავაზაკი.**

* * *

მიეცი კაცს თევზი და აჩუქებ ერთი დღის სიცოცხლეს. ასწავლე, როგორ მოიპოვო თევზი და მთელ ცხოვრებას შეუნარჩუნებ.

* * *

**ნუ დაამწუხრებ სხვის ცხოვრებას და თქვენიც აღარ დამწუხრდება.**

* * *

სიმართლე ყოველთვის არ არის ლამაზი, არც ლამაზი სიტყვებია — ყოველთვის სიმართლე.

* * *

**დიდი მოგზაურობა ერთი ნაბიჯით იწყება.**

* * *

ბრძენს ნუ სცემთ თაყვანს და ხალხში მოისპობა შუღლი. ნუ განადიდებთ ძვირფას ნივთებს და აღარ იქნება ქურდობა.

* * *

**სიკეთე სიტყვებში ქმნის რწმენას. სიკეთე აზრებში ქმნის სიღრმეს. სიკეთე ცხოვრებაში ქმნის სიყვარულს.**

* * *

იმისათვის, რომ წინ წარუძღვეთ ადამიანებს, მათ ვერდით იარეთ. საუკეთესო ლიდერის არსებობას ადამიანები იშვიათად ამჩნევენ. როდესაც ლიდერის საქმე გაკეთებულია, ადამიანები ფიქრობენ, — „ეს ჩვენ გავაკეთეთ“.

* * *

**ნიჭიერება მაშინაა სასიამოვნო, როცა ის თავის თავს არ აღიარებს.**

* * *

დიდებაც ისეთივე ტვირთია, როგორც საკუთარი ხორცი.

## იცით თუ არა, რომ:



**მეცამეტე საუკუნეში ბერმა რობერ დე სორბონმა, მეფე ლუდოვიკო მეცხრის სულიერმა მამამ, პარიზში ღარიბ სტუდენტთათვის დაარსა კოლეჯი. 1792 წელს ქვეყნის მთავარ უნივერსიტეტს მისი სახელი უწოდეს — სორბონა.**



**სულხან-საბა ორბელიანმა 12 უცხო ენა იცოდა.**



**ძველად საქართველოში კარგი საჭურვლის დასამზადებლად სამჭედლოებში წაბლის ხის ნახშირს იყენებდნენ.**



**წინასწარმატყველმა ირანის შაჰს — აბას I (1587–1629 წ.წ.) ტახტიდან ჩამოგდება და სიკვდილით დასჯა უწინასწარმეტყველა. განსაცდელის თავიდან ასაცილებლად შაჰმა უფლებამოსილება რამდენიმე დღით მოიხსნა და ვინმე ხელოსან იუსუფს გადასცა, რომელიც მალევე ჩამოაგდო ტახტიდან, სიკვდილით დასაჯა და კვლავ გამეფდა.**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთი და აშშ, როგორც იქნა, შეთანხმდნენ და სპეციალური ოქმიც გააფორმეს, რომ პლუტონიუმს ატომური ელექტროსადგურებისთვის საჭირო საწვავად გარდაქმნიან. რუსეთმა ამისთვის ქარხანაც კი ააშენა სვერდლოვსკის ოლქში... აშშ-მა კი ატომური ელექტროსადგურებისთვის პლუტონიუმის საწვავად გარდაქმნის გეგმას გადაუხვია. სამხრეთ კაროლინის შტატის სავანა-რივერის ატომურ ცენტრში ახლაც დგას ქარხნის დაუმთავრებელი შენობა და მშენებლობის დასრულების საკითხი დღესაც ღიაა.**

# განხეთქილების პლუტონიუმი

**რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს (პარლამენტის) საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ალექსეი ჩეპამ ქვეყნის ხელისუფლებას მოუწოდა, უარი თქვას აშშ-თან 2010 წლის 8 აპრილს გაფორმებულ შეთანხმებაზე სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შემცირებისა და შეზღუდვის შესახებ („ეს-ენ-ვე-III“), რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 5 თებერვალს, მოქმედების ვადა 2021 წლის 5 თებერვლამდე.**



„მიგვაჩნია, რომ შექმნილ ვითარებაში რუსეთი უნდა დაფიქრდეს ადეკვატურ პასუხზე და დააყენოს საკითხი სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შემცირებისა და შეზღუდვის შეთანხმებიდან (CHB-III) გამოსვლის შესახებ, რადგან დარღვეულია პარიტეტი ნატოს ბლოკსა და რუსეთს შორის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ატომური კლუბის ორი წევრი — საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი — აშშ-ის მოკავშირე ნატოში გამუდმებით აძლიერებს ბირთვულ პოტენციალს“, — განაცხადა **ალექსეი ჩეპამ** 19 ოქტომბერს გამართულ პლენარულ სხდომაზე, რომელიც აშშ-თან საიარაღო პლუტონიუმის უტილიზაციის შესახებ შეთანხმების შეჩერების საკითხს ეძღვნებოდა.

„რუსეთი და აშშ დიდი ხნის განმავლობაში განაცალკევებდნენ ბირთვული შეიარაღების საკითხებს მოლაპარაკებების სხვა თემებისგან, ახლა ეს ეპოქა დასასრულს მიუახლოვდა, — წერდა პოპულარული ამერიკული ჟურნალი Foriegn Policy რამდენიმე დღის წინათ. და, როგორც ჩანს, ასეც მოხდება — რუსეთის პარლამენტი მხარს დაუჭერს **ვლადიმერ პუტინის** მიერ შეტანილ კანონპროექტს ზემოხსენებული შეთანხმებიდან რუსეთის გასვლის შესახებ. პუტინის წინადადება გასაჯაროვდა ოქტომბრის დასაწყისში, სირიის საკითხზე სამშვიდობო მოლაპარაკებების წარუმატებლად დასრულების შემდეგ, რუსეთსა და აშშ-ს შორის დაძაბულობის ზრდის პიკზე.

პუტინმა პლუტონიუმის საკითხზე თანამშრომლობის გაგრძელების სანაცვლოდ წამოაყენა მოთხოვნების პაკეტი, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებული არ არის. ეს არის რუსეთისთვის დაწესებული სანქციებისა და ე.წ. მაგნიტსკის კანონის გაუქმება, აგრეთვე, ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობის შემცირება ნატოსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. უმრავლესობა ანალიტიკოსებისა მიიჩნევს, რომ ვაშინგტონი მოსკოვის მოთხოვნებს არ დათანხმდება და შედეგად გაწყდება ურთიერთობა ატომური მასალების უტილიზაციის საკითხზე.

გერმანული გამოცემა „დოიჩე ველე“ წერს, რა მნიშვნელობა აქვს ამ შეთანხმებას.

## რატომ იყო ის საჭირო: ჭარბი პლუტონიუმი

სსრკ-ის დაშლისა და გამალებული შეიარაღებისკენ სწრაფვის დასრულების შემდეგ რუსეთმა და აშშ-მა შეწყვიტეს საიარაღო პლუტონიუმის წარმოება, თუმცა ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირმა და აშშ-მა ის საკმარისზე მეტი დააგროვეს: **პრინსტონის უნივერსიტეტის სპეციალისტების გამოთვლით, რუსეთს 128 ტ საიარაღო პლუტონიუმი ჰქონდა, აშშ-ს — 88 ტ. ერთი ატომური ბომბის დასამზადებლად კი 4 კგ ეს ნივთიერებაც საკმარისია.**

1990-იან წლებში ორივე ქვეყანა აწარმოებდა მოლაპარაკებებს ატომური არსენალის შესამცირებლად, მათ შორის, ატომური იარაღისთვის საჭირო ნედლეულის წარმოების შესამცირებლად.

მაგრამ, თუ ურანის საკითხზე თანამშრომლობა წარმატებული იყო — სსრკ-მა 500 ტ მცირედ გამდიდრებული და გადამუშავებული ურანი ატომური ელექტროსადგურებისთვის სათბობად მიჰყიდა აშშ-ს — პლუტონიუმზე მოლაპარაკებები პრობლემური აღმოჩნდა.

უტილიზაციაზე შეთანხმებას 2000 წელს მიაღწიეს, სამწლიანი მოლაპარაკების შემდეგ, მაგრამ უთანხმოება მაინც რჩებოდა — არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ პრაქტიკულიც. მათ შორის მთავარი იყო, როგორ უნდა ეწარმოებინათ პლუტონიუმის უტილიზაცია.

## უთანხმოების მიზეზი

ექსპერტებმა შეიმუშავეს იარაღისთვის განკუთვნილი პლუტონიუმის უტილიზაციის 2 ძირითადი მეთოდი — მისი გარდაქმნა ატომური ელექტროსადგურებისთვის საჭირო საწვავად ან სხვა ნივთიერებებთან ერთად დამარხვა. მეორე მეთოდი თეორიულ შესაძლებლობას ტოვებს, ეს ნივთიერება კვლავ გარდაიქმნას სამხედრო თვალსაზრისით გამოსაყენებელ მასალად.

**რუსეთი და აშშ, როგორც იქნა, შეთანხმდნენ და სპეციალური ოქმიც გააფორმეს, რომ პლუტონიუმს ატომური ელექტროსადგურებისთვის საჭირო საწვავად გარდაქმნიან. რუსეთმა ამისთვის ქარხანაც კი ააშენა სვერდლოვსკის ოლქში. ამასთანავე, უტილიზაციის ხარჯები აშშ-ს უნდა დაეფარა.**

**თვით აშშ-მა კი ატომური ელექტროსადგურებისთვის პლუტონიუმის საწვავად გარდაქმნის გეგმას გადაუხვია. სამხრეთ კაროლინის შტატის სავანა-რივერის ატომურ ცენტრში ახლაც დგას ქარხნის დაუმთავრებელი შენობა და მშენებლობის დასრულების საკითხი დღესაც ღიაა.**

## როდესაც პლუტონიუმზე კამათი არაფერ შუაშია

ამრიგად, შეთანხმება დაირღვა, თუმცა არა იმიტომ, რომ აშშ არ ამთავრებს ქარხნის მშენებლობას, არა იმიტომ, რომ აპირებს ბირთვული იარაღის ატომურ მუხტში დააბრუნოს პლუტონიუმი, — ამბობს ცნობილი სპეციალისტი, კარნეგის მოსკოვური ცენტრის პროგრამა „გაუვრცელებლობის პრობლემების“ ხელმძღვანელი **ალექსეი არბატოვი**, — უბრალოდ, ვაშინგტონისთვის მთავარია ფინანსური და ტექნიკური საკითხები და არა ატომური განიარაღების შესახებ ვალდებულებები, რომლებიც დღეს, როგორც არასდროს, შორეული და არარეალური ჩანს.

ტექნიკური და პოლიტიკური უთანხმოება პლუტონიუმის უტილიზაციის შესახებ არაფერია იმ აუცილებლობასთან, რომელსაც ჰქვია მისგან წარმოქმნილი საფრთხის მინიმიზირება, მათ შორის, იმ რისკისა, რომ პლუტონიუმი შეიძლება ხელში ჩაუვარდეს ძალიან საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციას.

კრემლის მიერ წამოყენებული პირობები მხოლოდ დააჩქარებს მოსკოვისა და ვაშინგტონის თანამშრომლობის შეწყვეტის პროცესს, — ვარაუდობენ ექსპერტები.

2013 წელს შეწყდა ნანილუგარის პროგრამა, 2014 წელს შეჩერდა თანამშრნომლობა ბირთვული იარაღის მასალების შენახვის შესახებ, 2015 წელს კი რუსეთი პირველად არ მონაწილეობდა ვაშინგტონში გამართულ ატომური მასალების უტილიზაციის შესახებ სამიტში.

ექსპერტთა აზრით, დარჩა მხოლოდ ბოლო შეთანხმება სტრატეგიული შემტევი შეიარაღების („ეს-ენ-ვე-III“) შემცირების შესახებ, რომლის დენონსაციის ალბათობა ძალიან დიდია.

როგორც ჩანს, დღეს გეგმა ასეთია: აშშ და რუსეთი განაგრძობენ ტონობით პლუტონიუმზე ჯდომას განუსაზღვრელი ვადით... მაგრამ თუ დავფიქრდებით, ეს გეგმა კი არა, უბრალოდ საშინელი უმოქმედობა და უუნარობაა, რაღაც გაკეთდეს საერთო საფრთხის წინააღმდეგ.

**მომზადებულია „დოიჩე ველეში“ გამოქვეყნებული მასალის მიხედვით**



# ჩინურმა ხომალდებმა ამერიკული ნაღმოსანი შეაშინეს

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ორმა სამხედრო-საზღვაო ხომალდმა აშშ-ის საესკადრო ნაღმოსანი „დეკალიტრე“ აიძულა, განრიდებოდა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მდებარე პარასელსის კუნძულების აკვატორს.**

ამერიკელებმა ეს ადგილი ჩინელების გამაფრთხილებელი სიგნალის მიღების შემდეგ დატოვეს.

აშშ-ის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ამერიკული ნაღმოსნის იმ რეგიონში ყოფნა — ეს არის ბრძოლა ჩინეთის მხრიდან საზღვაო ნავიგაციის დარღვევის წინააღმდეგ, ხოლო ჩინელების ხომალდების მოქმედება კი „არალეგალური“ და „პროვოკაციულია“.

# რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ევროპაზე შთაბეჭდილება მოახდინა

**„რუსეთის ჩრდილოეთის ფლოტის სარაკეტო კრეისერმა „პეტრე დიდმა“, მძიმე ავიამზიდმა „ადმირალმა კუზნეცოვმა“ და მათმა თანმხლებმა 6-მა ხომალდმა სათანადო შთაბეჭდილება მოახდინა ჩრდილოეთ ევროპაზე“, — წერს ნორვეგიული გამოცემა VC.no.**



ხმელთაშუა ზღვისკენ მიმავალ რუსულ საზღვაო ხომალდებს, რომლებმაც ნორვეგიის კუნძულ ანიოის გვერდი აუარეს, ფოტოები გადაუღეს ნორვეგიული თვითმფრინავ Orion-იდან.

„სანაპირო დაცვის ნორვეგიული ხომალდი უკან მისდევდა რუსული ხომალდების ჯგუფს, რომლებმაც სტარტი ბარენცის ზღვიდან აიღეს. 8 რუსული ხომალდი, სავარაუდოდ, გაივლის ლა-მანშის სრუტესა და ბისკაის ყურეს, შემდეგ კი გიბრალტარის სრუტით ხმელთაშუა ზღვაში შევა“, — მოჰყავს ციტატა ნორვეგიულ გამოცემას ნორვეგიელი გენერალ-ლეიტენანტის — **მორტენ ჰააგ ლენდეს** ინტერვიუდან.

გამოცემა აღნიშნავს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ეს რუსეთის საზღვაო ფლოტის ძლიერების ყველაზე მნიშვნელოვანი დემონსტრაციაა ევროპისთვის.

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ხომალდების ჯგუფი, ავიამზიდ „ადმირალ კუზნეცოვის“ მეთაურობით, ოქტომბრის შუა რიცხვებში გაემართა სირიის ნაპირებისკენ.

მძიმე ავიამზიდ სარაკეტო კრეისერს — „საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალ კუზნეცოვს“ შეუძლია გემბანზე მიიღოს 50 თვითმფრინავი და ვერტმფრენი.



2016 წელს ავიამზიდი დაკომპლექტდა განახლებული შერეული ავიაპოლკით, რომლის საფუძველს წარმოადგენს „მიგ-29“-ისა და ვერტმფრენ Ka52 K-ს უახლესი სახომალდე ვერსიები.

**„რა თქმა უნდა, უკრაინაში ეს მოხდება, ოღონდ საკითხავია, როდის. ეს შეიძლება იყოს ევროკავშირში უკრაინის ინტეგრაციის ერთ-ერთი პირობა. მოხდება ეს 2017 წელს? — არ ვიცი. შესაძლოა, ამჟამინდელმა პარლამენტმა არ მიიღოს ეს კანონი, მაგრამ შემდეგი აუცილებლად მიიღებს. თუკი, რა თქმა უნდა, შენარჩუნდება ორიენტაცია ევროპის კავშირზე.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## უკრაინაში პროსტიტუციისა და ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებას გეგმავენ

## «ეს ევროკავშირში შესვლის ერთ-ერთი პირობაა», — ამბობს უკრაინის პარლამენტის დეპუტატი

**უკრაინის პარლამენტის დეპუტატს „პეტრე პოროშენკოს ბლოკიდან“ — სერგეი ლეშჩენკოს მიაჩნია, რომ შემდეგი მოწვევის პარლამენტი აუცილებლად მიიღებს კანონს ქვეყანაში ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინების ლეგალიზაციის შესახებ.**



**„რა თქმა უნდა, უკრაინაში ეს მოხდება, ოღონდ საკითხავია, როდის. ეს შეიძლება იყოს ევროკავშირში უკრაინის ინტეგრაციის ერთ-ერთი პირობა. მოხდება ეს 2017 წელს? — არ ვიცი. შესაძლოა, ამჟამინდელმა პარლამენტმა არ მიიღოს ეს კანონი, მაგრამ შემდეგი აუცილებლად მიიღებს. თუკი, რა თქმა უნდა, შენარჩუნდება ორიენტაცია ევროპის კავშირზე“,** — დააიმედა უკრაინელები ლეშჩენკომ ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში.




საპრეზიდენტო ფრაქციის წარმომადგენელი მხარს უჭერს, აგრეთვე, უკრაინაში ე.წ. **მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზებას.**

**„მსოფლიოში დაიწყო მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზება. ესეც აუცილებლად მოხდება უკრაინაში, მაგრამ საზოგადოება ამისთვის ჯერ მზად არ არის.**

ამ ეტაპზე მხარს არ დავუჭერ ლეგალიზაციას, მაგრამ მინდა, რომ დაისაჯონ ნარკოტიკის მწარმოებლები და გამავრცელებლები და არა — მომხმარებლები“.

ლეშჩენკოს მიაჩნია, რომ უკრაინაში ლეგალიზებული უნდა იყოს **პროსტიტუცია.** ამას კი „ადამიანის ბუნებასთან ბრძოლის უნაყოფობით“ ხსნის.

„პროსტიტუციის ლეგალიზება სოციალური დაცვის, ფიზიკური უსაფრთხოების გარანტიებს მისცემს ამ საქმით დაკავებულებს, ფული კი მიმართული იქნება ბიუჯეტისკენ. ბევრი ქვეყანა პროსტიტუციას იყენებს, როგორც სატყუარას ტურისტებისთვის. უკრაინელები ამ სახელმწიფოების მოსახლეობაზე სულელები არ უნდა იყვნენ. **პროსტიტუცია აუცილებლად უნდა იყოს დეკრიმინალიზებული და ლეგალიზებული“**, — განაცხადა დეპუტატმა.



## სექსგანათლების გაკვეთილიდან ბავშვები სასწრაფო დახმარების მანქანებით გაიყვანეს

**გერმანიის ერთ-ერთ გიმნაზიაში სექსგანათლების გაკვეთილი მოულოდნელი შედეგით დასრულდა. დაზარალებული ბავშვების მშობლები აღშფოთებულნი არიან ასეთი „საგანმანათლებლო“ გაკვეთილებით, რადგან ბავშვების ფსიქიკამ ვერ გაუძლო ადამიანის სქესობრივი ცხოვრების მაგალითების შესწავლას.**

გერმანიის ქალაქ ბორკენის ერთ-ერთ გიმნაზიაში სექსგანათლების გაკვეთილის მიმდინარეობისას 10 მოსწავლე შეუძლოდ შეიქნა და ჰოსპიტალში მოათავსეს.

ერთ-ერთმა მოზარდმა სექსუალური აღზრდის გაკვეთილზე გონება დაკარგა, სხვები კი თავს ცუდად გრძნობდნენ.

„გიმნაზიის მეექვსეკლასელი მასწავლებლის დავალებას ასრულებდა — ნაწილებად ჭრიდა ბუტაფორულ სასქესო ორგანოს, როცა გონება დაკარგა. მისი სხვა კლასელები კი გაფითრდნენ და ძლივს სუნთქავდნენ. სექსგანათლების მასწავლებელს შეეშინდა და სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახა. ექიმებმა 10 მოსწავლე სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს“, — იუწყება ინტერნეტგამოცემა derwesten.ge.

შეგახსენებთ, რომ გერმანიაში ე.წ. სექსუალური აღზრდის გაკვეთილებზე დასწრება აუცილებელია ყველა მოსწავლისთვის.

გერმანელი ბავშვები ვალდებულნი არიან, არა მხოლოდ დაესწრონ სექსგანათლების გაკვეთილებს, არამედ იძულებით შეასრულონ საშინაო დავალება ამ საგანში. მაგალითად, ქალაქ კელნის 9 წლის მოსწავლეები ვალდებულნი არიან, გამოცდა ჩააბარონ ორგაზმის საკითხებზე. ამას გარდა, განათლების სამინისტროს განკარგულებით, ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის მიწაზე მშობლებს აიძულებენ, ბავშვებთან ერთად მოამზადონ სექსგანათლების საგნის საშინაო დავალებები.

## საფრანგეთში მიგრანტებმა რეპორტიორის თვალწინ გააუპატიურეს თარჯიმანი

**საფრანგეთში პოლიცია ქალაქ კალეს ლტოლვილთა ბანაკში თარჯიმნის გაუპატიურების საქმეს იძიებს. ინციდენტი მოხდა გვიან ღამით, როცა გადამღები ჯგუფი რეპორტაჟს ამზადებდა ავღანელ ლტოლვილებზე.**



**„დამნაშავეები ჯერ შეეცადნენ, ხელში ჩაეგდოთ სატელევიზიო აპარატურა, შემდეგ დანით შეიარაღებულმა 3-მა პირმა მკვლელობის მუქარით 38 წლის ქალი, წარმოშობით ავღანელი, გააუპატიურა. ორმა ავღანელმა კი, დანებით შეიარაღებულებმა, გააკავეს გადამღები ჯგუფის რეპორტიორი, რომელიც თარჯიმანი ქალის დახმარებას შეეცადა“,** — იუწყება The Local France.

დაზარალებული ქალი მიიყვანეს პოლიციაში, სადაც მედიკოსებმა დაადასტურეს, რომ ქალი გაუპატიურებული იყო. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს ძებნა.

კალეში მოწყობილ ლტოლვილთა ბანაკს, რომელსაც „ჯუნგლებს“ უწოდებენ და რომელიც ლამანშის ქვეშ გაყვანილი ევროგვირაბის შესასვლელთან მდებარეობს, ცუდი რეპუტაცია აქვს. ბანაკში ცხოვრობს 9 ათასი არალეგალი, რომლებიც ცდილობენ, ნებისმიერი მეთოდით გადავიდნენ დიდ ბრიტანეთში. ერთხელ ევროგვირაბის შტურმით აღებასაც შეეცადნენ, მაგრამ სამართალდამცველებმა შეაჩერეს.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ორივე კონფერენციას (თეირანისა და იალტის) სტალინის ინიციატივით რუზველტი თავმჯდომარეობდა და აშშ-ის პრეზიდენტი ისე იყო აღფრთოვანებული სტალინის დიპლომატიით, თავმდაბლობითა და რაინდობით, რომ მას, მიუხედავად პოლიტიკური მარცხისა, კმაყოფილებას ჰგვრიდა სტალინის ნათელი გონება და სხარტი აზროვნება.**

**„ყველაზე დიდი პოპულარობით საბჭოთა კავშირში რუზველტი სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რომ ის კაპიტალისტური ქვეყნის მეთაურია“, — ამბობდა სტალინი. რუზველტი, თავის მხრივ, არ მალავდა, რომ უდიდეს პატივს სცემდა სტალინს: „იგი ჩამოსხმულია გრანიტისგან, რომელსაც ჩადგმული აქვს რუსული სული და გული“. სტალინისა და რუზველტის ურთიერთობიდან გამომდინარე, ჩერჩილი სინანულით წერდა, რომ იგი ყოველთვის მესამე კაცად მიიჩნევდა თავს კოალიციაში. რუზველტი სტალინთან შეხვედრის მიმართ ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა და არაერთხელ მიუმართავთ კიდეც ამ საკითხზე საბჭოეთის ბელადისთვის, მაგრამ რამდენიმე გარემოების გამო სტალინისა და რუზველტის ერთი-ერთზე შეხვედრა არ გამართულა.**

# სტალინი და რუზველტი



**კონფერენციაზე, რომელიც ყირიმის ნახევარკუნძულზე, ქალაქ იალტაში, ლივადიის სასახლეში მიმდინარეობდა, მოკავშირეებს შორის დედამიწაზე გავლენის სფეროების გადანაწილება მოხდა. ამ გადანაწილების შემდეგ გერმანული ფაშიზმის დამარცხებაში ლომის წილის შემტან სტალინს ლომის წილი ერგო**

ერთხელაც სტალინმა გამოიძახა ავიაციის მთავარი მარშალი **ალექსანდრე გოლოვანოვი**, რომელსაც გამორჩეულად ენდობოდა და უზიარებდა თავის საიდუმლო ჩანაფიქრს, და უთხრა, რომ გადაწყვეტილი აქვს, შეხვდეს რუზველტს, თან დასძინა, ეს ჩვენ შორის უნდა დარჩესო. 1942 წლის თებერვალ-მარტში გოლოვანოვს უნდა შეერჩია და დაეზუსტებინა ამერიკაში ჩასასვლელი მარშრუტი — მოსკოვი-ალასკა-ვაშინგტონი, ან თურქეთის გავლით, ან, მიუხედავად საბრძოლო მოქმედებებისა, ევროპის საჰაერო სივრცით. წარმოუდგენელია ის სიზუსტე და გასაიდუმლოება, რომელიც ამ მგზავრობასთან იყო დაკავშირებული.

როდესაც რუზველტი დარწმუნდა, რომ სტალინს გადაწყვეტილი ჰქონდა ამერიკაში ჩასვლა და მასთან შეხვედრა, საიდუმლო მიმოწერითა და სატელეფონო კავშირით, უდიდესი პატივისცემის ნიშნად სთხოვა სტალინს, რომ ვიზიტად ვაშინგტონში **ვიაჩესლავ მოლოტოვი** ჩასულიყო, სტალინი დიდი ხნით რომ არ დაშორებოდა ფრონტის ხაზს.

ენით აუწერელია ფათერაკებიანი გზა, რომელიც მოლოტოვმა ვაშინგტონამდე გაიარა, მაგრამ ეს დღევანდელი წერილის თემა არ არის და ამიტომ არ შევეხები.

რუზველტმა მეორედაც სცადა სტალინთან ერთი-ერთზე შეხვედრა მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე, მაგრამ სტალინმა ჩვეული ტაქტით გარკვეული დროით გადადო, რადგან სტალინის ბუნებას არ შეეფერებოდა თანამზრახველის გარეშე მესამე პირთან შეხვედრა, რაც სტალინს, ალბათ, ქართულმა ხასიათმა უკარნახა.

დიდი ძალისხმევის შედეგად შეხვედრა მაინც გაიმართა, მაგრამ სამი პირის მონაწილეობით — **რუზველტის, სტალინისა** და **ჩერჩილის**. ეს 1943 წლის ნოემბერში მოხდა ირანის დედაქალაქ თეირანში.

თუ ინგლისელების აქტიურობა თეირანის შეხვედრის მიმართ იმით იყო გამოწვეული, რომ ინგლისის თავზე რეგულარულად დაფრინავდნენ გერმანული „მესერშმიტები“ და ბომბავდნენ ქალაქებს, ამის საშიშროება ამერიკელებს ჯერ არ დადგომოდათ, მაგრამ 1941 წლის 7 ოქტომბერს იაპონიის მიერ ამერიკული ბაზის დაბომბვამ რუზველტი სერიოზულად ჩააფიქრა და უკმაყოფილება, რომელსაც სტალინისა და მისი ქვეყნის მიმართ გამოხატავდა, დავიწყებას მიეცა. აშშ-ის პრეზიდენტი სტალინსა და საბჭოეთს პარტნიორად განიხილავდა იაპონიასთან მომავალ საბრძოლო მოქმედებებში.

თეირანის კონფერენციამდე რუზველტის, როგორც პრეზიდენტის, წარმატებები დიდად იყო დამოკიდებული სტალინისა და საბჭოეთის უდიდეს გამოცდილებასა და პრაქტიკაზე. კატასტროფის წინაშე მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა, რომელიც ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ჩაიბარა 1933 წელს, „დიდი დეპრესიისგან“ მხოლოდ სტალინისეულმა ცენტრალიზაციამ იხსნა. **1935 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის — ფრანკლინ რუზველტის მიერ ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული ვეფხისებური ნახტომი სტალინური სოციალური უზრუნველყოფის გამართულ მექანიზმზე იყო აწყობილი.**

რუზველტი ათვითცნობიერებდა, ვისთან მოუწევდა ომის პერიოდში თანამშრომლობა და ხვეწდა და ამუშავებდა მეთოდებს, როგორ უნდა მოქცეულიყო მასთან არა მხოლოდ ომის, არამედ ომის შემდგომ პერიოდშიც.

რუზველტის სურვილი, სტალინისთვის ეცნობებინა 1940 წელს დაწყებული ატომური ბომბის შექმნის მანჰეტენის პროექტის შესახებ, რომელიც წინასწარი შეთანხმებით კოალიციის წევრებს შორის ცნობილი უნდა ყოფილიყო, ჩერჩილის დაჟინებული წინააღმდეგობის გამო არ განხორციელდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1945 წელს, იალტის კონფერენციის მიმდინარეობისას, ატომური ბომბის შექმნის საკითხი თითქმის დასრულებული იყო, და რუზველტს ახლა მაინც განეცხადებინა, რომ ამერიკამ ზემძლავრი ბომბი შექმნა, ჩერჩილი ამ შემთხვევაშიც წინ აღუდგა ამ უაღრესად საიდუმლო იარაღის შექმნაზე ინფორმაციის გამჟღავნებას სტალინისთვის. **იალტის კონფერენციაზე ამერიკასა და ინგლისს ხელში ეჭირათ კოზირი „რუსი ბიჭებისთვის“, სტალინი კი ზედიზედ იპყრობდა მსოფლიო პოლიტიკის ჯერ კიდევ დაულაშქრავ სიმაღლეებს, როგორც ტანკი T-34 მიარღვევდა მამაის ყორღანს სტალინგრადში.**

კონფერენციაზე, რომელიც ყირიმის ნახევარკუნძულზე, ქალაქ იალტაში ლივადიის სასახლეში მიმდინარეობდა, მოხდა დედამიწაზე გავლენის სფეროების გადანაწილება მოკავშირეებს შორის. ამ გადანაწილების შემდეგ გერმანული ფაშიზმის დამარცხებაში ლომის წილის შემტან სტალინს ლომის წილი ერგო.

ორივე კონფერენციას (თეირანისა და იალტის) სტალინის ინიციატივით რუზველტი თავმჯდომარეობდა და აშშ-ის პეზიდენტი ისე იყო აღფრთოვანებული სტალინის დიპლომატიით, თავმდაბლობითა და რაინდობით, რომ მას, მიუხედავად პოლიტიკური მარცხისა, კმაყოფილებას ჰგვრიდა სტალინის ნათელი გონება და და სხარტი აზროვნება.

რით მოაწონა სტალინმა თავი რუზველტს?

დავუბრუნდეთ თეირანის კონფერენციას. ირანში კოალიციის წევრთა უსაფრთხოების მიზნით საქართველოდანაც ჩავიდნენ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები 12 კაცის შემადგენლობით. მათ შორის იყვნენ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი — **გრიშა კარანაძე** და **კაპიტონ ნაჭყებია.**

თეირანის აეროდრომზე ქართველთა დელეგაციას სტალინი ხელაწეული მიესალმა — „საქართველოს გაუმარჯოს!“

„საბჭოთა საელჩოსკენ მიმავალ მანქანების კოლონას ჩვენც მივყვებოდით. წარმომადგენლობაში მივედით, ვისადილეთ. სტალინმა ბაღში გასეირნება მოისურვა. ცოტა ხანში რეზიდენციას ჩერჩილი მოადგა თავისი დაცვით. სტალინმა თავისთან მიხმო, — იგონებს კაპიტონ ნაჭყებია, — და დამავალა პრეზიდენტ რუზველტთან გამოცხადება, რათა მივხმარებოდი მას საბჭოთა საელჩოში მოსვლაში, თუ ის ისურვებდა. მეც პრეზიდენტ რუზველტთან გამოვცხადდი და სტალინის სურვილი გადავეცი. რუზველტმა თანხმობა განაცხადა წამოსვლაზე და ორმა დამხმარემ ის მის სამოძრაო ეტლში გადაიყვანა. როდესაც ეტლში მოთავსდა, მკითხა, — ხიზილალა ხომ არ ჩამოგიტანიათო? ერთი ქილა ხიზილალა წამოღებული მქონდა და მას მივართვი, რის გამოც მადლობა გადამიხადა და რუსულად დასძინა, ცოტააო. ეს ამბავი ჩემს მეგობრებს მოვუყევი საელჩოში და სტალინის ყურამდეც მიაღწია, რის გამოც სტალინმა გამომიძახა და მიბრძანა, რუზველტს ერთი კასრი ხიზილალა მიართვითო. იქვე ამიხსნა, თევზი, ძირითადად, საბჭოეთის ნაპირებზე ყრის ქვირითს და ამიტომ არის ამერიკაში ხიზილალა დეფიციტიო“.

**დიდი სამეულის თეირანში თავმოყრის ამბავი მსოფლიოსთვის შეიქნა ცნობილი. მიუხედავად კონსპირაციისა, ჰიტლერმა ძალიან კარგად იცოდა არა მხოლოდ ადგილი, სადაც კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო, არამედ ყველა წვრილმანი, რომლებიც დიდი სამეულის დაბინავებასა და დაცვასთან იყო დაკავშირებული. ნაცისტურ გერმანიას ორმოცდაათამდე სხვადასხვა ხერხი ჰქონდა გათვლილი და დაგეგმილი დიდი სამეულის სალიკვიდაციოდ, მათ შორის იყო რუზველტის გატაცების ოპერაციაც.**

საბჭოთა კონტრდაზვერვამ თეირანში დიდი სამეულის ჩასვლამდე იცოდა ყველა დაგეგმილი ხაფანგისა და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და მიღებული იყო კონტრზომები მათ სალიკვიდაციოდ. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ სტალინმა თეირანში ჩასვლისთანავე მიიწვია რუზველტი თავისთან და ურჩია, გადასულიყო საბჭოთა საელჩოს შენობაში სამუშაოდ და საცხოვრებლად, რადგან მისი უსაფრთხოება იქ გაცილებით უკეთ იქნებოდა დაცული.

**რუზველტი სიამოვნებით დათანხმდა სტალინის შემოთავაზებას და გადაბარგდა საბჭოთა საელჩოში. ამის გამო ძალიან გაღიზიანდა ჩერჩილი, რადგან იცოდა, რომ სტალინის ქართული სტუმართმოყვარეობა ძალზე მოხიბლავდა ამერიკის პრეზიდენტს, რაც დააზიანებდა დიდი ბრიტანეთის ინტერესებს. მოსახდენი მოხდა და ამერიკის პრეზიდენტი საბჭოთა საელჩოს დროებითი ბინადარი გახდა.**

„მზადდებოდა პირველი ოფიციალური შეხვედრა სტალინსა და რუზველტს შორის, — იგონებს სტალინის თარჯიმანი, — მე ერთი დღით გვიან ჩავედი თეირანში. ჩასვლისთანავე პირდაპირ პლენარული სხდომების ჩასატარებელ დარბაზს მივაშურე, რადგან ისედაც დაგვიანებით ვიყავი ჩასული.

დარბაზში სტალინი მარტო იყო. როგორც კი შევედი ოთახში, მან გამჭოლი მზერა მომაპყრო და ვიგრძენი, რომ ჩემი დაგვიანებით გაბრაზებული ჩანდა. ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო და ასანთს ნელა გაჰკრა, შემდეგ დარბაზში ბოლთის ცემა დაიწყო.

— გზაზე ძალიან ხომ არ დაიღალე? მზად ხარ თარგმნისათვის? საუბარი ძალიან საპასუხისმგებლო იქნება.

— მზად ვარ, ამხანაგო სტალინ! ღამე ბაქოში ნორმალურად გავათენე, თავს კარგად ვგრძნობ.

სტალინი მაგიდასთან მივიდა, პაპიროსის კოლოფი დააგდო მაგიდაზე და ზედ ასანთის კოლოფი დადო, თვითონ კი დივანთან მივიდა და მითხრა:

— აქ ბოლოში მე დავჯდები. რუზველტს ეტლით შემოიყვანენ და იგი განთავსდება იმ სავარძლის მარცხნივ, რომელშიც თქვენ მოთავსდებით.

— გასაგებია, — მივუგე მე.

ხშირად მიმიღია მონაწილეობა სტალინთან მოლაპარაკებებში, მაგრამ არ მახსოვს, მას ასეთი წვრილმანისთვის ყურადღება მიექციოს. ეს, ალბათ, რუზველტისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოხატულება იყო.

**თეთრი მუნდირი** ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდი სამეულის თეირანში თავმოყრის ამბავი მსოფლიოსთვის შეიქნა ცნობილი. მიუხედავად კონსპირაციისა, ჰიტლერმა ძალიან კარგად იცოდა არა მხოლოდ ადგილი, სადაც კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო, არამედ ყველა წვრილმანი, რომლებიც დიდი სამეულის დაბინავებასა და დაცვასთან იყო დაკავშირებული. ნაცისტურ გერმანიას ორმოცდაათამდე სხვადასხვა ხერხი ჰქონდა გათვლილი და დაგეგმილი დიდი სამეულის სალიკვიდაციოდ, მათ შორის იყო რუზველტის გატაცების ოპერაციაც.**

**◀ ოქროს სამხრეებითა და ოქროს ვარსკვლავით, აგრეთვე, თხელძირიან ქართულ ჩექმაში ჩატანებული წითელლამპასებიანი შარვალი სულ სხვა ბრწყინვალებას ჰმატებდა ბრწყინვალე დიპლომატსა და უზარმაზარი ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველს.**

აშშ-ის პრეზიდენტს ის ქართული სტუმარმასპინძლობის წესის დაცვით დახვდა, უპირველესად მოიკითხა, როგორ მოეწყო და ხომ არ გამორჩენიათ რაიმე წვრილმანი, რომელიც უხერხულობას უქმნის მას და რომელსაც დაუყონებლივ გამოასწორებენ.

აშშ-ის პრეზიდენტმა უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა სტუმარმასპინძლობისთვის და სტალინს პატივისცემის ნიშნად მოკრძალებით გაუწოდა თავისი ძვირფასი სიგარა, სტალინმა კი მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა: „ჩემსას ვარ შეჩვეული". რუზველტმა სტალინს ჰკითხა მის ლეგენდარულ ჩიბუხზე. ყოვლისშემძლე ბელადმა დანანებით თქვა, ექიმები მიკრძალავენო და ხელი ჩაიქნია.

— ექიმებს უნდა მოუსმინო, — შეგონებით წარმოთქვა რუზველტმა.

ისინი დიდხანს საუბრობდნენ ნიკოტინის მავნე თვისებებზე და სუფთა ჰაერზე გასეირნების აუცილებლობაზე. ორივე ისე თავისუფლად და გულითადად საუბრობდა, რომ გეგონებოდათ, ძველი მეგობრები გარკვეული ხნის განშორების შემდეგ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს", — იგონებს თარჯიმანი.

აშშ-ის პრეზიდენტმა სთხოვა სტალინს, მოეთხრო მისთვის ომის ბოლო მოვლენებზე. სტალინი დაუფარავად ელაპარაკა რუზველტს ბრძოლების რთულად მიმდინარეობაზე, განსაკუთრებით — უკრაინაში, რადგან ჟიტომირის, როგორც რკინიგზის ძირითადი კვანძის, დაკარგვის შემდეგ კვლავ საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა უკრაინის დედაქალაქი კიევი.

„რუზველტი, თავის მხრივ, მოუყვა სტალინს წყნარ ოკეანეში მიმდინარე ცხარე ბრძოლებზე, შემდეგ კი საუბარი ჩამოუგდო კოლონიური იმპერიების მომავალზე.

— მე ამის შესახებ ვესაუბრე ჩვენს მეგობარ ჩერჩილს. მას არ უყვარს ამ საკითხზე საუბრის გაგრძელება და არც უნდა განვიხილოთ ეს საკითხი მასთან. ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი არ არიან იმპერიული სახელმწიფოები და ამიტომ იოლია ჩვენი მხრიდან ამაზე საუბარი, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ, გვინდა თუ არა, ამ საკითხზე აუცილებლად მოგვიწევს საუბარი.

— მომავალში ეგ საკითხი, — განაგრძო რუზველტმა, — აუცილებლად უნდა განვიხილოთ ჩერჩილის დაუსწრებლად, რომელსაც არავითარი გეგმა არ აქვს და არც განიხილავს ინდოეთის საკითხს. სტალინი დაეთანხმა პრეზიდენტს, განსახილველად წამოიწეულიყო ეს დელიკატური თემა. სტალინი იმაშიც დაეთანხმა რუზველტს, რომ კოლონიური იმპერიების საკითხი უნდა განიხილებოდეს თვით იმპერიების მონაწილეობის გარეშე. მან პრეზიდენტს ისიც შეახსენა, როგორ ურიგდებოდა 1940 წელს ჰიტლერი მოლოტოვს ბერლინში მოლაპარაკებისას, რომ საბჭოთა კავშირს, გერმანიას, იტალიასა და იაპონიას გაენაწილებინათ დიდი ბრიტანეთის იმპერიის მემკვიდრეობა.



**თეთრი მუნდირი ოქროს სამხრეებითა და ოქროს ვარსკვლავით, აგრეთვე, თხელძირიან ქართულ ჩექმაში ჩატანებული წითელლამპასებიანი შარვალი სულ სხვა ბრწყინვალებას ჰმატებდა ბრწყინვალე დიპლომატსა და უზარმაზარი ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველს**

ვუსმენდი და ვფიქრობდი, — იგონებს თარჯიმანი, — სტალინი და რუზველტი შესანიშნავად უგებენ ერთმანეთს, მაგრამ ძნელია, განსაზღვრო, როგორ განვითარდება ეს ურთიერთობა.

**მიუხედავად რუზველტის დიდი პატივისცემისა, საბჭოთა ლიდერს გული მაინც არ ულგებოდა იმ ორპიროვნის გამო, რომელსაც კოალიციის წევრები ამჟღავნებდნენ თავიანთი ფარული თუ გაცხადებული ინტერესების თაობაზე.**

სტალინი მოლოტოვს კერძო საუბარში ეუბნებოდა:

— გჯერა, რომ რუზველტს თავისი კონგრესის ეშინია და ამიტომ ვერ იღებს გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ? არა, ამას ის თავის გასამართლებლად მეუბნება. ის ხომ მთავარსარდალია და ომის მიმდინარეობისას მთავარსარდალს შეუძლია ინდივიდუალურად თუ ზეწოლით მიაღებინოს სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლო საკითხებზე გადაწყვეტილება. მას არ უნდა ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა და ამიტომ თავის დასაცავად იშველიებს კონგრესს.

სტალინი, ასევე, ბრალს სდებდა რუზველტსა და ჩერჩილს, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკული და ინგლისური პრესის უარყოფითი დამოკიდებულება მხოლოდ და მხოლოდ პრესის თავისუფლებით არ იყო გამოწვეული. ამას სტალინი უწოდებდა ბურჟუების ორმაგ თამაშსა და გაიძვერობას.

როდესაც საბჭოთა პრესა სამართლიანად აკრიტიკებდა პრეზიდენტ რუზველტსა და ჩერჩილს მეორე ფრონტის გაუხსნელობისთვის, მასალებისა და საკვები პროდუქტების მიუწოდებლობისთვის, რუზველტიც და ჩერჩილიც პროტესტს უცხადებდნენ სტალინს საბჭოთა პრესის მიერ პოლიტიკური სკანდალის აგორების გამო.

ამერიკისა და ინგლისის კრიტიკის ქარცეცხლი საბჭოთა ხელისუფლების საინფორმაციო წყაროებიდან რომ არ წამოსულიყო, სტალინმა გადაწყვიტა, დაეარსებინა ახალი გაზეთი „ომი და მუშათა კლასი". ამ გაზეთს უშვებდა საბჭოთა პროფკავშირული ორგანიზაცია, რომლის უფლებებშიც ვერ შეიჭრებოდა საბჭოთა ხელისუფლება. გაზეთის ფაქტობრივი რედაქტორი მოლოტოვი იყო, ხოლო რედაქტორად ხელს აწერდა პროფკავშირის რომელიღაც წარმომადგენელი.

გაზეთში უცხოეთზე გამოქვეყნებულ კრიტიკულ მასალებს აკონტროლებდა არა მხოლოდ მოლოტოვი, არამედ თვით სტალინი.

რუზველტი და ჩერჩილი ხვდებოდნენ, რომ აქ სტალინის ხრიკები იყო ჩადებული, მაგრამ საპრეტენზიო არაფერი ჰქონდათ, რადგან სტალინი მათ თავიანთი ხერხით შეებრძოლა.

პრეზიდენტმა რუზველტმა საბჭოთა კავშირის ახალდანიშნულ ელჩს ამერიკაში, **მიხეილ ლიტვინოვს**, 1942 წლის იანვარში საბჭოთა მთავრობისთვის გადასაცემად განუცხადა, რომ მზად იყო ამერიკის ჯარის ნაწილების გასაგზავნად კავკასიაში, აგრეთვე, მურმანსკში, რათა გამოეთავისუფლებინა საბჭოთა ჯარისკაცები და ჩაბმულიყვნენ ფაშისტებთან ბრძოლაში, აგრეთვე, ჯარი განეთავსებინა ნორვეგიისა და ფინეთის ტერიტორიაზე.

**სტალინმა მოლოტოვის მიერ გაგზავნილი წერილით უპასუხა ლიტვინოვს, გადაეცა ამერიკის პრეზიდენტისთვის, რომ მას დახმარება არ სჭირდება იქ, სადაც საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობს, მაგრამ მზად არის, მიიღოს ამერიკის ჯარის ნაწილები იქ, სადაც წითელი არმიის ჯარიკაცების მხარდამხარ იბრძოლებენ გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ.**

საბჭოთა ლიდერი არა მხოლოდ ხვდებოდა დასავლეთის ხრიკებს, არამედ მათ ბოროტ განზრახვას ძირშივე ანადგურებდა.

1942 წელს ჰიტლერმა დაიწყო გერმანიის სამხედრო მანქანის მობილიზება, რათა გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა საბჭოთა კავშირისთვის. 1942 წლის 31 იანვარს საბჭოთა ელჩი ლიტვინოვი ამერიკიდან ატყობინებდა მოსკოვს, რომ განუსაზღვრელია ის შესაძლებლობები, რომლებიც ჰიტლერს აქვს შეტევის განსახორციელებლად საბჭოთა კავშირზე, და, შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, ხომ არ სთხოვოს პრეზიდენტ რუზველტს, კიდევ ერთხელ განიხილოს მეორე ფრონტის გახსნის საკითხი.

იმავე წლის 4 თებერვალს ლიტვინოვმა მოსკოვიდან დაშიფრული ტელეგრამა მიიღო: **„მივესალმებით ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას მოკავშირეების მიერ, მაგრამ თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენ სამჯერ მივიღეთ უარი მეორე ფრონტის გახსნის მოთხოვნაზე, ამიტომ არ დააყენოთ პრეზიდენტ რუზველტის წინაშე საკითხი მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე; დაველოდოთ მომენტს, როდესაც მოკავშირეები თვითონ მოიფიქრებენ და გადაწყვეტენ მეორე ფრონტის გახსნას. არ გვინდა, მეოთხედაც მოტყუებული დავრჩეთ".**

ამ პასუხით თავისი უკმაყოფილება აგრძნობინა ამერიკის პრეზიდენტს. სტალინის ამ მკვახე განცხადებას რუზველტი მშვიდად არ შეხვედრია. მიუხედავად იმისა, რომ სტალინის განზრახვას ვერც თავი მოუნახა და ვერც ბოლო, საუკეთესო გამოსავლად მაინც კომპრომისი არჩია და 1942 წლის 12 აპრილს რუზველტმა სტალინს აცნობა:

„მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოხდეს სერიოზული წარმომადგენლობითი შეხვედრა, რომელზეც სასწრაფოდ ჩამოყალიბდება ერთიანი საბრძოლო მოქმედების გეგმა საერთო მტრის წინააღმდეგ".

რუზველტი დაინტერესდა, დართავდა თუ არა სტალინი მოლოტოვს ნებას, ჩასულიყო ვაშინგტონში და მონაწილეობა მიეღო ამ თათბირში.

საბჭოთა მთავრობა დათანხმდა მოლოტოვის ვაშინგტონში გამგზავრებას და თათბირზე დასწრებას. ვიზიტს დაედო გრიფი „სრულიად საიდუმლოდ" და უწოდეს კოდური სახელი „მისტერ ბრაუნის მისია".

ვაშინგტონში გამართულ თათბირზე მოლოტოვმა განაცხადა: **„თუ მოკავშირეები 1942 წლის განმავლობაში ევროპაში გადმოსხამენ თუნდაც 40 დივიზიას, მდგომარეობა ფრონტზე სწრაფად შეიცვლება ჩვენ სასარგებლოდ და ჰიტლერის ბედიც გადაწყდება.**

მოისმინა რა მოლოტოვის ეს განცხადება, რუზველტმა იქვე მყოფ გენერალ **მარშალს** მიმართა: „გვაქვს თუ არა იმის პირობები, ვაცნობოთ სტალინს, რომ ჩვენ მიმდინარე წელს გავხსნით მეორე ფრონტს"? გენერალის დადებითი პასუხის შემდეგ რუზველტმა საზეიმოდ განაცხადა:

— „მოახსენეთ თქვენს მთავრობას, რომ მიმდინარე წელს აუცილებლად გაიხსნება მეორე ფრონტი". ამერიკის პრეზიდენტს დაეთანხმა დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ჩერჩილი და გადაწყდა, რომ იმავე წელს აუცილებლად დაიწყებოდა ჯარების გადასხმა ევროპაში. განისაზღვრა, აგრეთვე, მოქმედების დაწყების თვე და რიცხვი.

კომუნიკე, რომელზეც ხელი მოაწერეს მხარეებმა, ასეთი შინაარსის იყო:

**„მიღწეული იქნა ურთიერთშეთანხმება 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ".** მაგრამ, როგორც მოგვიანებით შეიქნა ცნობილი, რუზველტმა და ჩერჩილმა ამჯერადაც გატეხეს სიტყვა და უღალატეს მოკავშირეს. მიუხედავად ამისა, ღალატსა და ფლიდობას შეჩვეული სტალინი სტრატეგიას არ ცვლიდა და მოკავშირის მოვალეობას ისე ასრულებდა, როგორც ფოლადის კაცს შეეფერებოდა.

რუზველტის „კეთილგანწყობას" მოკავშირის მიმართ დაუფარავად გადმოგვცემს თვით პრეზიდენტის შვილი **ელიოტ რუზველტი**, რომელიც პირადად იცნობდა სტალინს და მამის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჟურნალისტმა, ინტერვიუც კი ჩამოართვა საბჭოეთის ბელადს.

ელიოტ რუზველტი წერს:

**„იცოდე შენთვის, — მიხსნიდა მამა, — ეს ომი საფეხბურთო მატჩია, ჩვენ კი, როგორც იტყვიან, სკამზე ჩამომსხდარი სათადარიგო მოთამაშეები. დღეს ძირითადი მოთამაშეები არიან რუსები, ჩინელები და, უმნიშვნელო ხარისხით, ინგლისელები. ჩვენ გვევალება, თამაშში ჩავერთოთ მაშინ, როდესაც გადამწყვეტი მომენტი დადგება. ვფიქრობ, რომ დრო უნდა შევარჩიოთ სწორად".**




## ყურადღება!

„ბიბლუსისა" და „ლიბრას" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი", „რუსთაველი", „თავისუფლების მოედანი" შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი", რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰილარი კლინტონმა იცოდა, რომ მოძალადემ მართლა ჩაიდინა დანაშაული. მას შეეძლო და თავი უნდა აერიდებინა ასეთი კაცის ადვოკატობისთვის, რადგან ყოველთვის წარმოგვიდგებოდა, როგორც ქალებისა და ბავშვების მხურვალე და მოუსყიდველი დამცველი, მაგრამ გადაწყვიტა, დაეცვა მოძალადე. შემდეგ იგი ასეთივე მონდომებით იცავდა თავის ქმარს — ბილ კლინტონს, რომელსაც ბრალად წაუყენეს ხუანიტა ბროუდრიკის გაუპატიურება. იგი ცრუობდა ბენღაზის შესახებ და ჩირქს სცხებდა იქ დაღუპული ამერიკელების ოჯახებს.**



### «ამერიკან სპექტატორი»:

# აშშ-ში მხოლოდ არჩევნები კი არ არის ფალსიფიცირებული, არამედ ამერიკული დემოკრატიის სისტემა

**„ამერიკან სპექტატორი“ ჰილარი კლინტონის მიმართ ბრალდების წაუყენებლობას კანონის დარღვევად და აღმაშფოთებელი კორუფციის, ნათლიმამობისა და ფავორიტიზმის მაგალითად მიიჩნევს.**

აშშ-ში შეიმჩნევა მზარდი უკმაყოფილება პოლიტიკური კლასის მიმართ, ასევე, უნდობლობისა და შიშის გაძლიერება მთავრობის წინაშე.

სამთავრობო კორუფციით გამოწვეული შიში (რომელსაც ადასტურებს ჩეპმენის უნივერსიტეტის ამასწინანდელი გამოკითხვა) გაცილებით დიდია, ვიდრე შიში ტერორიზმის, ფინანსური არასტაბილურობის, დაავადებისა და უახლოესი ადამიანის სიკვდილისაც კი. წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნების ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი სეზონის დასასრულისთვის ამერიკის მთავრობისადმი ნდობა არნახულად დაბალ მაჩვენებელს უახლოვდება. ამერიკელები ხელისუფალთ განიხილავენ არა როგორც ხალხის მსახურებს, მშვიდობისა და სამართლიანობის მცველებს, არამედ — როგორც კორუფციონერთა ბრბოს. აღმაშფოთებელი კორუფციის, ნათლიმამობისა და ფავორიტიზმის სულ ახალ მაგალითად ასახელებენ იუსტიციისა და დაზვერვის ფედერალური ბიუროს უუნარობას, ბრალი წაეყენებინათ ჰილარი კლინტონისთვის საიდუმლო და კონფიდენციური ინფორმაციის მიმართ არასწორი დამოკიდებულების გამო. ამერიკელები ყოველდღიურად მოწმენი არიან ქვეყნის პოლიტიკური ელიტისთვის პასუხისმგებლობის აცილების მაგალითების, მის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამო.

ამომრჩევლები არ ფარავენ აღშფოთებას გამყიდველი მთავრობის მიმართ.




### «პოლიტიკო»:

# ამომრჩევლები ფიქრობენ, რომ ტრამპს შეიძლება მოპარონ გამარჯვება

**ამერიკელებს სულ უფრო ნაკლებად სჯერათ აშშ-ის საარჩევნო სისტემის, — ამას ადასტურებს „პოლიტიკოსა“ და კვლევითი კომპანია „მორნინგ კონსულტის“ ერთობლივი სოციალური გამოკითხვა.**

ეს გამოკითხვა ჩატარდა 2016 წლის 13-15 ოქტომბერს და 1999 ამერიკელი ამომრჩეველი მოიცვა. რესპონდენტთა 41 პროცენტმა განაცხადა, რომ აშშ-ის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება დონალდ ტრამპს შეიძლება „მოპარონ“ არჩევნების შედეგების ფალსიფიცირების გზით. ამ ვარაუდს იზიარებს რესპუბლიკელების 73 პროცენტი და დემოკრატების 17 პროცენტი.

„შედეგები ადასტურებს, რომ ამერიკელები სულ უფრო ნაკლებად არიან დარწმუნებულები, რომ მთელ ქვეყანაში ხმებს პატიოსნად ითვლიან, — აღნიშნა **კაილ დროპმა** „მორნინგ კონსულტის“ თანადამფუძნებელმა და უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, — ეს გრძნობა განსაკუთრებით ძლიერია ტრამპის მომხრეებს შორის“.

გამოკითხულთა 44 პროცენტი დაეთანხმა დასკვნას, რომ ეროვნული მედია გარიგებულია ჰილარი კლინტონთან და ცდილობს საპრეზიდენტო მარათონის მის სასარგებლოდ წარმოჩენას. ამ მოსაზრებას იზიარებს რესპუბლიკელების 72 პროცენტი და დემოკრატების 22 პროცენტი.

# «შარლი ებდომ» კარიკატურა გამოაქვეყნა პარიზში მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნაზე



**გამოცემამ ეს კარიკატურა ყდაზე გამოიტანა. გასულ ხუთშაბათს გამოსული ჟურნალის ბოლო ნომერს გვირგვინად ადგას ანონსი „მართლმადიდებლური ტაძარი პარიზში“. ერთ-ერთ გვერდზე ამ თემაზეა წერილი, რომელშიც კრიტიკულად, დამცინავად და შხამნარევი ბოლმით წარმოდგენილია XX საუკუნისა და XXI საუკუნის დასაწყისის მართლმადიდებლობის ისტორია.**

კარიკატურა, რომელზეც ვლაპარაკობთ, ამ წერილს „ამშვენებს“. ნახატზე გამოსახულია ტაძრის გუმბათი მახინჯი გაბერილი სახეებით. კარიკატურის ავტორი არის მხატვარი რისი. ევროპის უფლებადამცველები დუმან, „როგორც ტევრი გამონაკაფი“, არც არავინ აპირებს საპროტესტო მანიფესტაციის მოწყობას მართლმადიდებლური ტაძრის და, საერთოდ, მართლმადიდებლობის დასაცავად.

ესეც მაგალითი იმისა, რომ დასავლეთის ობიექტურობა, მით უფრო, თავის გამოდება ადამიანის უფლებათა დასაცავად, ამორჩევითია.

რამ უბიძგა „შარლი ებდოს“ შემოქმედთა აღმაფრენას და რამ დაადუმა უფლებადამცველები, მარტივი ასახსნელია. ტაძარი რუსეთის ხელისუფლების აგებულია, რუსულია, ხოლო ყველაფერი რუსული მავნეა და ევროპისთვის მიუღებელი.

რასიზმი სხვა არაფერია!







### «ალ-მაიადინი»:

# «ისლამური სახელმწიფოს» ტერორისტთა, სულ ცოტა, ათი მეთაური მოსულიდან სირიაში გაიქცა

**იუწყება ტელეარხი „ალ-მაიადინი“ თავის წყაროზე დაყრდნობით. ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები ბარაჟირებენ მოსულის დასავლეთით.**

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა **ვალერი გერასიმოვმა** განაცხადა: „ტერორისტები კი არ უნდა გაყარო, ადგილზევე უნდა გაანადგურო“. სირიის არმიამ ბრალი დასდო აშშ-ს, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ გაუხსნეს დერეფანი მოსულიდან გასაქცევად.

ორშაბათის ღამეს ერაყის პრემიერმინისტრმა **ჰაიდარ ალ-აბადიმ** განაცხადა, რომ დაიწყო „ისლამური სახელმწიფოს“ რადიკალური დაჯგუფების „ბოევიკებისგან“ მოსულის გათავისუფლების სამხედრო ოპერაცია. მასმედიის მიერ გავრცელებული ცნობების მიხედვით, საომარ მოქმედებებში მონაწილეობენ ერაყის სამხედრო შენაერთები და პოლიციის ძალები, აგრეთვე, ქურთების ფორმირება „ფეშმერგა“, რომელთაც ეხმარება აშშ-ის მეთაურობით შექმნილი კოალიციის ავიაცია.

ამჟამინდელი მონაცემებით, გაერთიანებულმა ძალებმა საგრძნობი უპირატესობა მოიპოვეს და ქალაქის შემოგარენში დაიკავეს საბრძოლო პოზიციები.

**„შეერთებული შტატები ცდილობდა, დაემორჩილებინა ჩინეთი, რუსეთი, უნგრეთი, თურქეთი, ინდოეთი, ბრაზილია, მექსიკა, იაპონია და ფილიპინები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ აშშ-ის მსოფლიო ჰეგემონობას, — ნათქვამია მოხსენებაში, — ამერიკა აიძულებდა მათ, ეღიარებინათ აშშ-ის მნიშვნელობა და ავტორიტეტი, მაგრამ ამგვარმა თავსმოხვეულმა პოლიტიკამ ადამიანების აღშფოთება გამოიწვია მსოფლიოში, მათ შორის თვით შტატებში“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქრისტიანულ რაზმებთან ერთად «ისლამური სახელმწიფოს» წინააღმდეგ მებრძოლ კოალიციაში

**ომმა გამაცნო ნინევიის დამცველთა რაზმები, ასირიის შეიარაღებული მოხალისეები, რომლებიც ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლ კოალიციაში არიან გაერთიანებულნი, — წერს ჟურნალისტი ბენუა კანაბიუსი სტატიაში, რომელიც „უფინგტონ პოსტმა“ 20 ოქტომბერს გამოაქვეყნა.**

ამ რაზმებში გაერთიანებულნი არიან ადამიანები, რომელთაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, თავი დაიცვან მუსლიმთა შემოტევისგან. მას შემდეგ, რაც ნინევიიდან განდევნეს ქრისტიანები, გაანადგურეს მათი მემკვიდრეობა, ერაყის არმია და ქურთები კი ხელს არ ანძრევდნენ მათ დასაცავად, საერთაშორისო თანამეგობრობა აბსოლუტურად გულგრილი რჩებოდა.

ქრისტიანები არჩევანის წინაშე დადგნენ: ან ისლამი უნდა ეწამათ, ან შეურაცხმყოფელი გადასახადი გადაეხადათ, ან დაეტოვებინათ სამშობლო. ალტერნატივა იყო ერთადერთი — სიკვდილი. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ეს არის დანაშაული, რომელიც XX საუკუნის განმავლობაში ჩადენილი მხეცობის, კერძოდ, თურქების მიერ ასირიელების წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდის, სომხების დახოცვის პარალელურად განახორციელეს. დემოგრაფიული შედეგები კატასტროფული აღმოჩნდა — ქრისტიანული თემი 1,5 მილიონიდან 2003 წელს 300 ათას ადამიანამდე შემცირდა. ახალგაზრდა თაობა სამშობლოდან წასვლაზეა ორიენტირებული, უცხოეთისკენ ილტვის. მოსახლეობის ამ ფენას (მათი წარმომადგენლები ბავშვობაში მოინათლნენ), რომელიც კოპტებთან ერთად ქვეყანაში უძველესი ქრისტიანები არიან, გადაშენება უწერია.

500 მებრძოლი და 2580 რეზერვში, რომელიც, საეჭვოა, ოდესმე გამოიყენონ. ნინევიის მომავალი (მრავალი ქრისტიანი და იეზიდი იმედს არ კარგავს, რომ ნინევია ავტონომიური გახდება) ამჟამად ფრიად საეჭვოა. ბაღდადისა და ერბილის ვარაუდი, რომლებიც ამ ტერიტორიას ერთმანეთს ედავებიან, ასეთია: გამოაცოცხლონ სიმბოლო, მაგრამ ხელი არ შეუწყონ შეიარაღებული ძალების შექმნას, რომლებიც ეროვნულ უმცირესობათა დასაყრდენი შეიძლება გახდეს. მოხალისეებს ხელთ აქვთ იარაღი, მაგრამ მათი ბედი გაურკვეველია, ისევე, როგორც ხმის მისაცემი ბიულეტენების ბედი, რომელთა დარიგებაც რეგიონის მოსახლეობისთვის აქვთ გადაწყვეტილი.

საერთო ჯამში, ერაყის არმიასთან თანამშრომლობა ეფექტიანია. მოხალისეთა მეთაური **ბენჯამ აბუში** სპარსეთის ყურეში ომის დროს ბრიგადის გენერალი იყო, ზოგიერთი ოფიცერი და რიგითი მებრძოლიც კი არმიის ვეტერანები არიან. კაპიტანი **ნაშატ ფათჰელი**, რომელიც იმ ასეულს ხელმძღვანელობს, სადაც მე ვიმყოფები, აქ ჯერ კიდევ ირან-ერაყის ომის დროს მსახურობდა.

ბაღდადის ცენტრალური ხელისუფლება მოხალისეების საბრძოლო მასალითა და საკვებით მომარაგებაზე ყოველ თვეში 400 დოლარს გაიღებს. სასაცილო თანხაა მებრძოლებისთვის, რომლებიც თვითონ არიან ლტოლვილები, რადგან ისლამისტებმა ხელთ იგდეს მათი სახლები და მთელი ავლადიდება.

ამერიკელები დაჰპირდნენ ახალი იარაღის მიცემას ბაღდადის გათავისუფლების შემდეგ, მაგრამ სიტყვა არ შეასრულეს. მოხალისეებს ეხმარებიან კონსულტანტები: ასეთი დახმარების გასაწევად ყოველთვის მზად არიან ის სახელმწიფოები, რომლებიც ომს სხვისი ხელით აწარმოებენ. ამერიკული საგანგებო დანიშნულების რაზმი წვრთნის მათ, კანადელები კი შეუმჩნეველი მხარდაჭერით უზრუნველყოფენ.

თელესკუფისთვის ბრძოლის შემდეგ, როცა სამი მეომარი დაიჭრა და კოალიციას მოხალისეები შეუერთდნენ, რამდენიმე ჟურნალისტი ამ კაცით დაინტერესდა.



სანამ ისინი რეპორტაჟებს ამზადებენ და ფოტოსურათებს იღებენ, გადავწყვიტე, წამეთვლიმა. 18 წლის **აბდულა** და მასთან ერთად **სანდი** და **ასილი** რაღაც სისულელით მაწუხებენ. ყოფილი მედესანტე **რამი** ცხვირში მტენის მარავალჯერად ნემსს, **ესარი** კი ცდილობს, ჩემი ყურადღება გადაიტანოს ვიდეოზე, რომელზეც აღბეჭდილია „კალაშიდან“ ზუსტად სროლის კადრები.

„მე მოხუცი ვარ ამ სისულელეებისთვის“, — ვეუბნები მათ და მივდივარ **ევანთან**, რომელიც მორიგეობას იბარებს. ისლამისტების გამოჩენამდე იგი ამთავრებდა ისტორიის ფაკულტეტს. მისი და ავსტრალიაში გაემგზავრა, იგი კი საბრძოლველად დარჩა. მთელი რაზმი მისი ქორწილის მოლოდინშია, რომელიც ორი კვირის შემდეგ უნდა გაიმართოს. თვითონ წინააღმდეგია, ერაყში შვილები რომ იყოლიოს, შეიძლება — ავსტრალიაში. ამასობაში შემოგვიერთდება **ჯამილი** და „ძმას“ სიყვარულით უცქერს. ეს 26 წლის გეოგრაფი აიძულეს, სახლიდან გაქცეულიყო. ციხეში აღმოჩნდა, აწამეს, ცხოვრობდა საშინელ სიღარიბეში, სანამ რაზმში არ ჩაეწერა. მისი საცოლე ექიმს გაჰყვა, იძულებით, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ. საცოლის სახელი ხელზე აქვს ამოსვირინგებული ჯერ კიდევ.

საუბარი თანდათან ომის თემაზე გადაერთო. ქურთების პეშმერგა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიიწევს, ერაყის არმიის კოლონები კი სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულებით დაიძრა. მოხალისეებს ამ რკალის აღმოსავლეთ ნაწილში ორი პოზიცია აქვთ დაკავებული. ამ ჩანაწერს ვაკეთებ მათგან ერთ-ერთში, რომელიც განლაგებულია ხაზირეს დანგრეულ სკოლაში. კედლები ადგილ-ადგილ ჩამონგრეულია, კლასებში იარაღის საწყობებია. მოხალისეებს სურთ, რომ ოდესმე ბავშვებს დაუბრუნონ სკოლის შენობა. მაგრამ რომელ ბავშვებს? მთელი სოფელი ნანგრევებად არის ქცეული, რომლის „შემოქმედიც“ ამერიკული ავიაციაა.

ჟურნალისტები მიზიარებენ თავიანთ ვარაუდებს შეტევის დაწყების თარიღისა და გეოპოლიტიკური ამოცანების შესახებ, რომლებიც შემდეგ დადგება დღის წესრიგში. ოპერაცია გარდაუვალია. გამორიცხული არ არის, რომ ეს სტრიქონები მზის სინათლეს იხილავს მას შემდეგ, რაც ქალაქს გაათავისუფლებენ, მაგრამ მთავარი ეს არ არის. კამუფლაჟური ქუდის ქვეშ უსამას სახის მოხაზულობა ჩემთვის ბევრად უფრო ფასეული გახდა, ვიდრე ერდოღანის, ბარზანისა და ალ-აბადის რუკაზე კალმის ერთი მოსმით გაკეთებული ხელმოწერები.

ამ ბიჭებისთვის ყველაფერი სხვაგვარადაა. ამ რუკაზე ერაყში მათი სიცოცხლე თამაშდება.

ბაჰრიდა უდიდესი ქრისტიანული ქალაქია ნინევიაში. ამიტომაა, რომ მოხალისეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, მისი გათავისუფლებისთვის თავგანწირვით იბრძოლონ. მნიშვნელობა არ აქვს, გავლილი სოფლები და ქალაქები მთვარის კრატერებს რომ ჰგავს, გათავისუფლებული ბაჰრიდა პრაქტიკულად დაუსახლებელი რომ აღმოჩნდება: ქრისტიანები იქიდან დედაწულიანად გაასახლეს. გენერალ ბენხამ აბაშსა და ევანს თავიანთი სახლის ნახვის იმედი აქვთ, უსამას — ეკლესიის, ჯამელს — ბიბლიოთეკის. კაპიტან ნაშატ ფათჰელს, რომელიც წარმოშობით მოსულიდან არის, აქ თავისი სახლი ჰქონდა... იგი უხმოდ გასცქერის აპოკალიფსურ პეიზაჟს, რომელსაც ლტოლვილები შინ დაბრუნებისას იხილავენ.

**ბენუა კანაბიუსი**

# მაიკლ მაზარი: აშშ-ის, როგორც მსოფლიოს ლიდერის, მზე თანდათან ჩაესვენება



**ამ დასკვნას გვთავაზობს ამერიკის მსხვილი სტრატეგიული კვლევითი ცენტრის დირექტორი და მთავარი პოლიტოლოგი მაიკლ მაზარი თავის მოხსენებაში, რომელიც ცენტრის საიტზე გამოქვეყნდა სათაურით „მსოფლიომ გადააბიჯა ვაშინგტონის ძველ სტრატეგიას“.**

ნაცვლად იმისა, რომ აშშ-ის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ ეძებოს ბალანსი საგარეო უშიშროებასა და დემოკრატიულ ფასეულობათა შორის ხალხთან მოთათბირების გზით, იგი ზედმეტ ყურადღებას უთმობს სამხედრო კამპანიას, რუსეთისა და ჩინეთის მიმართ შურს, იმ ძირითად პრობლემებს, რომლებმაც, მაიკლ მაზარის აზრით, შეარყია აშშ-ის ავტორიტეტი.

„აშშ ისწრაფვის, კვლავაც დარჩეს მსოფლიო მოწყობის ლიდერად და ამ მიზნის მისაღწევად მზად არის, გაწიროს ადამიანები“, — ნათქვამია მოხსენებაში.

ავტორი მიიჩნევს, რომ აშშ მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვნად გამპირობებელ სახელმწიფოდ იქცა, მყარ დიქტატორად მეგობარი სახელმწიფოების მიმართაც კი ამერიკაში აგორებული რადიკალური პოპულიზმის ტალღის წყალობით.

**„შეერთებული შტატები ცდილობდა, დაემორჩილებინა ჩინეთი, რუსეთი, უნგრეთი, თურქეთი, ინდოეთი, ბრაზილია, მექსიკა, იაპონია და ფილიპინები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ აშშ-ის მსოფლიო ჰეგემონობას, — ნათქვამია მოხსენებაში, — ამერიკა აიძულებდა მათ, ეღიარებინათ აშშ-ის მნიშვნელობა და ავტორიტეტი, მაგრამ ამგვარმა თავსმოხვეულმა პოლიტიკამ ადამიანების აღშფოთება გამოიწვია მსოფლიოში, მათ შორის თვით შტატებში“.**

მაიკლ მაზარის აზრით, აშშ-ის ახალი ხელისუფლება არცთუ იოლ პრობლემას წააწყდება: საჭირო იქნება ისტორიული გამოცდილებისა და მსოფლიოში არსებული დღევანდელი ვითარების ახლებურად შეფასება უწინდელი ავტორიტეტის დასაბრუნებლად.

„აშშ-ის განსაკუთრებულ როლში სხვების დარწმუნება და ლიბერალური წესრიგის დამყარება საკმარისი არ იქნება“, — ასკვნის ავტორი.

**ვინ იქნება მსოფლიოს ახალი ლიდერი?**

ექსპერტთა ერთ ჯგუფს და მათ შორის მეცნიერებათა კანდიდატ **სერგეი სუდაკოვს** მიაჩნია, რომ ამერიკის ავტორიტეტი გაფერმკრთალდა იმიტომ, რომ „რიგითმა კლასმა“ აშშ-ში დაინახა სახელმწიფო, რომელიც სხვა ქვეყნების „უზურპაციას“ ახდენს.

**„2008 წელს ობამა ამბობდა, რომ ამერიკელები „განსაკუთრებული“ ერია. მაგრამ ვისთვისაა ამერიკა საუკეთესო — მსოფლიოსთვის თუ ხალხისთვის? აშშ ძლიერად ზემოქმედებდა დასავლეთზე, კარნახობდა ვაშინგტონის ნებას. სანაცვლოდ ევროპის ქვეყნები იღებდნენ პროტექტორატს, ფინანსურ მხარდაჭერას, მაგრამ ეს უეფექტო იყო, — მიიჩნევს ექსპერტი, — რიგითი ამერიკელები თავიანთ ქვეყანას სულ უფრო მეტად აღიქვამენ, როგორც უზურპატორ სახელმწიფოს. შტატებში უკუემიგრაცია დაიწყო — აშშ-ის მოსახლეობა მიემგზავრება ახალ ზელანდიაში, კანადაში, ავსტრიაში“.**

რა ძირითადი თვისებით უნდა გამოირჩეოდეს ლიდერი? სუდაკოვი მიიჩნევს, რომ, უწინარეს ყოვლისა, ქვეყანამ, რომელსაც ლიდერობის პრეტენზია აქვს, უნდა გადახედოს პროცედურებს და აღიაროს ღირებულებანი. მაგალითად, მთელი ამერიკული დემოკრატია აგებულია ხელისუფლებათა დაყოფის პროცედურებზე, არჩევნების ორგანიზებაზე და ა.შ., მაგრამ რა იქნა კეთილი ნება, პატიოსნება, წესიერება? ხალხს არ სჭირდება პროცედურები, რომლებიც აგებულია პრინციპზე — „თუ კლინტონს მივცემ ხმას, კარგად ვიცხოვრებ“. ხალხს სჭირდება ღირებულებათა პაკეტები, რომელთაც კანდიდატი ან პრეზიდენტი შესთავაზებს მასებს“.

მომავალ მსოფლიო სახელმწიფოსთვის მთავარია, „ისწავლოს თავისი მისიის განხორციელება“.

დღეისთვის მსოფლიოში სამი ქვეყანა ლიდერობს — რუსეთი, ჩინეთი და აშშ.

სიბრძნე და მზადყოფნა დახმარებისთვის — ასეთი უნდა იყოს ძირითადი თვისებები ქვეყნის, რომელსაც აქვს მსოფლიო ბატონობის პრეტენზია.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს ის ჩოგოვაძეა, რომელმაც მერაბ კოსტავას, როდესაც ის მიტინგს ატარებდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ, ზონდერები გაუგზავნა და პერანგი შემოახია. მერაბ კოსტავა მომიტინგეებმა დაიცვეს, თორემ უარესი მოხდებოდა. ერთ-ერთი ზონდერი თიბისი ბანკის ახლანდელი მფლობელია. ჩოგოვაძე კი იმჟამად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ბრძანდებოდა.**

# მასონურ-ევროამერიკული ტერორი საქართველოში

**თავდაპირველად, ვფიქრობ, აუცილებელია, გავიხსენო ერთი ამბავი საქართველოს უახლესი ისტორიიდან. ეს იმისათვის, რომ, ჩემი მსჯელობიდან გამომდინარე, ჩვენმა „პატივცემულმა ლიბერასტებმა“, როგორც სჩვევიათ ხოლმე, სრულიად უმიზეზოდ და უტიფრად არ დამწამონ რუსეთის დაქვემდებარების ქვეშ ყოფნის ან სულაც მათი მონობის სურვილი.**



1978 წელს, როდესაც თსუ-ს სტუდენტებმა შევიტყვეთ, რომ ჩვენთვის ქართული ენის წართმევას აპირებდნენ, ბიოლოგიური ფაკულტეტის ბოლო კურსზე ვსწავლობდი. შემდეგ გაირკვა, რომ შეცდომაში შევუყვანივართ (დიდი ხნის შემდეგ გაირკვა) და სინამდვილეში კი ხდებოდა შემდეგი: სსრკ-ის ხელისუფლება აპირებდა, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენად, ქართულ ენასთან ერთად, რუსული ენაც გამოეცხადებინა. თურმე საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, საქართველოსა და სომხეთის გარდა, ეს ასეც ყოფილა დიდი ხნის წინათ დაკანონებულ-გამოცხადებული, მაგრამ ამით მშობლიური ენა არც ერთ რესპუბლიკაში არ შეზღუდულა და საქართველოშიც, ისევე როგორც სხვაგან, მშობლიურ ენას საფრთხე არ დამუქრებია. **მოსკოვის ეს შეცდომა კარგად გამოიყენა აშშ-მა და ჩვენ, სტუდენტებს, ეროვნულ გრძნობებზე ადვილად ასაბუნტებელ ფენას, „შემოგვიგდეს“ ტყუილი, რომ ქართულ ენას კრძალავენ საბავშვო ბაღებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სახელმწიფო დაწესებულებებში და ლამის ეკლესიებშიც კი.** ჩვენ კი ცხელ გულზე არ გამოვიკვლიეთ — რა ხდებოდა სინამდვილეში — და ახალგაზრდული გულწრფელობითა და, სამწუხაროდ, ქართველთათვის დამახასიათებელი რადიკალიზმით დასავლეთის მიერ „შემოგდებული“ მზაკვრული ტყუილი დავიჯერეთ. იმხანად გამოუცდელები ვიყავით, **ამერიკის თვალთმაქცურ პოლიტიკაზე წარმოდგენაც არ გვქონდა. ეს ქვეყანა თავისუფლების, სამართლიანობის, თანასწორობის, სიკეთის, ჯენტლმენობისა და ყოველივე დადებითის ციტადელად მიგვაჩნდა. სინამდვილეში ამერიკელები მზაკვრული ტყუილების დოდოსტატები არიან, მათთვის არანაირი ზნეობრივი წინაღობა არ არსებობს, ეს მათ სისხლში აქვთ გამჯდარი და გენებში ასახულ-ჩაბეჭდილი. ამასთანავე, არიან დაუნდობელი მკვლელები. საკმარისია გავიხსენოთ მათ მიერ გაჟლეტილი 20 მილიონი ინდიელი (ამ რიცხვს ასახელებენ სპეციალისტები), ატომური ბომბების ჩამოყრა იაპონიაში, ვიეტნამი, ავღანეთი, ერაყი, ლიბია, სირია, იემენი, ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოწყობილი სახელმწიფო გადატრიელებები, ყოფილი იუგოსლავია და ა.შ. და წინ წარმოგვიდგება სისხლით გაუმაძღარი უსაშინლესი ურჩხული...**

დავიჯერეთ რა დასავლეთის მიერ გავრცელებული ტყუილი, რომ ენას გვართმევენ, თსუ-ს სტუდენტებმა გამოსვლა გადავწყვიტეთ. შეკრება დანიშნული იყო I კორპუსის ბაღში, როგორც მახსოვს, დილის 9-10 საათზე. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ იმხანად ჩვენ სრულიად საქართველომ მიგვატოვა შინ თუ გარეთ: შინ — მშობლებმა თუ დედმამიშვილებმა, ქუჩაში — ნაცნობ-უცნობებმა, ლექტორებმა. და, საერთოდ, ყველგან, სადაც კი გამოვჩნდებოდით, ყველა გვეუბნებოდა, ქუჩაში არ გახვიდეთ, თორემ აუცილებლად გესვრიან და დაგხოცავენ ისევე, როგორც 56-ში დახოცეს უამრავი ადამიანიო. ჩვენ ვფიქრობდით, რომ გადაჯიშებას გვიპირებდნენ და ამას სიკვდილი გვერჩივნა, ამიტომ მაინც გამოვედით.

იმხანად ვერაზე, არაგვის 2-ში, ვცხოვრობდი და იმ დილით მოულოდნელად ქუთაისიდან სტუმრები მეწვივნენ, ამიტომ უნივერსიტეტის ბაღში გასვლა შემაგვიანდა. უცებ ჩემთან მეგობარი შემოვარდა და მითხრა, რომ დემონსტრანტები ბაღიდან უკვე დაიძრნენ. ჩვენ სწრაფად ჩავირბინეთ ფილარმონიასთან, დემონსტრანტებს დავხვდით, წინა რიგში ჩავდექით და იქ ვიდექით ბოლომდე. სხვათა შორის, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ მომენტში სტუდენტებისთვის ტყვიის სროლის ალბათობა დიდი იყო. მახსოვს, რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში წინ დაგვხვდნენ ქალბატონები, შავი ფერის გამჭვირვალე მანდილებით თითქმის სახედაფარულნი, და აცრემლებულ-აღელვებულნი შეგვევედრნენ, — ნუ წახვალთ, შვილებო, 56-ში ჩვენი შვილები და ქმრებიც ასე დახოცესო. მათ ნათქვამზე ჩვენს გოგონებს ცრემლები მოადგათ, მაგრამ ბოდიში მოვუხადეთ და გზა განვაგრძეთ.

ასე რომ, ჩვენს „გენიოს ლიბერასტებს“ ვეტყვი, რომ მე არ გამოვირჩევი არც რუსების, არც ანგლო-საქსების, არც ევრო-ატლანტიკელებისა და, საერთოდ, არავის სიყვარულით, გარდა ქართველებისა და აფხაზებისა. სიყვარული სახელმწიფოებს შორის არ არსებობს, მათ შორის არსებობს მხოლოდ საერთო ინტერესები. ერთა შორის კი შესაძლებელია არსებობდეს გარკვეული სიმპათია და არა სიყვარული.

დღეს საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა, მგონი, მიხვდა, რა დაგვმართეს მასონურმა აშშ-მა და დასავლეთმა. ეროვნულ მთავრობას, რომელსაც მეთაურობდა ეროვნული გმირი **ზვიად გამსახურდია**, სამხედრო გადატრიალება მოუწყვეს. ამაში, შედარებით მცირე დოზით, მაგრამ მონაწილეობდა რუსეთიც, რადგან იმხანად აშშ-ისა და რუსეთის ინტერესები დაემთხვა. სსრკ-ში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე საქართველოში იყო — როგორც სპეციალისტები ამბობენ, საქართველოში ცხოვრების დონე ევროპის მოწინავე ქვეყნებისას თითქმის უტოლდებოდა. ამიტომაც შურდათ რუსებს ჩვენი და შემოგვნატროდნენ. ისე, კარგი დამპყრობელია, არა? — დამპყრობელი დაპყრობილზე ცუდად ცხოვრობდა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ მოსახლეობის ერთ სულზე გათვლით, საქართველოში ყველაზე მეტი ფაბრიკა-ქარხანა მუშაობდა (ეს სტალინმა გააკეთა), აგრეთვე, ჩვენი შეუდარებელი ბუნებრივი პირობებით, განვითარებული სოფლის მეურნეობითა და ტურიზმით. გადავსებული იყო დამსვენებლებით საქართველოს შავიზღვისპირეთი და სამკურნალო კურორტები; და, რა თქმა უნდა, ქართველთა ნიჭიერებითა და მოხერხებულობით. მაგრამ პუტჩის შემდეგ შევარდნაძე-სააკაშვილმა ამერიკის დავალებით ფაბრიკა-ქარხნები დაანგრიეს და ჯართად გაყიდეს. ბელარუსმა კი საწარმოების მოდერნიზება მოახერხა და ახლა ყველა მუშაობს, შედეგად იქ მოსახლეობა გაცილებით კარგად ცხოვრობს, საქართველოში კი სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, განათლება და წიგნიერება გააცამტვერეს და ახლა მართლმადიდებლობას, ჩვენს ტრადიციებს, ადათ-წესებს, წეს-ჩვეულებებს, ზნეობას, ქართულ ოჯახს და, საერთოდ, ყოველივე ქართულს უტევენ და ანადგურებენ. ამჟამად „ოცნება“ ცოტა რბილად, მაგრამ იმავეს აკეთებს, რასაც მისი წინამორბედი ხელისუფლებები. მათ ხომ ერთი ბატონი ჰყავთ?! **გაიხსენეთ, როგორ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა ამერიკის ელჩი ზუგდიდში 2012 წლის არჩევნებისას და როგორ გააჩერა ნაცები, როცა ივანიშვილს გაუჭირდა, რადგან ამერიკელებს საქართველოში ორპარტიული, „ნაც-ქოცური“ პოლიტიკური სისტემის შექმნის უკვე ამოქმედებული გეგმა ეშლებოდათ.**

ამერიკამ ჩვენ მიმართ პოლიტიკა იმიტომ შეარბილა, რომ ძლიერად ძლიერს უნდა დაარტყა, ხოლო, როცა წააქცევ, დააუძლურებ, უკვე შეგიძლია, თავს უფლება მისცე, მუშტს გაუფრთხილდე და დარტყმები შეარბილო, რადგან მომაკვდავისთვის ესეც საკმარისია. თანაც დასამადლებელი გექნება, — ხომ ხედავ, რბილად გირტყამ, მე ხომ კეთილშობილი და ჰუმანური ვარო. როგორც გვამადლიან ჯანმრთელობის ნახევრადრეფორმას, ქუჩაში რომ არ გვხოცვენ, ცოცხებით რომ არ გვაუპატიურებენ, ორგანოებს რომ არ გვაცლიან და არ ყიდიან; ქონებას რომ არ გვართმევენ, თავისუფლად რომ ვლაპარაკობთ, მეუღლესთან ერთად ცოლქმრულ სარეცელზე რომ არ გვიღებენ, რომ არ გვაწამებენ და ა.შ.

ახლა საქართველოს წინააღმდეგ ამერიკელთა კიდევ ერთი, კარგად შენიღბული მზაკვრული ჩანაფიქრის შესახებაც უნდა ითქვას — ეს არის „პატრიოტთა ალიანსი“. **დავით თარხან-მოურავი** ამერიკული უტიფრობით ამბობს, შევარდნაძისდროინდელი საქართველოს ელჩი საფრანგეთში **ჩოგოვაძე** ჩემი მეგობარიაო. **ეს ის ჩოგოვაძეა, რომელმაც მერაბ კოსტავას, როდესაც ის მიტინგს ატარებდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ, ზონდერები გაუგზავნა და პერანგი შემოახია. მერაბ კოსტავა მომიტინგეებმა დაიცვეს, თორემ უარესი მოხდებოდა. ერთ-ერთი ზონდერი თიბისი ბანკის ახლანდელი მფლობელია. ჩოგოვაძე კი იმჟამად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ბრძანდებოდა.** მან დილით, მიტინგის დაწყებამდე, სააქტო დარბაზში შეკრიბა თავისი ზონდერები და ინსტრუქტაჟი ჩაუტარა, როგორ უნდა დაერბიათ მიტინგი და ეცემათ კოსტავა. როგორ შეიძლება, პატრიოტი კაცი ასეთი ადამიანის მეგობარი იყოს? წარმოიდგინეთ, ზვიად გამსახურდიას რომ ეთქვა, ჩოგოვაძე ჩემი მეგობარიაო. ეს ხომ სასაცილოა?! **ამერიკელებმა „ნაციონალურ მოძრაობას“ ეს სახელი იმიტომ დაარქვეს, რომ ქართველთა ნაციონალურ გრძნობებზე ეთამაშათ. ზუსტად იმავე ხრიკს იყენებენ „პატრიოტთა ალიანსის“ შემთხვევაშიც. ესენიც ისეთივე პატრიოტები არიან, როგორიც ნაციონალები.**

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები ხშირად დადიან ბრიუსელსა და ვაშინგტონში, უფრო ხშირად, ვიდრე უსუფაშვილ-ალასანია, ნათელაშვილ-ბურჭულაძე და სხვები. აკი თარხან-მოურავმა დაუფარავად განაცხადა, ჩვენ ამერიკელების დავალებებს სხვებზე უკეთ შევასრულებთო... ამერიკელებს უნდა გავაგებინოთ, სინამდვილეში რა ხდება საქართველოშიო, თურმე ამერიკელებს საქართველოს გადარჩენა სდომებიათ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ახერხებენ,

**«პატრიოტთა ალიანსის» ლიდერები ხშირად დადიან ბრიუსელსა და ვაშინგტონში, უფრო ხშირად, ვიდრე უსუფაშვილ-ალასანია, ნათელაშვილ-ბურჭულაძე და სხვები. აკი თარხან-მოურავმა დაუფარავად განაცხადა, ჩვენ ამერიკელების დავალებებს სხვებზე უკეთ შევასრულებთო... ამერიკელებს უნდა გავაგებინოთ, სინამდვილეში რა ხდება საქართველოშიო, თურმე ამერიკელებს საქართველოს გადარჩენა სდომებიათ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ახერხებენ, აი «პატრიოტთა ალიანსის» დახმარებით კი აუცილებლად შეძლებენ**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საინტერესოა, რისთვის სჭირდება ძია სემს „პატრიოტთა ალიანსისგან“ იმის შეტყობა, სინამდვილეში რა ხდება საქართველოში, ჩვენი ქვეყანა ხომ სავსეა ამერიკელთა აგენტებით?! — ქვა რომ ააგდო, ამერიკის აგენტს დაეცემა თავზე. საქართველოს მთავრობა, პარლამენტი და, საერთოდ, ყველა სახელმწიფო ორგანიზაცია თუ უწყება ხომ სავსეა მათი აგენტებით, ყველა ხომ მათ ბრძანებებს ასრულებს? ანუ ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, ამერიკელების ძალისხმევით ხდება და საინტერესოა, ესენი როგორ აგებინებენ ამერიკელებს მათ მიერვე დაგეგმილი და ქართველების ხელით განხორციელებული საქმეების შესახებ?!**

**იმხანად ჩვენ გამოუცდელები ვიყავით, ამერიკის თვალთმაქცურ პოლიტიკაზე წარმოდგენაც არ გვქონდა. ეს ქვეყანა თავისუფლების, სამართლიანობის, თანასწორობის, სიკეთის, ჯენტლმენობისა და ყოველივე დადებითის ციტადელად მიგვაჩნდა. სინამდვილეში ამერიკელები მზაკვრული ტყუილების დოდოსტატები არიან, მათთვის არანაირი ზნეობრივი წინაღობა არ არსებობს, ეს მათ სისხლში აქვთ გამჯდარი და გენებში ასახულ-ჩაბეჭდილი; ამასთანავე, არიან დაუნდობელი მკვლელები. საკმარისია, გავიხსენოთ მათ მიერ გაჟლეტილი 20 მილიონი ინდიელი (ამ რიცხვს ასახელებენ სპეციალისტები), ატომური ბომბების ჩამოყრა იაპონიაში, ვიეტნამი, ავღანეთი, ერაყი, ლიბია, სირია, იემენი, ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალებები, ყოფილი იუგოსლავია და ა.შ. და წინ წარმოგვიდგება სისხლით გაჟღენთილი საშინელი ურჩხული...**



აი „პატრიოტთა ალიანსის“ დახმარებით კი აუცილებლად შეძლებენ.

საინტერესოა, რისთვის სჭირდება ძია სემს „პატრიოტთა ალიანსისგან“ იმის შეტყობა, სინამდვილეში რა ხდება საქართველოში, ჩვენი ქვეყანა ხომ სავსეა ამერიკელთა აგენტებით? — ქვა რომ ააგდო, ამერიკის აგენტს დაეცემა თავზე. საქართველოს მთავრობა, პარლამენტი და, საერთოდ, ყველა სახელმწიფო ორგანიზაცია თუ უწყება ხომ სავსეა მათი აგენტებით, ყველა ხომ მათ ბრძანებებს ასრულებს?! ანუ ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, ამერიკელების ძალისხმევით ხდება და საინტერესოა, ესენი როგორ აგებინებენ ამერიკელებს მათ მიერვე დაგეგმილი და ქართველების ხელით განხორციელებული საქმეების შესახებ?! უფრო მეტიც, ამერიკელებმა ისიც იციან, მომავალში რა მოხდება საქართველოში, რადგან თვითონ აქვთ დაგეგმილი.

სინამდვილეში კი „პატრიოტთა ალიანსი“ ისევე, როგორც სრულიად ქართველ ლიბერასტთა თემი, ამერიკაში ანგარიშის ჩასაბარებლად და ახალი დავალებების მისაღებად დადის — როგორ მოატყუონ კიდევ ქართველები ისე, რომ იხოცებოდნენ, მაგრამ თავი ბედნიერი ეგონოთ, ეს რა სიხარულითა და ნეტარებით ამოწყვეტას მოგვასწრეს ამ დალოცვილმა ამერიკელებმაო. ამჟამად მართლა ვწყდებით და ვქრებით ქართველები, მაგრამ მთავარია ის, რომ მივილტვით ნატო-ევროკავშირისკენ და ამოწყვეტა რა სახსენებელია?! რაც შეეხება ევროკავშირსა და მასთან ხელმოწერილ ევროინტეგრაციის ხელშეკრულებას, მას მალავენ და არ ასაჯაროებენ, რადგან მასში ჩადებულია კიდევ ერთი ფარული მზაკვრობა ჩვენ წინააღმდეგ, მაგრამ, მიუხედავად დამალვისა, **ცნობილი შეიქნა, რომ ჩვენი სასოფლო სამეურნეო ძირითადი პროდუქტები: ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, კიტრი, პომიდორი, ყურძენი, ღვინო, ციტრუსები და ა.შ. აგრეთვე, სამრეწველო საქონელი, რომელიც კონკურენტუნარიანია, ევროპის ბაზარზე შესვლისას დაიბეგრება და ძვირი ეღირება და ამიტომ ნაკლებად გაიყიდება, თუ, საერთოდ, არ ჩაწვა.** ამიტომ ამ ბაზარს ჩვენთვის თითქმის არ ექნება მნიშვნელობა.

ლაპარაკია შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლაზე, მაგრამ **ბალტიისპირეთის ქვეყნებში ასეთმა უვიზო მიმოსვლამ გამოიწვია ის, რომ ეს ქვეყნები ახალგაზრდებისგან თითქმის დაიცალა და ახლა წარმოვიდგინოთ დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარ, ისედაც დაცლილ და ეკონომიკურად უფრო გაჭირვებულ საქართველოში რა მოხდება.** ამასთანავე, ეს ვიზები იქნება 3-თვიანი ტურისტული ვიზები, ევროპაში მუშაობის უფლება კი არ გვექნება. ასე რომ, ესეც ჩვენ მოსატყუებლად და გასანადგურებლად კეთდება. და საერთოდ, აშკარად იკვეთება სურათი იმისა, რომ ამერიკისა და ევროპისგან, გარდა მოტყუებისა და განადგურებისა, არაფერს უნდა ველოდოთ.

ახლა ვთქვათ რუსეთის შესახებ. როგორც ისტორიკოსები და დემოგრაფები ამბობენ, როდესაც რუსეთი საქართველოში შემოვიდა, იმპერატორს საქართველოში ჩაუტარებია მოსახლეობის აღწერა — აინტერესებდა, რა რაოდენობის ხალხი შეიერთა და რა შემოსავალი ექნებოდა. აღმოჩნდა, რომ **საქართველოში ცხოვრობდა ხუთასი ათასი ადამიანი, მათგან — 400 000 ქართველი. რუსები რომ არ შემოსულიყვნენ და ამით ომიანობა და ქართველთა ჟლეტა არ შეწყვეტილიყო, სულ მალე ქართველები საერთოდ გავქრებოდით ისევე, როგორც სხვა ჩვენზე მრავალრიცხოვანი ერები გაქრნენ. მე-20 საუკუნის ბოლოს კი საქართველოში ცხოვრობდა 4,5 მილიონზე მეტი ქართველი, ე.ი. რუსების შემოსვლის შემდეგ ქართველთა რაოდენობამ, სულ ცოტა, 10-ჯერ მოიმატა.** ამჟამად რუსების შემოსვლა არ არის საჭირო და აუცილებელი, საკმარისია, მათთან ნორმალური ურთიერთობა, საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნისა (აშშ) და ნატოს ჯარების ყოფნის აკრძალვა, თუ მაინცდამაინც რუსებთან სტრატეგიულ პარტნიორობას არ დავთანხმდებით, მაგრამ უფრო **მომგებიანი იქნება რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. ასეთ შემთხვევაში რუსეთის ბაზარი მყისიერად გაიხსნება, უვიზო მიმოსვლაც დაწესდება და ჩვენი პენსიონერები, სსრკ-ის ყოფილი მოქალაქეობის პენსიას (400 ლარი) რუსეთის ბიუჯეტიდან აიღებენ საქართველოში კუთვნილ პენსიასთან ერთად.** ისრაელმა გააფორმა რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება და 2017 წლიდან ისრაელში მცხოვრები სსრკ-ის ყველა ყოფილი მოქალაქე, წარსულში სსრკ-ის მოქალაქეობის გამო, რუსეთის ბიუჯეტიდან მიიღებს პენსიას დაახლოებით 400 ლარის ოდენობით. ასევე მოხდება საქართველოს შემთხვევაშიც, მოსახლეობა შვებას იგრძნობს და დაიწყება განვითარება, ნამდვილი აღმასვლა. რუსეთის ბაზარი ისე ხელსაყრელი და მომგებიანია, რომ იქ შესვლას და დამკვიდრებას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ცდილობს, საქართველოსთვის კი ეს ხსნა იქნება. ხსნა იმიტომ, რომ რუსეთში ჩვენს პროდუქტებს იცნობენ, მოსწონთ და კარგად იყიდება, ხოლო რაოდენობა რაც უნდა გავზარდოთ, რუსეთი ჩვენს პროდუქტებს მაინც ვეშაპივით ჩაყლაპავს. აგრეთვე, გამოვიყენებთ ბელარუსის, უკრაინის, ირანის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის, შუა აზიისა და ა.შ. ბაზრებს და ჩვენს პროდუქტებს გასაღების პრობლემა არ ექნება. სასიცოცხლო მნიშვნელობის გამო, კვლავ ვიმეორებ, თავისუფლად შესაძლებელია რუსეთთან უვიზო მიმოსვლა და რუსეთის ბაზრის გახსნა. ხოლო თუ გავხდებით რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი, ისევე, როგორც ისრაელი (ისრაელი რუსეთის მონობაზე ოცნებობს? სრული სისულელეა იმაზე ლაპარაკი, რომ რუსეთი ჩვენთან ახლოსაა და ზემოქმედების ბერკეტები უფრო ძლიერი ექნება და დამონების საფრთხე მაინც იარსებებს), შესაძლებელი იქნება: **რუსეთის ბაზარზე ჩვენი პროდუქციის დაუბეგრავად შეტანა; აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნება 2-3 წელიწადში, დაცული იქნება ჩვენი სარწმუნოება — მართლმადიდებლობა, ტრადიციები, ადათწესები, ზნეობა, ეროვნული თვითმყოფადობა, ფასეულობები.** რუსებს უყვართ ქართული სიმღერები, ცეკვები, ფოლკლორი, თეატრი, კინემატოგრაფი და, საერთოდ, რუსები ქართული კულტურის მიმართ სიმპათიითა და პატივისცემით არიან განწყობილნი. ამაში დავრწმუნდი რუსეთში მრავალჯერ ყოფნისა და მათზე დაკვირვების შედეგად. რუსეთსა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობების აღდგენა გამოიწვევს ქართული კულტურისა და ხელოვნების გამოცოცხლებასა და განვითარებას, რადგან ქართველ ხელოვანებს რუსეთში ბევრი მაყურებელი ეყოლებათ და კარგი შემოსავალი გაუჩნდებათ. ქართველების სახეზე ღიმილი დაბრუნდება და მომავლის რეალური იმედი გაჩნდება და არა ეფემერულ-მოჩვენებითი. შეწყდება ქართველთა საგანგაშო კლება და დაიწყება ერის გამრავლება. ახლა კი აშშ-ის შიშით თავგამოდებით მივისწრაფვით ევროამერიკულ-ნატოსეული ამოწყვეტისა და გაქრობისკენ. ნუთუ თვითგადარჩენის ინსტიქტი ჩვენში საბოლოოდ ჩაკლეს, ნუთუ ქართველი ველარ გაიღვიძებს?! მაგრამ გაღვიძება გაჭირდება მანამ, სანამ ქართველები არ მივეჩვევით საკუთარი თავის პატივისცემას, საკუთარი ისტორიის პატივისცემას...

აქ მკითხველის ყურადღებას ერთ უცნაურ გარემოებას მივაპყრობ. ჩვენი ისტორიკოსები, ლიტერატორები, ტელევიზია, პრესა, საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლები კახეთის მეფე ერეკლეს, პატარა კახს, ყველგან და ყოველთვის საქართველოს მეფე ერეკლეს, შემოკლებით — მეფე ერეკლეს უწოდებენ. იმერთის მეფე სოლომონ II-ს კი ყოველთვის იმერეთის მეფეს და არავითარ შემთხვევაში — საქართველოს მეფე სოლომონს ან შემოკლებით მეფე სოლომონს, მას ყოველთვის მოიხსენიებენ, როგორც იმერეთის მეფე სოლომონს, ანუ სოლომონის სახელთან აუცილებლად აკავშირებენ იმერეთს, ერეკლეს სახელთან კი კახეთს — არა. ის ან საქართველოს მეფე ერეკლეა ან მეფე ერეკლე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ერეკლე იყო საქართველოს მეფე და არა კახეთის მეფე ერეკლე, სოლომონ II კი მარტოდენ ერთი რეგიონის — იმერეთის მეფე იყო. სოლომონი მართლაც იმერეთის მეფე იყო, მაგრამ ერეკლე საქართველოს მეფე არ ყოფილა, ის კახეთის მეფე გახლდათ. ე.ი. ადგილი აქვს სოლომონის დამცრობას ერეკლესთან შედარებით. ეს არის ისტორიის დამახინჯება.

არადა, სოლომონ II ერეკლეს იმერეთის თავად-აზნაურთა დელეგაცია აახლა და შეუთვალა, გავაერთიანოთ საქართველო, მე არაფერი მინდა, გაერთიანებული საქართველოს მეფედ შენ დაჯექი და ქვეყანა შენ მართეო, ანუ სოლომონ II ერეკლეს საქართველოს უმტკივნეულოდ გაერთიანების გასაღები მიართვა. ეს იყო საქართველოს გაერთიანების ისტორიული შანსი, სადაც სოლომონ II პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული მზესავით ბრწყინავს.; საჭირო იყო მხოლოდ ერეკლეს თანხმობა და... ერეკლემ ჩაიდინა ყოვლად უპატიებელი საქციელი — უარი თქვა! ამ უარმა კი საქართველოს დიდი ხნით დააკარგვინა დამოუკიდებლობა და ბევრი უბედურება და სისხლი მოუტანა. წარმოიდგინეთ გაერთიანებული საქართველო, მეფედ — უბრწყინვალესი მხედართმთავარი პატარა კახი, მისი დამხმარე და, ალბათ, შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი, ასევე უბრწყინვალესი მხედართმთავარი სოლომონ II, რომელმაც ხრესილთან ისე დაამარცხა ოსმალთა არმია, რომ ამბის მიმტანიც კი არ გაუშვა ცოცხალი. ამის შემდეგ ოსმალები ისე დაშინდნენ, რომ, სანამ სოლომონი იმერეთის მეფე იყო, იმერეთის მიწაზე ფეხის დადგმას ველარ ბედავდნენ. ერეკლემ კი საქართველოს გაერთიანებაზე უარი მისი მეუღლის — ხორეშანის გამო თქვა, რომლის გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა, სამწუხაროდ. ხორეშანის უახლოესი ნათესავი ქართლის მეფე იყო და საქართველოს გაერთიანების შემდეგ ქართლის სამეფოს ტახტი გაუქმდებოდა, ხორეშანის ნათესავი კი მეფობას დაკარგავდა. ამის გამო ერეკლემ დაუშვა ღალატის ტოლფასი შეცდომა — უარი თქვა საქართველოს გაერთიანებაზე. ჩვენი ისტორიკოსები კი სოლომონ II დამცრობას ცდილობენ, და, როდესაც საკუთარ ბუმბერაზ პატრიოტს ამცრობ, როგორღა გინდა გადარჩე?! მაგრამ ესეც ხომ ამერიკელთა სტრატეგიაა, პატრიოტიზმი წარმოაჩინონ მეორეხარისხოვან, უმნიშვნელო, თითქმის დასაგმობ თვისებად, ხოლო სამშობლოსთვის ცუდის გამკეთებლები — დადებით, მისაბაძ გმირებად, რათა ბოლომდე ჩაკლან ჩვენში ჯერ კიდევ არსებული პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული.

**ტარიელ სვანიძე**

**P.S. ამა წლის 28 სექტემბერს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ №35-ში გამოქვეყნდა ამონარიდი სააკაშვილისა და მისი თანაგუნდელების საუბრიდან, რომელიც „ვიკილიქსმა“ გაავრცელა. იქ ლაპარაკია რევოლუციურ სცენარზე და გადატრიალების მოწყობაზე. მიშა სააკაშვილი ამბობს: „ჰოდა, დაიწყეთ მერე, დრო აღარ იცდის... ითანამშრომლეთ სხვა პარტიებთან. ინაშვილი, კუკავები, კაციტაძეები, თუნდაც ის ბოჩოლა ალასანია გამოიყენეთ. ბიძინას ხელშია ყველა რესურსი და ძაან გაგვიჭირდება. ყველა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ... მოკლედ, ამ მთავრობის დამხობა რომ გადატრიალების გარეშე ვერ მოხდება, ფაქტია. არჩევნების გზით შანსი ნოლია“.**

**ანუ სააკაშვილი თანაგუნდელებს ავალებდა, ეთანამშრომლათ სხვა პარტიებთან და გამოეყენებინათ ინაშვილი და მისთანანი. სააკაშვილის ნათქვამი ფრაზით კიდევ ერთხელ დამტკიცდა არა ერთი ფაქტითა და არგუმენტით გამყარებული ჩემი თვალსაზრისი პარტია „პატრიოტთა ალიანსზე“.**

ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ანდრეოტი აღნიშნავდა, რომ „გლადიოს“ საიდუმლო ქვედანაყოფები კარგად იყო შეიარაღებული. დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მიერ მიწოდებული იარაღი და აღჭურვილობა ინახებოდა ქვეყანაში გაფანტულ 139 სამალავში: ტყეებში, მინდვრებში, ეკლესიების იატაკქვეშაც კი და სასაფლაოებზე. ანდრეოტი ჩამოთვლის ამ აღჭურვილობას და წერს, რომ სამალავებში ინახებოდა: იარაღი, ტყვია-წამალი, ასაფეთქებელი ნივთიერებები, ხელყუმბარები, დანები და ხანჯლები, 60-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნები, რამდენიმე 57-მილიმეტრიანი ქვემეხი, სნაიპერის თოფები, რადიოგადამცემი მოწყობილობები, ბინოკლები და სხვ.




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-38 (366-367)

დანიელ განსერი

# ნატოს საიდუმლო არმიები

# ოპერაცია «გლადიო» და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში

**საფინალო დასკვნაში ანდრეოტიმ ახსნა, რომ „გლადიოს“ აღიქვამდნენ, როგორც საბჭოთა თავდასხმის მოსაგერიებლად შექმნილ ნატოს წევრი ქვეყნების საიდუმლო ქსელს. ომის შემდეგ იტალიის შეიარაღებული ძალების საინფორმაციო სამსახურმა და აშშ-ის დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ოკუპაციის შემდეგ საქმიანობისა და ორგანიზების აქტივიზაციის შესახებ“. ხელშეკრულებაში მინიშნებულია „სპეციალური საიდუმლო ქვედანაყოფები, რომლებიც რჩება მოკავშირეთა ჯარების წასვლის შემდეგ“.**

ირკვევა, რომ დაზვერვის ცენტრალური სამმართველოსა და იტალიის საიდუმლო სამსახურების თანამშრომლობას აკონტროლებდნენ ნატოს საიდუმლო ორგანოები: „წინააღმდეგობის საიდუმლო ორგანიზაციის შექმნისას იტალიას შესთავაზეს, შეერთებოდა ნატოს საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის კომიტეტს, რომელიც მოქმედებდა ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების შტაბთან. ეს მოხდა 1959 წელს და გაგრძელდა 1964 წელს.

**ანდრეოტი აღნიშნავდა, რომ „გლადიოს“ საიდუმლო ქვედანაყოფები კარგად იყო შეიარაღებული. დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მიერ მიწოდებული იარაღი და აღჭურვილობა ინახებოდა ქვეყანაში გაფანტულ 139 სამალავში: ტყეებში, მინდვრებში, ეკლესიების იატაკქვეშაც კი და სასაფლაოებზე. ანდრეოტი ჩამოთვლის ამ აღჭურვილობას და წერს, რომ სამალავებში ინახებოდა: იარაღი, ტყვია-წამალი, ასაფეთქებელი ნივთიერებები, ხელყუმბარები, დანები და ხანჯლები, 60-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნები, რამდენიმე 57-მილიმეტრიანი ქვემეხი, სნაიპერის თოფები, რადიოგადამცემი მოწყობილობები, ბინოკლები და სხვ.**

იტალიის პრემიერის სენსაციურმა განცხადებამ არა მხოლოდ საზოგადოებრიობისა და ჟურნალისტების პროტესტი გამოიწვია მთავრობისა და დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს კორუფციულობის წინააღმდეგ, არამედ ბიძგი მისცა საიდუმლო სამალავებზე ნადირობის სეზონს.

**პადრე ჯუჩიანო** იხსენებს იმ დღეს, როცა პრესის წარმომადგენლები, რომლებიც „გლადიოს“ სამალავებს ეძებდნენ, მის ეკლესიას მიადგნენ: „ორმა ჟურნალისტმა „გაზეტინოდან“ მკითხა, იყო თუ არა იარაღის საწყობი აქ, ამ ეკლესიაში. აყარეს იატაკი და იპოვეს ორი ყუთი... ერთში აღმოჩნდა ფოსფორის ბომბი, მეორეში — ორი ტყვიამფრქვევი. იარაღი იყო ახალი და კარგად შენახული. ეტყობოდა, რომ არავის არასოდეს გამოუყენებია“.

ანდრეოტიმ, მემარჯვენე რადიკალი ტერორისტი **ვინჩიგერასგან** განსხვავებით, თქვა, რომ იტალიის სამხედრო საიდუმლო სამსახურებს, ისევე, როგორც „გლადიოს“ წევრებს, იტალიის დამაზარალებელ ტერორთან საერთო არაფერი ჰქონდა.

იგი შეეცადა, აეხსნა, რომ „გლადიატორებს“ რაზმებში მიღებამდე გულმოდგინედ ამოწმებდნენ „საიდუმლო სამსახურების კანონის“ მკაცრად გამოყენების გზით, რაც უზრუნველყოფდა მათ „უმწიკვლო თავდადებას ანტიფაშისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის ძირითადი ღირებულებებისადმი“. ხოლო იმ კანდიდატებს, რომლებიც ადმინისტრაციულ ან პოლიტიკურ თანამდებობებს იკავებდნენ, უარს ეუბნებოდნენ. უფრო მეტიც, კანონში მითითებული იყო, რომ „საიდუმლო ქვედანაყოფებში ჩასარიცხ კანდიდატებს არ უნდა ჰქონოდათ სისხლისსამართლებრივი წარსული, არ უნდა მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში და არ უნდა იყვნენ გაერთიანებული რომელიმე ექსტრემისტულ მოძრაობაში“. ამასთანავე, ანდრეოტიმ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საიდუმლო ქსელის წევრები არ შეიძლება დაიკითხონ მოსამართლეების მიერ და რომ მათი სახელები და სხვა დეტალები გასაიდუმლოებულია. **ოპერაცია ხორციელდებოდა ნატოს დირექტივების მიხედვით და ჩართული იყო ალიანსის ღონისძიებების გეგმაში. აღნიშნულის გამო მისი დეტალები უაღრესად ფრთხილად უნდა განხორციელებულიყო.**

ანდრეოტის აღიარებამ გააოგნა იტალია. ბევრს წარმოუდგენლად ეჩვენებოდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ნატოს საიდუმლო არმიების არსებობა იტალიაში თუ მის საზღვრებს მიღმა.

იყო თუ არა ეს სტრუქტურა ლეგალური?

იტალიურმა ყოველდღიურმა გაზეთმა **„ლა სტამპამ“** მკვეთრი კომენტარი გააკეთა: „არავითარი სახელმწიფო მხარდაჭერის, დაფარვისა და დაცვის ღირსი არ არის საიდუმლო სამხედრო სტრუქტურები, რომელთა წევრები შერჩეული არიან იდეოლოგიური მოსაზრებებით, და რომლებიც (სტრუქტურები) დამოკიდებულნი არიან უცხო სახელმწიფოებზე ან თუნდაც მათ ძლიერ გავლენას განიცდიან. ეს არის პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, ამას სხვანაირი ახსნა არ მოეძებნება, გარდა ერთისა: ის არის სახელმწიფოსა და კონსტიტუციის ღალატი“. **იტალიის სენატში კომუნისტების, მწვანეთა პარტიისა და მემარცხენეთა დამოუკიდებელი პარტიის წარმომადგენლებმა ბრალი დასდეს მთავრობას „გლადიოს“ ძალების გამოყენებაში შიდა დაზვერვისა და კონტროლის დროს, ასევე, ტერორის მოწყობაში პოლიტიკური ვითარების**



ბრეშიაში (იტალია) ანტიფაშისტურ დემონსტრაციაზე თავდასხმის ტრაგიკული შედეგი

**მოწესრიგების მიზნით. და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, იტალიის კომუნისტური პარტია მიხვდა, რომ რეალურად არა უცხოეთის არმიები, არამედ თვითონ ისინი (იტალიელი კომუნისტები) იყვნენ „გლადიოს“ ქვედანაყოფების მიზანი ომის შემდგომ პერიოდში.** კომენტატორები ამტკიცებდნენ, რომ ამ საიდუმლოებით მოცული არმიების არსებობა იტალიას მემარჯვენე გადატრიალების საშიშროებას უქმნიდა, რადგან „ეს ზეორგანიზაცია უყურადღებოდ იყო მიტოვებული და მიაჩნდათ მხოლოდ სამხედრო იარაღად, რომელსაც გამოიყენებდნენ „მტრის მიერ ოკუპაციის შემთხვევაში“. ნამდვილ მტრად მიჩნეული ჰყავდათ იტალიის კომუნისტური პარტია...“

**პასუხისმგებლობის ტვირთი მხოლოდ მას რომ არ ეტარებინა, ანგარიშის საბოლოო ვერსიის პრეზენტაციის დღეს ანდრეოტი პირადად მივიდა იტალიის პარლამენტში და თქვა: „ქვეყნის მთავრობის ყველა მეთაურმა იცოდა „გლადიოს“ არსებობა“.** ამ განცხადებამ გრანდიოზული საზოგადოებრივი არეულობა გამოიწვია და სახელი გაუტეხა ყოფილ სოციალისტ პრემიერმინისტრებს: **ბეტინო კრაქსის** (1983-1987); რესპუბლიკელ **ჯოვანი სპანდოლინის** (1981-1982), რომელიც ანდრეოტის მხილების დროს იტალიის სენატის თავმჯდომარე იყო; **არლანდო ფორლანის** (1980-1981), რომელიც 1990 წელს მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მდივანი იყო; **ფრანჩესკო კოსიგას** (1978-1979), რომელიც 1990 წელს იტალიის პრეზიდენტი იყო.

კრაქსიმ განაცხადა, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია საიდუმლო არმიებზე, სანამ არ გაეცნო დოკუმენტს „გლადიოს“ შესახებ, რომელსაც თავად მოაწერა ხელი, როცა პრემიერმინისტრი იყო. სპანდოლინსა და ფორლანისაც ამნეზია დაემართათ, მაგრამ მოგვიანებით მაინც მოუწიათ მცირე შესწორებების შეტანა თავიანთ განცხადებებში. სპანდოლინიმ, რომელსაც, ეტყობა, იტალიის საზოგადოებრიობის გამხიარულება სურდა, თქვა, რომ იყო განსხვავება იმასა, რაც მან, როგორც ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა იცოდა, და იმას შორის, რაც მან იცოდა, როგორც ყოფილმა პრემიერმინისტრმა. და მხოლოდ ფრანჩესკო კოსიგამ, იტალიის პრეზიდენტმა 1985 წლიდან, ამაყად დაადასტურა შეთქმულებაში მონაწილეობა. შოტლანდიაში ოფიციალური ვიზიტისას მან ხაზი გაუსვა, რომ იგი „ამაყი და ბედნიერი იყო“, როცა საიდუმლო არმიის შექმნაში მონაწილეობდა, თავდაცვის მინისტრის მოადგილეობისას 1950-იან წლებში. მან განაცხადა, რომ ყველა „გლადიატორი“ კარგი პატრიოტი იყო. „მე მიმაჩნია, პრივილეგიად და ნდობის აქტად ის, რომ ამირჩიეს ამ დელიკატური ამოცანის შემსრულებლად. ვამაყობ იმით, რომ შევძელით ამ საიდუმლოს შენახვა 45 წლის განმავლობაში“. **იტალიაში დაბრუნებული პრეზიდენტი პოლიტიკური ქარიშხლის ცენტრში აღმოჩნდა. პარტიები მის გადადგომას ან იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას მოითხოვდნენ სახელმწიფო ღალატის გამო.**

მოსამართლე კასონმა გაბედა და კოსიგას მოსთხოვა, სენატის საგამოძიებო კომისიის წინაშე მიეცა ჩვენება, მაგრამ პრეზიდენტმა, რომელიც სიტუაციამ გაალიზიანა, უარი თქვა და დაემუქრა, რომ პარლამენტში დახურავდა „გლადიოს“ საქმეს: „მე გავგზავნი პარლამენტში კანონს, რომლის ძალითაც აწარმოებენ გამოძიებას და, თუ ისინი კვლავ განაგრძობენ (გამოძიებას), გადავხედავ (ამ კანონის) ტექსტს, რათა აბსოლუტურად უარი ეთქვას გასაჯაროებას“. ამ განცხადებას საერთო არაფერი ჰქონდა კონსტიტუციასთან, და კრიტიკოსები დაეჭვდნენ პრეზიდენტის შერაცხადობაში. კოსიგამ პრეზიდენტის თანამდებობა 1992 წლის აპრილში დატოვა, ვადის ამოწურვამდე სამი თვით ადრე.

**1990 წლის 9 ნოემბერს იტალიის სენატის წინაშე გამოსვლისას ანდრეოტიმ კვლავ ხაზი გაუსვა, რომ ნატოსა და აშშ-ის სტრუქტურებმა, აგრეთვე, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა გერმანიის, საბერძნეთის, დანიისა და ბელგიის ჩათვლით, იცოდნენ მათ ტერიტორიებზე საიდუმლო ქვედანაყოფების არსებობა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა ოკუპაციასთან საბრძოლველად იყო შექმნილი.** ამის დამამტკიცებელმა ცნობებმა პრესაში გაჟონა, ხოლო იტალიურმა პოლიტიკურმა ჟურნალმა **„პანორამამ“** გამოაქვეყნა სრული ვერსია დოკუმენტის, რომლებიც ასე იყო დასათაურებული: „თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის ანალოგი — ოპერაცია „გლადიო“, რომელიც ანდრეოტიმ საპარლამენტო კომისიას გადასცა.

**როცა საფრანგეთი შეეცადა, უარეყო საერთაშორისო საიდუმლო ქსელში მონაწილეობა, ანდრეოტიმ განაცხადა, რომ საფრანგეთი მონაწილეობდა საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის ნატოს კომიტეტის ბოლო სხდომაში, რომელიც ბრიუსელში რამდენიმე კვირის წინათ გაიმართა, კერძოდ, 1990 წლის 23-24 ნოემბერს. ამ განცხადების შემდეგ დაბნეულმა ფრანგებმა დაადასტურეს, რომ მონაწილეობდნენ შეთქმულებაში.** საიდუმლო მოქმედების საერთაშორისო მასშტაბის დაფარვა უკვე შეუძლებელი შეიქნა, სამხედრო სკანდალმა ევროპას გადაუარა და მიაღწია აშშ-მდე. **იტალიის საპარლამენტო კომისიამ, რომელიც „გლადიოსა“ და მასობრივი მკვლელობების საქმეს იკვლევდა, 2000 წელს დაადგინა: „მსგავსი მასობრივი მკვლელობები, აფეთქებები, სამხედრო ოპერაციები ორგანიზებული, სტიმულირებული ან მხარდაჭერილი იყო ადამიანების მიერ, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტების მიღმა იმყოფებოდნენ; და, რაც ახლახან გაირკვა, ადამიანების მი-**

▶




**ჯულიო ანდრეოტის აღიარების შემდეგ სკანდალი იტალიის სახელმწიფო საზღვრებს გასცდა. საბერძნეთის ყოფილმა პრემიერმინისტრმა, სოციალისტმა ანდრეას პაპანდრეუმ 30 ოქტომბერს დაუდასტურა ბერძნულ ყოველდღიურ გაზეთ „თა ნეას“, რომ 1984 წელს მანაც აღმოაჩინა ნატოს საიდუმლო სტრუქტურები, რომლებიც ძალიან ჰგავდა იტალიურ „გლადიოს“ და გასცა ბრძანება მათ დასაშლელად.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ერ, რომლებიც აშშ-ის დაზვერვასთან იყვნენ დაკავშირებული“.**

## სკანდალი, რომელმაც დასავლეთი ევროპა გააოგნა

ნდრეოტიმ შორს მიმავალი განცხადება გააკეთა 3 აგვისტოს, ფრიად ამაღელვებელ მომენტში, ერთი დღით ადრე, სანამ ერაყის დიქტატორი **სადამ ჰუსეინი** შეიჭრებოდა ქუვეითში და მოახდენდა მის ოკუპაციას.

პარიზის, ლონდონისა და ვაშინგტონის გაზეთების რედაქტორები და სამხედრო მრჩეველები შეშფოთებულნი იყვნენ იმით, რომ „გლადიოს“ ისტორიას შეეძლო სერიოზულად დაეზარალებინა დასავლეთის დემოკრატიის იმიჯი, მეტიც, დაებრკოლებინა სპარსეთის ყურეში ომისთვის მზადების საქმე.

**2 აგვისტოს ნიუ იორკში აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დიპლომატებმა, რომლებიც „აღელვა ქუვეითში შეჭრამ“, რუსეთისა და ჩინეთის თანხმობით გაეროს უშიშროების საბჭოში მიიღეს რეზოლუცია №660, რომლითაც მიუთითა ერაყს, „დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაეყვანა თავისი ჯარები იმ პოზიციებზე, რომლებზეც 1990 წლის 1 აგვისტომდე იმყოფებოდნენ“.**

დასავლეთისა და მსოფლიოს მედიამ ყურადღება მიაპყრო „სპარსეთის ყურის ისტორიას“ და ყველამ ერთხმად განაცხადა, რომ აშშ-მა, პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშის** მეთაურობით, სხვა ქვეყნებთან ერთად, რომელთა შორის იყო გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, იტალია და ნიდერლანდები, განახორციელა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უდიდესი სამხედრო ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში“.

1991 წლის იანვარ-თებერვალში სადამ ჰუსეინის ჯარები ქუვეითიდან განდევნეს. მოხდა ისე, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ერთსა და იმავე დროს თვალს ადევნებდნენ და აშუქებდნენ ორ უცნაურ ისტორიას: ომს სპარსეთის ყურეში და სკანდალს ევროპაში, რომლის მსგავსიც მანამდე „არასდროს მომხდარა“.

**ჯულიო ანდრეოტის აღიარების შემდეგ სკანდალი იტალიის სახელმწიფო საზღვრებს გასცდა. საბერძნეთის ყოფილმა პრემიერმინისტრმა, სოციალისტმა ანდრეას პაპანდრეუმ 30 ოქტომბერს დაუდასტურა ბერძნულ ყოველდღიურ გაზეთ „თა ნეას“, რომ 1984 წელს მანაც აღმოაჩინა ნატოს საიდუმლო სტრუქტურები, რომლებიც ძალიან ჰგავდა იტალიურ „გლადიოს“ და გასცა ბრძანება მათ დასაშლელად.**

საბერძნეთში გავრცელდა საპარლამენტო გამოძიების დაწყების ხმები ქვეყანაში არსებული საიდუმლო არმიების შესახებ, განსაკუთრებით კი, მათ შესაძლო მონაწილეობაზე 1967 წლის სამხედრო გადატრიალებაში, მაგრამ შემდგომი განვითარება ამ მოწოდებებს არ მოჰყვა იმხანად მოქმედი კონსერვატიული მთავრობის მიერ დაკავებული პოზიციის გამო. თავდაცვის მინისტრმა განმარტა, რომ საბერძნეთის ყოფილი სამხედრო ატაშე ვაშინგტონში, რომელსაც ჰქონდა ნატოში მუშაობის გამოცდილება, განიხილავს ბრალდებას, მანამდე კი „მთავრობას არაფრის უნდა შეეშინდეს“.

საბერძნეთიდან სკანდალმა გადაინაცვლა **გერმანიაში**, სადაც 5 ნოემბერს პარლამენტის მწვანეთა პარტიის დეპუტატმა ოფიციალურად სთხოვა **ჰელმუტ კოლის** მთავრობას კომენტარი იტალიური „გლადიოს“ შესაძლო ქვედანაყოფების არსებობაზე გერმანიაში. **სანამ გერმანიის თავდაცვის მინისტრი ფიქრობდა, როგორ წარემართა საიდუმლო დოკუმენტების გამჟღავნების პროცესი, კერძო სატელევიზიო არხმა RTL-მა გააოგნა გერმანიის საზოგადოებრიობა „გლადიოს“ სენსაციური ანგარიშით, რომლითაც ამტკიცებდა ჰიტლერული ეს-ეს-ის ჯარების კავშირს „გლადიოს“ ქსელთან.** ამასთანავე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბევრ ქვეყანაში აგროვებდნენ მემარჯვენე-რადიკალურ ექსტრემისტებს ანტიკომუნისტურ საიდუმლო ქვედანაყოფებში გასაერთიანებლად.

დაძაბულობა კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა **ჰანს კლეინმა** ცოტა დაბნეულმა და შეცბუნებულმა განმარტა, რომ „გერმანული „გლადიო“ არ იყო საიდუმლო დივერსიული რაზმი და არც „ბოევიკების“ რაზმი“, მაგრამ დეტალებს ვერ გაასაჯაროებდა უმკაცრესი გასაიდუმლოებულობის გამო. კლეინის განცხადებამ დიდად აღაშფოთა სოციალ-დემოკრატები და მწვანეთა პარტიის წარმომადგენლები, რომლებმაც ეს განცხადებები აღიქვეს, როგორც მომავალი არჩევნებისთვის პლატფორმის მომზადების მცდელობა. პარლამენტის წევრმა **ჰერმან შეერმა** დაუმატა, რომ ეს მემარჯვენე-რადიკალური ქსელი შესაძლებელია იყონაირსახეობა კუ-კლუს-კლანის, რომელსაც გამიზნულად უნდა ემოქმედა ქვეყნის მოსახლეობისა და ოპოზიციის წინააღმდეგ და არა საბჭოთა შემოჭრისგან გერმანიის დასაცავად. „ის, რაც მოხდა, სახელმწიფო პროკურორის საქმეა, — განმარტა შეერმა, — იმიტომ, რომ სახელმწიფო და საპარლამენტო კონტროლის გარეშე დარჩენილი საიდუმლო გასამხედროებული ორგანიზაციის არსებობა შეუთავსებელია კონსტიტუცურ კანონმდებლობასთან და, მაშასადამე, აუცილებელია სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

**ვილფრიდ პენერმა**, პარლამენტში სოციალისტების წარმომადგენელმა, თქვა, რომ „აუცილებელია ამ გაუგებრობაში საჯაროდ გარკვევა, ისე, რომ არაფერი დავუმალოთ ჩვენს მოქალაქეებს“.

**ბურკჰარდ ჰირშმაც**, საიდუმლო სამსახურის სამთავრობო კონტროლიორმა და კონტროლის საპარლამენტო კომისიის წევრმა, მხარი დაუჭირა კოლეგებს და ფრიად შეწუხებულმა განაცხადა: „თუ ამდენ ხანს რაღაც ფაქტი გასაიდუმლოებული რჩება, ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება მიკარნახებს, რომ ჩვენი საქმე წასულია“.



აგრარული ბანკის მოსაცდელი დარბაზი ტერაქტის შემდეგ. მილანი, 1969 წ.

მიუხედავად იმისა, რომ აღშფოთება საყოველთაო იყო, გერმანელი სოციალისტების მოთხოვნა სრულფასოვანი გამოძიების ჩატარების თაობაზე გაქრა. ნიშანდობლივია, რომ იმ დროს მთავრობაში მყოფი სოციალისტი მინისტრები გულმოდგინედ მალავდნენ საიდუმლო ცნობებს. საბოლოოდ, მწვანეთა პარტიის პროტესტის მიუხედავად, საქმე დახურულ კარს მიღმა განიხილეს.

**7 ნოემბრის საღამოს ბელგიის თავდაცვის მინისტრი, სოციალისტი გი გოემი განცხადებით მიმართავს საზოგადოებრიობას და აღიარებს, რომ ნატოსთან დაკავშირებული საიდუმლო ქვედანაყოფები ბელგიის ტერიტორიაზეც არსებობდა. თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა გაიხსენა, რომ 1980 წელს შავტანსაცმლიანმა უცნობმა ადამიანებმა რამდენიმე სუპერმარკეტში მასობრივად დახოცეს მოქალაქეები, და განაგრძო: „ამასთანავე, მინდა ვიცოდე, არსებობდა თუ არა რაიმე კავშირი ამ საიდუმლო ქსელსა და თავაწყვეტილ ტერორიზმს შორის, რომელმაც წლების განმავლობაში მოიცვა ჩვენი ქვეყანა.**

ბელგიის შეშფოთებულმა პრემიერმინისტრმა **ვილფრიდ მარტენსმა**, რომელიც ფოტოკამერების წინ იდგა, განაცხადა: „თერთმეტი წელიწადია, პრემიერმინისტრი ვარ, მაგრამ წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ასეთი საიდუმლო ქსელი არსებობდა ჩვენს ქვეყანაში“. ჟურნალისტებმა შენიშნეს, რომ საკუთარ თავში ყოველთვის დარწმუნებულ მთავრობის მეთაურს „დაძაბულობა ეტყობოდა“.

ასეთი განცხადებების შემდეგ ბელგიის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება სპეციალური კომიტეტის შექმნის შესახებ, რომელიც გამოიძიებდა საიდუმლო ქვედანაყოფების საქმიანობას. ქსელის ლიკვიდაციის მომდევნო წელს ამ კომიტეტმა პარლამენტს წარუდგინა 250-გვერდიანი ანგარიში.

**ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ანგარიშში იყო ის, რომ ნატოს საიდუმლო ქვედანაყოფები კვლავ განაგრძობდნენ არსებობას. გაირკვა ასევე, რომ არაუგვიანეს 1990 წლის 23-24 ოქტომბრისა „გლადიოს“ შტაბ-ბინაში, რომელიც საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის ნატოს გაერთიანებულ კომიტეტთან იყო დაკავშირებული, გაიმართა დასავლეთ ევროპაში საიდუმლო ქვედანაყოფების მაკონტროლებელი გენერლების საგანგებო თათბირი.** ბრიუსელში გამართულ ამ თათბირს უძღვებოდა გენერალი **ვან კალსტერი** — ბელგიის სამხედრო დაზვერვის საერთო სამსახურის მეთაური. გენერალი გაცოფებული იყო ჟურნალისტების გაზრდილი ინტერესის გამო, რომლებიც მისგან კონკრეტულ პასუხს მოითხოვდნენ და ყოველთვის კვალში დასდევდნენ, განუწყვეტლივ ურეკავდნენ. თავიდან მან პრესას ტყუილი შეაპარა, როცა 9 ნოემბერს განუცხადა, რომ არ თავმჯდომარეობდა ნატოს კომიტეტის საგანგებო სხდომას და ხაზი გაუსვა, რომ „გლადიო“ მხოლოდ იტალიელების საქმე იყო. მოგვიანებით აღიარა, რომ საიდუმლო ქსელი ბელგიაშიც იყო შექმნილი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „ინფორმაციის შეკრების მიზნით საბჭოთა კავშირის შეჭრის შემთხვევაში“. იგი თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ „არ არსებობდა უშუალო კავშირი ნატოსთან“, და უარს ამბობდა, გაეცა ამის დამამტკიცებელი დამატებითი ინფორმაცია, მაგრამ, ამასთანავე, ხაზს უსვამდა, რომ „ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს“.

**საფრანგეთის მთავრობამ, რომელიც სოციალისტებით იყო დაკომპლექტებული, და პრეზიდენტმა მიტერანმა ყველაფერი გააკეთეს, რათა თავიდან აეცილებინათ გაუგებრობა, რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა მთავრობის ერთ-ერთი მოხელის მიერ 9 ნოემბერს გაკეთებულ განცხადებას, რომ საიდუმლო არმიები, დიდი ხანია, აღარ არსებობს. საფრანგეთის ერთ-ერთი ყოველდღიური გაზეთიც ირწმუნებოდა, რომ „გლადიოს“ ფრანგული ქვედანაყოფები სტალინის სიკვდილისთანავე გაუქმდა (1953 წ.) და, რასაკვირველია, აღარ არსებობდა იმ დროიდან მოყოლებული, რაც დე გოლი 1958 წელს პრეზიდენტად აირჩიეს.**

საფრანგეთის პრესამ მთავრობის მხარე დაიჭირა, თავი აარიდა მწვავე შეკითხვებს, რადგან იმხანად საფრანგეთი სპარსეთის ყურეში საომრად ემზადებოდა. მედია მწირი ინფორმაციით შემოიფარგლა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც „გრგვინავდა ყველა ევროპული ქვეყნის გაზეთების სათაურებში“.

**იტალიის პრემიერმინისტრმა ანდრეოტიმ დაუნდობლად ამხილა საფრანგეთის მთავრობის განცხადება, თითქოს ამ ქვეყანას არავითარი კავშირი არ ჰქონდა „გლადიოსთან“. 1990 წლის 10 ნოემბერს მან ერთგვარი სიამოვნებითაც კი განაცხადა, რომ საფრანგეთის წარმომადგენელიც მონაწილეობდა ნატოს ზემოთ ნახსენები კომიტეტის სპეციალურ სხდომაში (ბელგია, ბრიუსელი, 1990 წლის 23 ოქტომბერი), რომელზეც „გლადიატორებიც“ იყვნენ წარმოდგენილნი.**

საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა **ჟან პიერ შევენმანმა**, ანდრეოტის შეტევის ეფექტი რომ შეემცირებინა, არცთუ დამაჯერებლად მიანიშნა: „საფრანგეთის არმიას ეკავა უმოქმედობის პოზიცია, რომელიც, ვიცი, არასოდეს ყოფილა „თხუნელას“ როლზე მეტი და საინფორმაციო ურთიერთობით შემოიფარგლებოდა“. როცა რადიოს კორესპონდენტმა ჰკითხა თავდაცვის მინისტრს, მოსალოდნელია თუ არა საფრანგეთში ისეთივე მასობრივი გამოსვლები, როგორიც „გლადიოს“ შესახებ გავრცელებულ ცნობებს იტალიასა და ბელგიაში მოჰყვა, მან მშვიდად უპასუხა: „მე ასე არ ვფიქრობ“.

ჟურნალისტებმა შენიშნეს, რომ მთავრობა ძალას არ იშურებდა, რათა არ დაეშვა „გლადიოს“ მონსტრად წარმოდგენა, რომელიც ქვეყანაში მოქმედებდა“.

დიდ ბრიტანეთში თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ყოველდღიურად აცნობებდნენ ცნობისმოყვარე პრესას, რომ, ალბათ, ვერ შეძლებდნენ უშიშროების საკითხების განხილვას: „ეს უშიშროების საკითხებია, რომლებიც არ განიხილება“; „უშიშროების შესახებ საუბარში მონაწილეობას არ მივიღებთ“. მაგრამ ბრიტანეთის პრესა განაგრძობდა „გლადიოს“ შესახებ ხმების გავრცელებას და თავდაცვის მინისტრი **ტომ კინგი** შეეცადა, ყველაფერი ხუმრობის ლიანდაგზე გადაეყვანა: „არ მესმის, კერძოდ რას ეძებთ. ვშიშობ, რომ არაფერი ვიცი ამის შესახებ. უმჯობესია, სპარსეთის ყურის შესახებ გელაპარაკოთ“.

იმ ვითარებაში, როცა ქვეყანა ემზადებოდა ოპერაციისთვის „ქარიშხალი უდაბნოში“ და ომისთვის ერაყში, ბრიტანეთის პარლამენტმა უარი თქვა, დაეწყო საპარლამენტო გამოძიება ან ღია საპარლამენტო განხილვა და მხარი დაუჭირა **ჯონ მეიჯორის** მთავრობას. **ჟურნალისტებმა ეს პოზიცია მწვავედ გააკრიტიკეს. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტი ჰიუ ო'შონესი წერდა: „უაიტჰოლის დუმილი და პარლამენტის წევრების მიერ „გლადიოს“ საქმის სრული იგნორირება, რომელშიც დიდ ბრიტანეთს ცენტრალური ადგილი ეკავა, გამაოგნებელია“.**

**ნიდერლანდების** სამეფოს პრემიერმინისტრმა **რუდ ლიუბერსმა**, რომელმაც ეს თანამდებობა 1982 წელს დაიკავა, 13 ნოემბერს წერილი გაუგზავნა პარლამენტს და დაადასტურა, რომ მის ქვეყანაში არსებობდა „გლადიოს“ საიდუმლო ქვედანაყოფები. ამასთანავე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ჩვენს ორგანიზაციას არ ხელმძღვანელობდა ნატო“. ამის შემდეგ მან და ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა **რელუს ტერ ბიკმა** დახურულ კარს მიღმა პარლამენტის დაზვერვისა და უშიშროების კომიტეტს მიაწოდეს ინფორმაცია ყველაზე უფრო კონფიდენციური საქმეების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო „გლადიოს“ ქვედანაყოფების ნიდერლანდებში მოქმედებასთან. „ყოველი მომდევნო პრემიერმინისტრი და თავდაცვის მინისტრი ამის თაობაზე არაფერს ეუბნებოდნენ თავიანთი კაბინეტების წევრებს ან პარლამენტს. ასე იყო ყოველთვის“, — განუცხადა პარლამენტს ლიუბერსმა და დასძინა, ვაამაყობ, რომ 30 წელიწადის განმავლობაში არ გავეცი საიდუმლოო.

გადაწყდა, არ ჩაეტარებინათ საპარლამენტო გამოძიება აღნიშნული საიდუმლო ქსელის საქმეზე.

**გაგრძელება იქნება**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჩვეულებრივ, ბეტონს ამზადებენ წყლის, ცემენტის, ქვიშისა და დატეხილი ქვისგან. მასალა, რომელიც სინგაპურელმა მეცნიერებმა შექმნეს, შეიცავს კიდევ ერთ კომპონენტს — პოლიმერულ მიკროქსოვილს. მიუხედავად იმისა, რომ ის ადამიანის თმაზე წვრილია, ბეტონში დამატებისას მას სიმტკიცეს მატებს. როგორც ამ მასალის შემქმნელები ირწმუნებიან, „ის ისეთივე დრეკადია, როგორც ლითონი, და ჩვეულებრივ ბეტონთან შედარებით, სულ ცოტა, ორჯერ მეტ დატვირთვას გაუძლებს“.



# იაპონელმა რობოტმა «ოფლიანობა» დაიწყო

**რობოტები, რომლებიც ადამიანზე არანაკლებს მუშაობენ, ასრულებენ ყველაზე რთულ და ბინძურ სამუშაოს, გადახურდებიან ხოლმე და ეს არის სერიოზული პრობლემა, რადგან გაგრილების საქმე მანქანებთან გაცილებით რთულადაა, ვიდრე ადამიანების შემთხვევაში.**

გადახურებული რობოტი ნელა მუშაობს. და თუ არ გავაგრილებთ, შეიძლება გაფუჭდეს კიდეც. ჩვენი რკინის მეგობრები მწყობრიდან რომ არ გამოვიდნენ, მათ, უბრალოდ, გამორთავენ, რათა „დაისვენონ“. მუშაობენ რა გადახურების პრობლემაზე, ინჟინრები ცდილობენ რობოტებში გაგრილების სისტემის ჩანერგვას.

სპეციალისტებმა მრავალი საშუალება შეიმუშავეს, რომლებიც „დაღლილ“ რობოტებს გააგრილებს, მაგალითად, ვენტილატორი და რადიატორი. მაგრამ ისინი საკმაოდ ზრდის ჭკვიანი მანქანის წონას და მათ უფრო მოუქნელს ხდის. მაშ, რა ვქნათ?

ტოკიოელი ინჟინრები შეეცადნენ, გადახურების პრობლემა მოეგვარებინათ თავიანთი ახალი ქმნილებისთვის — რობოტ „კენგურუსთვის“, რომელიც 56 კგ-ს იწონის, ხოლო სიმაღლე 1, 70 სმ-ია. აღმოჩნდა, რომ ამ მანქანის გაგრილების სისტემით უზრუნველყოფა არც ისე იოლია, რამეთუ მასში 108 ძრავია.

და სადღა უნდა ჩაიდგას აქ ვენტილატორი და რადიატორი?

პრობლემა ვერც წყალმა გადაჭრა, რომელიც რობოტის კორპუსში მიედინება. კორპუსის ნაცვლად, გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ რობოტის ალუმინისგან დამზადებული ფოროვანი კარკასი. წყალი თავისუფლად მიედინება მის ფორებში, ორთქლდება და აგრილებს მოწყობილობის მექანიზმებს. მთავარია, არ დაგვავიწყდეს „გაოფლიანებული“ რობოტის ხელახლა წყლით დატუმბვა.




# მომავლის ბეტონი სინგაპურელი მეცნიერებისგან

**ბეტონი ერთ-ერთ გავრცელებულ სამშენებლო მასალად ითვლება, თუმცა მას საკმაოდ არასასიამოვნო ნაკლიც აქვს — დროთა განმავლობაში ისე გამოშრება, რომ იბზარება და ძლიერი ზემოქმედების შედეგად შეიძლება ჩამოინგრეს.**



სინგაპურელმა მეცნიერებმა მოიფიქრეს, როგორ გახადონ მტკიცე ეს მასალა ისე, მტვრევადის ნაცვლად დრეკადი რომ გახდეს.

ჩვეულებრივ, ბეტონს ამზადებენ წყლის, ცემენტის, ქვიშისა და დატეხილი ქვისგან. მასალა, რომელიც სინგაპურელმა მეცნიერებმა შექმნეს, შეიცავს კიდევ ერთ კომპონენტს — **პოლიმერულ მიკროქსოვილს.** მიუხედავად იმისა, რომ ის ადამიანის თმაზე წვრილია, ბეტონში დამატებისას მას სიმტკიცეს მატებს.

როგორც ამ მასალის შემქმნელები ირწმუნებიან, **„ის ისეთივე დრეკადია, როგორც ლითონი, და ჩვეულებრივ ბეტონთან შედარებით, სულ ცოტა, ორჯერ მეტ დატვირთვას გაუძლებს“.**

ეს მასალა მეცნიერებმა ჯერ მხოლოდ ლაბორატორიაში გამოსცადეს. სამომავლოდ კი ახალი მასალით დამზადებული პლიტებით ობიექტების მშენებლობას გეგმავენ. მისი გამოყენება გათვალისწინებულია ტროტუარებსა და საავტომობილო გზებზე სამი წლის განმავლობაში.

# ჩინელი კოსმონავტები კოსმოსში არიან

**ცზიუზიუანის კოსმოდრომის ცენტრი 17 ოქტომბერს იტყობინებოდა, რომ კოსმოსური ხომალდი ორბიტაზე გავიდა. მზის ბატარეები გაშლილია და ბორტზე ყველა მოწყობილობა მუშაობს.**

„შენჩჟოუ-11“-მა („წმინდა ნავი-11“) სტარტი მოსკოვის დროით 02:30 საათზე აიღო. კოსმოსური ხომალდის ბორტზე ორნი არიან — 50 წლის ცზინ ჰაიპენი და 37 წლის ჩენ დუნი.

მკვლევარები ბორტის ლაბორატორიაში 30 დღის განმავლობაში იმუშავებენ. მისიის მთავარი მიზანია სხვადასხვა სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარება კოსმოსში. დაკვირვება ხდება თვით კოსმონავტებზე იმის დასადგენად, თუ როგორ მოქმედებს მათ გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე კოსმოსური სივრცის უწონადობა.



კოსმონავტების დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ ლაბორატორია მუშაობას გააგრძელებს ავტონომიურ რეჟიმში.

სადგური „ტიანგუნ-2“ წარმოადგენს ჩინეთის დიდი კოსმოსური პროგრამის მეორე ეტაპს. 2022 წლისთვის იგეგმება „ტიანგუნ-2“-თან კიდევ რამდენიმე მოდულის შეპირაპირება, მის ბაზაზე სრულფასოვანი კოსმოსური სადგურის — „ტიანგუნ-3“-ის შექმნით.

ჩინეთის საინფორმაციო სადგური „სინხუა“ იტყობინება, რომ ცზინ ჰაიპენი და ჩენ დუნი გამომცემლობის სპეციალური კორესპონდენტები გახდებიან კოსმოსში. ამჟამად შესაძლებელია, მათ დაუსვან შეკითხვები სოციალურ ქსელ „კონტაქტში“.

# ახალი ჩინური სუპერკომპიუტერი წამში კვინტილიონ ოპერაციას შეასრულებს

**ამ ზაფხულს ჩინელმა სპეციალისტებმა შექმნეს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სუპერკომპიუტერი Sanway TaihuLight, რომლის წარმადობა 93 პეტაფლოპსს შეადგენს. მანქანას შეუძლია შეასრულოს 93 კვადრილიონი გამოთვლა წამში.**



მაგრამ ჩინეთი მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს. ამიტომ სუპერკომპიუტერული გამოთვლების ჩინეთის სახელმწიფო ცენტრი მეცნიერებისა და ტექნიკის ეროვნულ უნივერსიტეტთან ერთად შეუდგა ახალი თაობის სუპერკომპიუტერის პროტოტიპის შექმნას. ცენტრის პრესსამსახური იტყობინება, რომ **მომავალი კომპიუტერი წამში კვინტილიონ ოპერაციას შეასრულებს.**

„სუპერძლიერი გამოთვლითი მანქანა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაციის წინსვლასა და ცალკეული დარგების განვითარებაში. აქამდე სუპერკომპიუტერის ახალი თაობის შექმნაზე მუშაობა დაიწყეს აშშ-მა, იაპონიამ და ევროპის ქვეყნებმა. ჩვენი მიზანია, 2020 წლისთვის შევქმნათ კომპიუტერი, რომელიც შეძლებს წამში კვინტილიონი ოპერაციის შესრულებას“, — განუცხადა მეცნიერებისა და ტექნიკის ეროვნული უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ახალი ამბების სააგენტო „სინხუას“. პირველი სუპერკომპიუტერი ჩინეთში 6 წლის წინათ გამოჩნდა, რომელიც კვადრილიონ გამოთვლას ახდენს წამში, ამჟამადაც მუშაობს და ყოველდღიურად 1400-მდე დავალებას ახორციელებს. მისი მომსახურებით მუდმივად სარგებლობს ათასზე მეტი მომხმარებელი.

**ახალ სინთეტიკურ საშუალებას უწოდეს ALKOSYNTH. სპეციალისტთა აზრით, მისი დამატება აუცილებელია ალკოჰოლურ სასმელებში. ამასთანავე, ALKOSYNTH სპირტიან სასმელს არ უცვლის გემოსა და ხარისხს. უფრო მეტიც, „სინთეტიკური ალკოჰოლი“ არ ვნებს გულსა და თირკმლებს, პირიქით — დაიცავს ადამიანს ამ ორგანოების მძიმე დაავადებისგან.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როდის შეძლებენ ადამიანები ტკივილის გარეშე 100 წელიწადს ცხოვრებას?

**პარადიგმების ცვლა რთული, დამღლელი, ზოგჯერ შეუძლებელი პროცესია და, თუკი ავარჩევთ სფეროს, რომელშიც აუცილებელია პარადიგმების ცვლა, ეს უდავოდ უნდა იყოს ჯანდაცვა. და რა არის პარადიგმა?**

იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობა (უპირატესად — საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში); აყალიბებს კონსენსუსურ ჩარჩოს ან მოდელს, რომლის შიგნითაც მეცნიერები ოპერირებენ. პარადიგმის საფუძველზე განისაზღვრება არსებული ცოდნის მოცულობა, საკვლევი პრობლემის ბუნება, კვლევის შესაფერისი მეთოდების არჩევა, შედეგების ანალიზისა და ინტერპრეტაციის გზები.

**საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის შეფასებით, გლობალური ჯანდაცვის ხარჯები წლიურად 6,5 ტრილიონ დოლარზე მეტია** და ეს რიცხვი გამუდმებით იზრდება, თუკი მეცნიერები ახალ ტექნოლოგიებსა და მექანიზმებს არ შექმნიან პროფილაქტიკისა და პრევენციის თვალსაზრისით.

**დოქტორი ლეროი ედვარდ ჰუდი ერთ-ერთი დამაარსებელია სისტემური ბიოლოგიის ინსტიტუტისა. ის, ისევე როგორც ბევრი სხვა ჩვენს დროში, თვლის, რომ ინტეგრირებული, პერსონალიზირებული მედიცინა მნიშვნელოვნად გარდაქმნის ჯანდაცვის სისტემას.** ათწლეულების განმავლობაში დოქტორი ჰუდი მხარს უჭერდა სისტემურ მედიცინას, ჯანმრთელობისადმი კომპლექსურ მიდგომას, რომელიც ამავე დროს ითვალისწინებს ბიოქიმიურ, ფიზიოლოგიურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. კომპლექსური მიდგომა ავადმყოფობაზე დეტალურად თვალყურის დევნების საშუალებას იძლევა მისი დაწყებიდან დამთავრებამდე.



მაგრამ უპრეცედენტო შედეგის მიღება არც ისე ადვილია. აუცილებელია არა მხოლოდ ჯანმრთელობის მონაცემების ნაკადის ერთმანეთთან დაკავშირება, არამედ ახალი დისციპლინათაშორისი ტექნოლოგიების გამოგონება, რომლებიც ამ მონაცემთა სწრაფად მიღების საშუალებას იძლევა. სწორედ ასეთი მიდგომა აირჩია დოქტორმა ჰუდმა 30 წლის წინათ, როცა დნმ-ის ავტომატური სეკვენსორი შეიმუშავა.

„ჩვენ მარტივად უნდა შეგვეხამებინა ერთმანეთთან ინჟინერია, ქიმია, ინფორმატიკა და მოლეკულური ბიოლოგია, — ამბობს ის. — როცა ჩვენ ამას მივაღწიეთ, 2 თვის შემდეგ გაგვიჩნდა ძირითადი სტრატეგია, რომელიც მოგვიანებით ამუშავდა დნმ-ის ავტომატურ სეკვენირებაში“. მსგავსი მიდგომით წარმატებას მიაღწია „ადამიანის გენომის პროექტმა“.

დღეს პროგრესი გრძელდება.

ამ გაკვეთილების გამოყენებით **დოქტორმა ჰუდმა განავრცო სისტემური ბიოლოგიის იდეა მედიცინამდე. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ჯანმრთელობა დამოკიდებულია 30%-ით გენეტიკაზე, 60%-ით — ცხოვრების წესსა და გარემო პირობებზე, ხოლო 10%-ით — ჯანდაცვაზე.** ჯანმრთელობის ღრმა გაგება აუცილებელია იმის გასაცნობიერებლად, თუ როგორ ანგრევს ავადმყოფობა ბიოლოგიურ ქსელს ჩვენს სხეულში.

როგორი იქნება ეს პრაქტიკულად?

ეს იქნება გაცილებით გრძელი და უტკივარი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ცხოვრება. **თუკი დაავადების ალაგმვა მის საწყის სტადიაზე მოხდება, ცხოვრება აბსოლუტურად სხვაგვარად წარიმართება.**

„ჩემი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ, თუკი მთელი ცხოვრების განმავლობაში მონაწილეობთ მეცნიერების გამდიდრებაში — განახორციელებთ, რისი განხორციელებაც შესაძლებელია — თქვენ შეძლებთ გამოჯანმრთელებას“.

ახალი მიდგომის განვითარების მიზნით დოქტორმა **ჰუდმა** შეიმუშავა მედიცინა P4 (გააკეთე პროგნოზი, გააფრთხილე, მოახდინე პერსონალიზება და მიიღე მონაწილეობა), რომელიც შეძლებს, გათვალოს მეცნიერული გამოჯანმრთელება და გამოავლინოს დაავადება. მაშინ, როდესაც თანამედროვე ჯანდაცვა აქცენტს დაავადებებზე აკეთებს, განვითარების გზაზე ჩნდება ახალი დარგი, რომელიც ჯანმრთელობის განმაპირობებელ ძირითად მაჩვენებლებს განსაზღვრავს.

წარმოიდგინეთ, რომ ყველა მონაცემი (გენეტიკური მიდრეკილება კიბოსადმი, ინფორმაცია კვებაზე, ძილის ხანგრძლივობა და ფიზიკური დატვირთვის მოცულობა), რომლებსაც კი შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს თქვენს ჯანმრთელობაზე, ჩაიტვირთება მონაცემთა ბაზაში. დღეს ასეთი ბაზის არსებობა ფუფუნებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ თანდათან, დროთა განმავლობაში აშკარა კანონზომიერებად გადაიქცევა.

მონაცემთა რეგულარული შეგროვება გვიჩვენებს, ეს ბიოლოგიური სისტემები თუ როგორ ირღვევა დაავადებებით, ეს დაავადებები კი — როგორ პროგრესირდება. ეს კი მიგვიყვანს მომავლის პროფილაქტიკურ მედიცინამდე, რომლის შედეგად ჩვენს კარგ ჯანმრთელობას ავადმყოფობა კი არ შეცვლის, არამედ — ბრწყინვალე ჯანმრთელობა.



# ასუქებს თუ არა შოკოლადი

**ბევრ ადამიანს ჰგონია, რომ შოკოლადი ასუქებს, რადგან ის ძალიან კალორიულია და მასზე უარის თქმით წონის პრობლემას მოიგვარებენ.**

სინამდვილეში არც მთლად ასეა საქმე. შოკოლადზე უარის თქმა არ ღირს, მაგრამ სჯობს, უპირატესობა მიანიჭოთ შავ შოკოლადს. კაკაოსა და რძის შემცველობის მიხედვით შოკოლადი რძისფერი, ყავისფერი, თეთრი ან შავია. მთავარია, ის შეიცავდეს კაკაოს არანაკლებ 75%-ს და ერთ ჯერზე ნუ შეჭამთ 50 გრამზე მეტს.



შოკოლადის წარმოებისთვის აუცილებელი ნედლეული — კაკაოს მარცვლები კაკაოს ხის ნაყოფია, ეს ხე კი დედამიწის ტროპიკულ რაიონებში იზრდება.

სიტყვა „შოკოლადი“ კაკაოს მარცვლებისგან დამზადებული სასმელის — „ჩოკოლატლის“ დასახელებიდან მომდინარეობს. აცტეკების ენაზე „ჩოკოლი“ სიმწარეს ნიშნავს, ხოლო „ატლი“ — წყალს, რომლისგანაც შოკოლადის სასმელი მზადდება.

# 30-40 წლის შემდეგ კაცობრიობას «სინთეტიკური ალკოჰოლი» ექნება

**ამერიკელმა მეცნიერებმა მიიღეს ნივთიერება, რომელიც მომავალში ალკოჰოლს შეცვლის და აარიდებს ადამიანებს ალკოჰოლის მიღებით გამოწვეულ მძიმე შედეგებს, როგორიცაა ალკოჰოლზე დამოკიდებულება და ნაბახუსევის სინდრომი.**



ახალ სინთეტიკურ საშუალებას უწოდეს alkosynth. სპეციალისტთა აზრით, მისი დამატება აუცილებელია ალკოჰოლურ სასმელებში. ამასთანავე, alkosynth სპირტიან სასმელს არ უცვლის გემოსა და ხარისხს. უფრო მეტიც, „სინთეტიკური ალკოჰოლი“ არ ვნებს გულსა და თირკმლებს, პირიქით — დაიცავს ადამიანს ამ ორგანოების მძიმე დაავადებისგან.

ბევრი მეცნიერი და მედიკოსი იწონებს მსგავსი ნივთიერების შექმნას და ამბობს, რომ ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს მოკვდავობისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირებას მსოფლიოში. **ჯანდაცვის მსოფლიო ასოციაციის მონაცემებით, ალკოჰოლის მიღების გამო ყოველწლიურად დაახლოებით 20 მილიონი ადამიანი მძიმედ ავადდება, უფრო მეტი კი კვდება.**

ამერიკელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ „სინთეტიკური ალკოჰოლი“ ბაზარზე 2050 წლისთვის გამოჩნდება.

ამ დროს კი **ჩრდილოეთი კორეა ამტკიცებს, რომ შექმნა ალკოჰოლი, რომელიც ნაბახუსევს არ იწვევს. ამის თაობაზე გაზეტი THE PYONGYANG TIMES წერს: „ჩრდილოეთ კორეაში შეიქმნა ალკოჰოლი, რომელსაც საერთოდ არ აქვს ისეთი თანამდევი მოვლენა, როგორიცაა აბსტინენტური სინდრომი, ანუ, როგორც მას ხალხი უწოდებს, ნაბახუსევი .**



ეს ალკოჰოლია **ლიქიორი „კორიო“.** ეს სახელი მას კორეის ნახევარკუნძულზე არსებული ადრეფეოდალური სახელმწიფოს პატივსაცემად უწოდეს. სასმელი მზადდება ჟენშენისა და წებოვანი ბრინჯისგან, რომელსაც ხშირად იყენებენ აზიაში ტკბილი კერძების მოსამზადებლად. საგაზეთო სტატია ამტკიცებს, რომ ამ სასმელს ძალიან პიკანტური გემო აქვს და მისი დიდი რაოდენობით მიღებაც კი არ იწვევს „ნაბახუსევს“. სწორედ ამისთვის შარშან, დეკემბერში ლიქიორმა დაიმსახურა „ხარისხის მედალი“. L„კორიოს“ ორი ვარიანტი არსებობს — 30 და 40 გრადუსიანი.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ჩრდილოეთ კორეა ჟენშენს ლამის მაგიურ თვისებებს მიაწერს. ადრე ჩრდილოეთკორეული ერთ-ერთი გამოცემა იუწყებოდა, რომ ეს მცენარე მნიშვნელოვანი შემადგენელია შრატისა Kumdang-2, რომელსაც შეუძლია დაამარცხოს კორონავირუსი, მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი და შიდსიც კი.

ალკოჰოლის შემთხვევაში საგაზეთო სტატია, შესაძლოა, სიმართლეს შეიცავდეს, რადგან ჟენშენი ნამდვილად ამსუბუქებს **აბსტინენტურ** სინდრომს, რაც სერიოზული სამეცნიერო კვლევებითაც დადასტურდა.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტეხასის უნივერსიტეტის მეცნიერები პროტონულ თერაპიას აღწერენ, როგორც სუბმილიმეტრული სიზუსტის მქონე კიბოსმკვლელ 196-ტონიან მანქანას, რომელიც უტევს პაციენტის სიმსივნეს, „ამასთანავე, უფრთხილდება მეზობელ ჯანმრთელ ქსოვილებს და უკიდურესად ამცირებს გვერდით ეფექტებს“ და განსხვავდება სხივური თერაპიის სხვა მეთოდებისგან იმით, რომ სიმსივნის გარშემო არსებული ქსოვილი პრაქტიკულად არ ზიანდება რადიაციის ზემოქმედებით. მეტიც, ზემოქმედების სიზუსტე საკმაოდ მაღალია, ცდომილება კი — მხოლოდ ნახევარი მილიმეტრი.**



# სენსაციური აღმოჩენა

**ახლახან ავსტრიის ქალაქ ჰემაბერგის შუასაუკუნეების სასაფლაოზე არქეოლოგებმა ცალფეხა მამაკაცის ჩონჩხის ნაწილები იპოვეს.**

როგორც გაირკვა, ის VI საუკუნეში ცხოვრობდა. საფლავში ნაპოვნია მოკლე ხმალი, ძვირფასი გულსაბნევი, აგრეთვე, ფეხის პროთეზი. **აღმოჩენა მართლაც უნიკალურია. ადრე მეცნიერებს არასოდეს უპოვიათ ევროპის ტერიტორიაზე მსგავსი ნივთი — პროთეზი, რომელიც იმ დროს ხისგან მზადდებოდა;** ხე, როგორც ცნობილია, ლპება, მაგრამ VI საუკუნის ხის პროთეზი არ დამპალა.

მეცნიერებმა ბევრი რამ გაარკვიეს ამ ცალფეხა მხედრის შესახებ. მას შემდეგ, რაც მისი ჩონჩხი გამოიკვლიეს, მივიდნენ დასკვნამდე, რომ მამაკაცს ფეხი მუხლამდე მოკვეთეს და სიცოცხლის ბოლომდე მეომარი პროთეზს იყენებდა. ეს იყო ხის ფეხი, რომელსაც ლითონის ბოლო ჰქონდა. პროტეზი მაგრდებოდა ფეხის დარჩენილ ნაწილზე ტყავის ღვედით. მეცნიერებმა მამაკაცის სხეულის ნაწილების კომპიუტერული ტომოგრაფიითა და რენტგენის გადაღებით დაადგინეს არა მხოლოდ მიღებული მხედრის ტრავმის ხასიათი, არამედ აღმოჩნდა, რომ მეომარს კბილების პრობლემაც ჰქონია, ასევე გატეხილი ჰქონია ცხვირი, რომელიც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე შეხორცებია; აწუხებდა ართრიტი (სახსრების ანთება). რადგანაც ართრიტის დროს სახსარი შეშუპებულია, სახსრის ფორმა შეცვლილია. როგორც ჩანს, მამაკაცს შემაწუხებელი ტკივილები ჰქონდა. ამის კვალი ჩანს მის მხრებზე, თეძოებზე, მარცხენა მუხლსა და ხერხემალზე. ფეხის ამპუტაცია კი მას ტრავმის გამო დასჭირდა, რომელიც მას ქვეითმა მეომარმა მიაყენა. სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ მას ერთი ფეხი გადაურჩინეს, მეორე კი მოჰკვეთეს.




# სამასი წლის მუმიამ თვალი გაახილა

**მექსიკის ქალაქ გვადალახარის საკათედრო ტაძარში ღვთის მსახურებისას დროს სამასი წლის წმ. ინოსენის მუმიამ თვალები გაახილა. ამ ფენომენის ახსნა ვერავინ შეძლო, — იუწყება ინტერნეტსაიტი Mirror-ი.**

ბუნებრივია, ვიდეოს YouTube-ზე უამრავი მნახველი გამოუჩნდა, მაგრამ ახსნა იმისა, XVIII საუკუნეში გარდაცვლილმა გოგონამ როგორ გაახილა თვალი, არავის შეუძლია. ზოგიერთი თვლის, რომ ეს მისტიკური ნიშანია, მაგრამ რაზე მიანიშნებს, ვერ ხსნიან.

ვინ იყო ეს პატარა გოგონა სიცოცხლეში?

ერთ-ერთი ვერსიით, ეს ერთი ჩვეულებრივი გოგონა იყო, რომელიც მამამ დანით მოკლა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ეკლესიაში წასვლა უნდოდა.

# მსოფლიოში უდიდესი პროტონული დანადგარი

**ულიანოვსკის ოლქში, ქალაქ დმიტროვგრადში უახლესი ონკოლოგიური ცენტრი შენდება, რომელიც სხვებისგან იმით იქნება გამორჩეული, რომ მის ბაზაზე მსოფლიოში ყველაზე დიდი პროტონული დანადგარი დაიდგმება, რომელიც გამოყენებული იქნება ონკოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ სიმსივნეზე სინათლის სიჩქარით მიმართული პროტონების ზემოქმედების გზით.**



მკურნალობის ეს პროცესი ცნობილია სახელწოდებით **პროტონული თერაპია.**

**პროტონული თერაპია, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ პროტონების სხივურ თერაპიას, არის ყველაზე მოწინავე რადიაციული თერაპია, რომელიც დღეს არსებობს. ის ანგრევს (სპობს) კიბოს უჯრედებს, მაგრამ არ ესხმის თავს მის მახლობელ ჯანმრთელ ქსოვილს იმ დოზით, როგორც ტრადიციული თერაპია.** პროტონული თერაპია არის გარკვეული ნაწილაკური თერაპია, რომელიც მიმართავს პროტონულ სხივებს ძალიან დიდი სიზუსტით კიბოს უჯრედებისკენ.

პროტონულ თერაპიაში გამოიყენება მაღალენერგეტიკული პროტონების სხივი, მაღალენერგეტიკული რენტგენული სხივების ნაცვლად, რათა კიბოთი დაავადებულ პაციენტებს მიეწოდოს თერაპიული დოზა.

მიუხედავად იმისა, რომ პროტონული თერაპია მკურნალობის ყველაზე მიზანმიმართულ ფორმად ითვლება, არსებობს გარკვეული აზრთა სხვაობა იმაზე, აქვს თუ არა მას სრული უპირატესობა სხვა, გაცილებით იაფ მკურნალობაზე.

**ტეხასის უნივერსიტეტის მეცნიერები პროტონულ თერაპიას აღწერენ, როგორც სუბმილიმეტრული სიზუსტის მქონე კიბოსმკვლელ 196-ტონიან მანქანას, რომელიც უტევს პაციენტის სიმსივნეს, „ამასთანავე, უფრთხილდება მეზობელ ჯანმრთელ ქსოვილებს და უკიდურესად ამცირებს გვერდით ეფექტებს“ და განსხვავდება სხივური თერაპიის სხვა მეთოდებისგან იმით, რომ სიმსივნის გარშემო არსებული ქსოვილი პრაქტიკულად არ ზიანდება რადიაციის ზემოქმედებით. მეტიც, ზემოქმედების სიზუსტე საკმაოდ მაღალია, ცდომილება კი — მხოლოდ ნახევარი მილიმეტრი.**

რუსეთში ახალი ონკოლოგიური ცენტრისთვის უკვე დაიწყეს მაღალკვალიფიციური კადრების მზადება. ახალი მოწყობილობის აღჭურვილობას ბელგიიდან მიიღებენ.

მომავალი სამედიცინო ცენტრის ადგილას უკვე აწყობილია ციკლოტრონი: უზარმაზარი დანადგარი, რომელიც იწონის 245 ტონას, და რომელიც დაშლის პროტონებს. დაშლის შემდეგ პროტონები მკურნალობისთვის სპეციალურად აღჭურვილ 4 ოთახში სინათლის სიჩქარით გაემართება. წელიწადში ცენტრი 1200-მდე პაციენტს მოემსახურება, მკურნალობის კურსი 12-დან 35 დღემდე იქნება, ხოლო თერაპიის თითოეული სეანსი 30 წთ-ს გაგრძელდება.

ცენტრის მშენებელთა ინფორმაციით, 2017 წლის დასაწყისში ტესტირების რეჟიმში მზის სიჩქარეს მიაღწევს პირველი პროტონები, ხოლო 2017 წლის ბოლოსთვის პირველი ორი ოთახი მთლიანად მზად იქნება მკურნალობისთვის.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დედამიწაზე ყველაზე საშიში ცხოველები დაასახელა

**შედეგები გაგაოგნებთ. ლიდერების სამეულში არის ადამიანი. საშიში არსებების უმრავლესობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სიაში მოხვდა იმის გამო, რომ სასიკვდილო დაავადებების გადამტანი არიან.**





**პირველი ადგილი კოღოს** მიანიჭეს, რადგანაც **კოღოს მიერ გადატანილი ინფექციებით ყოველწლიურად 750 ათასი ადამიანი კვდება.**

**მეორე ადგილი** რეიტინგში **ადამიანს** ეკუთვნის, რომლის მიზეზით **ყოველწლიურად 437 ათასი თანამოძმე იღუპება.**

სამეულში ბოლოა **გველი. მისი კბენისგან ყოველწლიურად 100 ათასი ადამიანი კვდება.**

**ძაღლის ცოფი და სხვა ინფექციები, რომლებიც ცოფიანი ცხოველებისგან კბენის გზით გადადის ადამიანზე, 35 ათასი ადამიანის სიკვდილის მიზეზია.**

განა შეიძლება იყოს რამე **ლოკოკინაზე** უწყინარი? მაგრამ ეს ასე სულაც არ ყოფილა. **მტკნარი წყლის ლოკოკინის მიერ გადატანილი შისტოსომოზისგან წელიწადში 20 ათასი ადამიანი იღუპება.**





ცნობისთვის: **შისტოსომოზი** ბერძნული სიტყვაა (schistos — გახლეჩილი, soma — სხეული); **შისტოსომას** გვარის სისხლის ტრემატოდების მიერ გამოწვეული ტროპიკული ავადმყოფობაა. პარაზიტი კვერცხებს დებს ინვაზირებული ადამიანების შარდსა და განავალში. ადამიანს უვითარდება ანემია, ანთება, ფაღარათი, ჰეპატოსპლენომეგალია, წარმოიქმნება ნაწიბურები. შესაძლებელია ციროზის განვითარება. ტრემატოდების შარდის ბუშტში მოხვედრისას, ადგილი აქვს ჰემატურიას, ვითარდება ცისტიტი და შესაძლებელია განვითარდეს შარდის ბუშტის კიბო. აღნიშნული ავადმყოფობა საქართველოში არ გვხვდება, მაგრამ გამორიცხული არ არის მისი შემოტანა ტრანზიტული გზით.

ყოველწლიურად ათასობით ტურისტი ჩადის ინდონეზიის ქალაქ მაჰაბალიპურამში, რათა საკუთარი თვალით ნახოს 45 გრადუსით დახრილი ქვა, რომელიც 250 ტონას იწონის და, აგერ უკვე 1300 წელია, გამოწვევას უგზავნის გრავიტაციის კანონებს.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კრიშნას ზეთოვანი ქვა, რომელიც გრავიტაციის კანონს არ ცნობს

**ყოველწლიურად ათასობით ტურისტი ჩადის ინდონეზიის ქალაქ მაჰაბალიპურამში, რათა საკუთარი თვალით ნახოს 45 გრადუსით დახრილი ქვა, რომელიც 250 ტონას იწონის და, აგერ უკვე 1300 წელია, გამოწვევას უგზავნის გრავიტაციის კანონებს.**





ადგილობრივ მოსახლეობაში ამ ქვაზე უამრავი ლეგენდაა გავრცელებული. ამბობენ, რომ კრიშნას ზეთოვანი ქვა თვით ღმერთებმა დადეს ამ ადგილას, რათა ადამიანებისთვის თავიანთი ძალა ეჩვენებინათ. ამ მოსაზრებას არ იზიარებენ მეცნიერები. ისინი ირწმუნებიან, რომ ლოდი, უბრალოდ, ბუნების ქმნილებაა და მის უცნაურ მდებარეობაში ზეციური ხელი სულაც არ ურევია.

ყველაზე უშიშარი ტურისტები (აღარაფერს ვამბობ ადგილობრივ მოსახლეობაზე) სულ ახლოს მიდიან ქვასთან და მის ჩრდილქვეშ წამოწოლილებიც კი იღებენ სურათებს.

**ლეგენდის მიხედვით, კრიშნა ხშირად იპარავდა ზეთს დედის დოქიდან და ეს ქვაც სწორედ ის მოპარული ზეთია, რომელიც წლების განმავლობაში გაქვავდა.**

გეოლოგები ამტკიცებენ, რომ ბუნებრივ კოროზიას არ შეეძლო ქვის ლოდისთვის ასეთი უცნაური, ანომალიური ფორმა მიეცა.

ერთი შეხედვით გვეჩვენება, რომ ქვა ეს-ესაა ადგილიდან დაიძვრება და ფერდობზე ჩამოგორდებაო, მაგრამ, უკვე 1300 წელია, ეს არ ხდება.

პირველად ქვის დაძვრას VII საუკუნეში სამხრეთ ინდოეთში მცხოვრები მეფე შეეცადა, მაგრამ ვერ მოახერხა; მეორე ცდა ეკუთვნის მადრასის (ჩენაი) გუბერნატორ არტურ ლოლის XX საუკუნის დასაწყისში: ქალაქის მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით გუბერნატორმა სცადა, შვიდი სპილოს დახმარებით ქვა ადგილიდან დაეძრა, მაგრამ ამაოდ. კრიშნას ქვის გამოცანა დღემდე ამოუცნობია და, სავარაუდოდ, მეცნიერებს კიდევ დიდხანს მოუწევთ ტვინის მტვრევა.





# ჩინეთში ადამიანის სახიანი გოჭი დაიბადა

**ადრე ჩინეთში ორთავიანი გოჭის დაბადებაზე საუბრობდნენ, ამჯერად კი მართლაც საოცარი რამ მოხდა — დაიბადა ადამიანის სახიანი გოჭი, რომელსაც შუბლზე გენიტალიები აქვს.** როგორც ინტერნეტსაიტი Mirror-ი იუწყება, მუტანტი გოჭები მსგავსი გადახრებით, ძირითადად, ადგილობრივ ფერმებში ხშირად იბადებიან. ეს გოჭი კი ცხრამეტიდან ერთ-ერთი იყო, რომელიც ღორმა მოყარა ტაო ლუს ფერმაში.

როგორც კი მისი ფოტოები სოციალურ ქსელში გავრცელდა, ფერმის მეპატრონეს უამრავმა მსურველმა მიმართა გოჭის შესაძენად; ზოგს კი მისი ნახვით მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება სურდა.

სამწუხაროდ, ახალშობილი დაიღუპა, რადგან დედა ღორმა უარი თქვა მის გამოკვებაზე, ხოლო ბოთლით ჭამას პატარა ვერ მიეჩვია. როგორც ტაო ლუ ამბობს, მას შეეძლო გოჭი მთელი კოლტის ფასად გაეყიდა, მაგრამ ვერ მოასწრო.

# ეკლესია ცოცხალი ხეებისგან



**ეს საოცარი „ცოცხალი“ ტაძარი ბრაიან კოქსის უკანა ეზოში დგას, რომელიც თავისი სილამაზითა და ორიგინალურობით მნახველებს აღაფრთოვანებს.**

ბრაიან კოქსი ახალზელანდიელია. ის 4 წლის განმავლობაში ზრდიდა ამ ხეებს, რათა „მშენებლობა“ დაესრულებინა. თავდაპირველად მან რკინის კარკასი შეკრა, შემდეგ დარგო ნერგები. ბრაიანი სერიოზულად მოეკიდა მებაღეობის არქიტექტურას. მან „მშენებლობისას“ ხეთა ტანის შეფერილობაც და ფოთლების ფორმაც კი გაითვალისწინა. სწორედ ამიტომ იმსახურებს მისი ხელქმნილი ტაძარი მაღალ შეფასებას. ეს ცოცხალი ტაძარი მართლაც რომ ზღაპრულად მშვენიერია.

ეკლესიის კედლებს წარმოადგენს ავსტრალიური ფოთლოვანი ჩაის ხე. კოქსი მის კორექტირებას 6 კვირაში ერთხელ აკეთებს, რათა ფორმა შეუნარჩუნოს. სახურავი გაკეთებულია მურყანისგან, რომელიც რკინის ჩარჩოს ბოლომდე სწვდება, მას ალაგ-ალაგ აქვს ფოთლები, რათა მზის სხივებმა შიგნით შეაღწიოს.

ამყოლი ვარდები, რომლებიც ფარავს ეკლესიის ზედა ნაწილს, ყვავის მთელი ზაფხულის განმავლობაში და სასიამოვნო სურნელით ავსებს არემარეს. ეკლესია გარშემორტყმულია ყვავილების ღობით.

პირველად აქ კოქსის ძმისშვილმა დაიწერა ჯვარი, მალე მას სხვა წყვილებმაც მიბაძეს.

ეკლესიის წინ არის ლაბირინთი, რომელიც უძველესი ქალაქის იერიქონის მოდელზეა გაკეთებული

ხის ეკლესიის შენახვა ზოგისთვის რთული ამოცანა შეიძლება იყოს, მაგრამ კოქსისთვის ეს არის შრომის სიყვარული

კოქსი ეკლესიის უკან ევროპული ბაღის გაშენებას გეგმავს, რომელშიც ბუნებრივ ამფითეატრს მოაწყობს სხვადასხვა ღონისძიებისთვის.







ისტორიული მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მან, პირველმა საქართველოში, მისცა სწორი მეცნიერული გეზი მათემატიკის სწავლების მეთოდიკას. თავისი ნათელი აზროვნება, მდიდარი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება და საგნის ღრმა ცოდნა ნაყოფიერად მოახმარა მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მეცნიერული პრობლემების გადაჭრასა და ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდას. მისი მრავალრიცხოვანი შრომები, რომლებმაც რესპუბლიკის მასწავლებელთა მოწონება დაიმსახურეს, განვითარების მკვიდრ საფუძველს უქმნის მათემატიკის სწავლების მეთოდიკას საქართველოში.**

# უნივერსიტეტის პირველი პროფესორები

## მიხეილ კონიაშვილი — საქართველოში მათემატიკის სწავლების მეთოდიკის ფუძემდებელი

**მიხეილ კონიაშვილი, როგორც კარგად მომზადებული და ფართოდ მოაზროვნე მათემატიკოსი, მშვენიერი პედაგოგი და მათემატიკის მეთოდიკის საუკეთესო სპეციალისტი, გახლდათ მათემატიკის ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელი უნივერსიტეტში. ტყუილად კი არ ამბობდნენ: „მიხეილ კონიაშვილი თუ მოინდომებს, ხუთი წლის ბავშვსაც კი გააგებინებს ალგებრასო“.**



უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, პირველ რიგში მარცხნიდან პირველი — მიხეილ კონიაშვილი

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი თბილისში დაიბადა 1896 წელს. 1896 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია. გიმნაზიაში საუკეთესო სწავლით, გულმოდგინებითა და სამაგალითო ყოფაქცევით პედაგოგთა გულისხმიერი დამოკიდებულება დაიმსახურა; ჯერ კიდევ ბავშვი, საუკეთესო „მათემატიკოსად“ ითვლებოდა, რომელმაც საკუთარი დებულებებიც კი ჩამოაყალიბა. უთუოდ ამ მდგომარეობამ განაპირობა გიმნაზიის დირექტორის — გ. მარკოვის გულთბილი დამოკიდებულება მისდამი, რომელსაც მადლიერების გრძნობით იგონებდა ხოლმე ბატონი მიხეილი ხანდაზმულობის პერიოდში.

გიმნაზიის დამთავრებისთანავე მიხეილ კონიაშვილი ჩარიცხულა **მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკის განყოფილებაზე. უნივერსიტეტში სწავლის მთელ პერიოდში იგი ყოფილა კავკასიის სასწავლო ოლქის სტიპენდიანტი.** ასეთი ყურადღება სტიპენდიანტს სავსებით გაუმართლებია — უნივერსიტეტი დაუმთავრებია 1990 წელს პირველი ხარისხის დიპლომით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი, როგორც სტიპენდიანტი, ვალდებული იყო, ემუშავა კავკასიის ოლქის მზრუნველის ბრძანების შესაბამისად; ამის გამო მას უარი უთქვამს წინადადებაზე, დარჩენილიყო იქვე, პროფ. ლახტინის კათედრაზე, სამუშაოდ. პირველი დანიშვნა მიუღია სამაზრო ქალაქ შუშაში რეალური სასწავლებლის მათემატიკის მასწავლებლად. ორი წლის შემდეგ გადაუყვანიათ სტავროპოლში იმავე თანამდებობაზე, ხოლო 1904 წელს — თბილისში ვაჟთა მესამე გიმნაზიაში მათემატიკის მასწავლებლად.

აქედან დაწყებული მიხეილ გრიგოლი ძე განუწყვეტლივ მუშაობს თბილისში და 1921 წლამდე ასწავლის მათემატიკასა და ფიზიკას სხვადასხვა სასწავლებელში — 1907 წლიდან 1914 წლამდე თბილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში. აქ იგი მათემატიკისა და ფიზიკის სწავლებასთან ერთად პედაგოგიურ საბჭოს თავმჯდომარეობს; 1918 წლიდან ამავე გიმნაზიის დირექტორია. შემდგომში გიმნაზია გადაკეთდა XI ტექნიკუმად, რომლის დირექტორადაც დარჩა ბატონი მიხეილი 1921 წლამდე.

მიხეილ კონიაშვილის ქალთა პირველ გიმნაზიაში მუშაობის პერიოდს ეკუთვნის პროფესორ **რუსუდან ნიკოლაძის** მოგონება.

„იმხანად მიხეილ გრიგოლის ძე ფიზიკას ასწავლიდა და საუკეთესო მასწავლებლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი — მოგვითხრობს პროფ. რ. ნიკოლაძე. — ჩვენს კლასს სხვა მასწავლებელი (ფილიმონოვი) ჰყავდა ფიზიკაში; რადგან მე ფიზიკით ძალიან ვიყავი დაინტერესებული, მოვინდომე, კონიაშვილის გაკვეთილებს დავსწრებოდი, მაგრამ თხოვნაზე მიხეილ გრიგოლის ძისაგან უარი მივიღე. საშინლად მეწყინა. მაშინვე გადავწყვიტე, უარის მიუხედავად, სურვილი დამეკმაყოფილებინა, რაც საკმაოდ მარტივად მოვახერხე. საკლასო ოთახში კარადა იდგა, ამხანაგების დახმარებით გავითავისუფლე მასში ადგილი და, ამგვარად, კარადაში დამალული ვისმენდი მიხეილ კონიაშვილის მიერ ჩატარებულ ფიზიკის გაკვეთილებს. ამხანაგებმა საიდუმლო შემინახეს და მასწავლებელს ბოლომდე არ გაუგია არაფერი“.

1909 წელს მიხეილ კონიაშვილი მონაწილეობს თბილისის ქალთა უმაღლესი კურსების ორგანიზაციაში. კურსები გაიხსნა თბილისში 1909 წლის სექტემბერში (ეს იყო კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებელი). აქ დაინიშნა მიხეილ გრიგოლის ძე ფიზიკისა და მათემატიკის კათედრის გამგედ და 6 წლის განმავლობაში კითხულობდა დიფერენციალურ აღრიცხვას, ინტეგრალურ აღრიცხვას, ფიზიკას. მისივე ინიციატივით მოეწყო ფიზიკის ლაბორატორიები ქალთა უმაღლესი კურსებისთვის.

1913 წელს მიხეილ კონიაშვილი მონაწილეობს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა XIII ყრილობის ორგანიზაციაში, რომელიც ამავე წელს ჩატარდა თბილისში. იგი იყო ამ ყრილობის განმკარგულებელი კომიტეტისა და პრეზიდიუმის წევრი, ამავე დროს, მათემატიკური სექტორის გამგე.

1921 წელს მიხეილ კონიაშვილი თავისივე თხოვნის საფუძველზე, საქართველოს განათლების კომისარიატის აკადემიური ცენტრის გადაწყვეტილებით, გაუთავისუფლებიათ XI ტექნიკუმის დირექტორის მოვალეობისგან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს აურჩევია იგი უნივერსიტეტის ლექტორად. უნივერსიტეტში მუშაობდა მიხეილ კონიაშვილი პენსიაზე გასვლამდე. აქ წლების მანძილზე კითხულობდა ელემენტარული მათემატიკის დამატებით თავებს, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის კურსებს, მათემატიკის სწავლების მეთოდიკას. 1935 წელს მიღებულ დახასიათებაში ვკითხულობთ: **„მიხეილ გრიგოლის ძე კონიაშვილი არის მათემატიკის ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელი უნივერსიტეტში. უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროს მან გამოიჩინა თავი როგორც კარგად მომზადებულმა და ფართოდ მოაზროვნე მათემატიკოსმა, მშვენიერმა პედაგოგმა და ამასთანავე მათემატიკის მეთოდიკის საუკეთესო სპეციალისტმა“.**

ამასთან ერთდროულად, რამდენიმე წლის განმავლობაში მიხეილ კონიაშვილი ასწავლიდა მათემატიკასა და ფიზიკას წითელარმიელთა უნივერსიტეტში; იყო განათლების სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრი. აქ მას უხდებოდა მათემატიკისა და ფიზიკის სახელმძღვანელოთა რეცენზირება; მიუღია, აგრეთვე, მონაწილეობა მათემატიკური ტერმინოლოგიის შექმნაში.

ბატონი მიხეილ ასწავლიდა, აგრეთვე, „26 კომისრის“ სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. მუშაობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება, ჩვეული გულისხმიერება აქაც გამოუჩენია და, რადგან კომუნისტური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ღარიბი ყოფილა, განსაკუთრებით მათემატიკური და ფიზიკური ხასიათის ლიტერატურით, აუღია თავის თავზე ამ საქმის ხელმძღვანელობა. შემონახულია ფიზიკის მეთოდკომისიის სხდომის ოქმი (ამ კომისიის თავმჯდომარე თვითონვე ყოფილა), სადაც ამის დამადასტურებელი ფაქტებია აღწერილი.

უნივერსიტეტიდან თავისუფალ დროს მიხეილ კონიაშვილი ახმარდა მუშაობას მუშფაკსა და პოლიტიკურ ინსტიტუტში. ზაფხულის თვეებში სისტემატურად მონაწილეობდა მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე, კითხულობდა მათემატიკის მეთოდიკის ამა თუ იმ ნაწილს: სურამში, ბორჯომში, მახარაძეში, ბოლო დროს, ეს იყო 1949 წელს — ხარაგოულში.

1938 წლიდან დაწყებული მიხეილ გრიგოლის ძე კონიაშვილი შეთავსებით მუშაობს საქართველოს განათლების სამინისროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად მათემატიკისა და ფიზიკის სწავლების მეთოდიკის სექტორში.

**არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ ამ ინსტიტუტში მისი მოღვაწეობა. ამ ინსტიტუტში მოხდა მთელი მისი ცოდნისა და გამოცდილების ფართო რეალიზაცია. აქ დაიწყო მიხეილ კონიაშვილმა მეთოდური სახელმძღვანელოების წერა-გამოცემა. აქვე 1948 წელს დაიცვა სამეცნიერო ხარისხი (დოცენტის წოდება მას ადრევე ჰქონდა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ მინიჭებული) და, გარდა ამისა, აქვე დაიწყო ასპირანტების მომზადება მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სპეციალობით.**

58 წლის მანძილზე არ მოშორებია მიხეილ კონიაშვილი თავის საყვარელ, მოზარდი თაობის სწავლების, რთულ საქმეს. **მან, პირველმა საქართველოში, მისცა სწორი მეცნიერული გეზი მათემატიკის სწავლების მეთოდიკას. თავისი ნათელი აზროვნება, მდიდარი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება და საგნის ღრმა ცოდნა ნაყოფიერად მოახმარა მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მეცნიერული პრობლემების გადაჭრასა და ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდას. მისი მრავალრიცხოვანი შრომები, რომლებმაც რესპუბლიკის მასწავლებელთა მოწონება დაიმსახურეს, განვითარების მკვიდრ საფუძველს უქმნის მათემატიკის სწავლების მეთოდიკას საქართველოში.**

ყველგან, სადაც კი მუშაობდა მიხეილ კონიაშვილი, დიდი, მოკრძალებული პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მას ახასიათებდა დიდი შრომისმოყვარეობა, საოცარი პუნქტუალობა და მეტისმეტი სიმკაცრე. დიდი ერუდიციის მქონე, შესანიშნავი პედაგოგი შეუდარებელი იყო, როგორც ლექტორი — საუკეთესო უნარით ყველასათვის გაეგებინებინა მის მიერ გამოთქმული დებულება, როგორი რთულიც უნდა ყოფილიყო ის. ტყუილად კი არ ამბობდნენ: **„მიხეილ კონიაშვილი თუ მოინდომებს, ხუთი წლის ბავშვსაც კი გააგებინებს ალგებრასო“**. უბადლო მეთოდისტი, ამა თუ იმ საკითხის სწავლების ხერხებისა და გზების მიგნების გასაოცარი ნიჭით დაჯილდოვებული, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, იგი ყოველთვის მოითხოვდა საქმისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას, ღრმა ცოდნას, შემოქმედებით მუშაობას. შესანიშნავად იცოდა ახალი პრობლემების მიგნება, დასმა. ყოველ ახალს მეთოდიკაში საოცარი შინაგანი ალღოთი ეხმაურებოდა. ყოველივე ეს მეტად კარგ შედეგს იძლეოდა ასპირანტებთან მუშაობაში, რომელიც ასე ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი მოღვაწეობის ბოლო წლებში. 1948 წლიდან სიკვდილამდე, 12 წლის განმავლობაში, მან აღზარდა არაერთი ასპირანტი: ნ. თოფურიძე, გ. გორგოძე, ოთ. როინიშვილი, გ. ტაბიძე, ი. ჯაშიაშვილი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ყველა მის მიერ მომზადებულმა ასპირანტმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და წარმატებით განაგრძობენ მუშაობას მათემატიკის მეთოდიკის სპეციალობით.

ზღაპრულად პუნქტუალური იყო ბატონი მიხეილი. ზუსტად დანიშნულ დროს მიდიოდა ყველგან. საათის გასწორება შეიძლებოდა მის მისვლაზე პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში, სადაც ის ყოველ ორშაბათს ზუსტად დღის 2 საათისთვის ცხადდებოდა. მის სიმკაცრეზე ყველა მისი ყოფილი მოსწავლე ლაპარაკობს. ეს სიმკაცრე არ შენელებულა მისი ხანდაზმულობის პერიოდშიც და ასპირანტებთან მუშაობის დროსაც ისეთივე სიძლიერით იჩენდა თავს. მახსოვს, ძალიან მეშინოდა მისი კონსულტაციებისა, მეტად დიდ მასალას მაძლევდა დასამუშავებლად და, რა თქმა უნდა, მკაცრად მოითხოვდა შესრულებას. ერთხელ ავად გავხდი გრიპით, მაღალი სიცხე მქონდა. შევუთვალე ბ-ნ მიხეილს ჩემი ამბავი. „სიცხე წიგნის კითხვაში ხელს ვერ შეუშლის ახალგაზრდას, მითუმეტეს გრიპის შემთხვევაში“, — უთქვამს მას და სამი წიგნი გამომიგზავნა ავადმყოფობის პერიოდში დასამუშავებლად. ავადმყოფობის შემდეგ კი ასე განმიმარტა თავისი მოქმედება: **„თუ გინდათ, იყოთ სპეციალისტი, ამ სიტყვის სრული აზრით, რა დარგშიაც არ უნდა იყოს ეს, აუცილებელია (დაიხსომეთ!), აუცილებელია ყოველდღიურად იმუშაოთ თქვენს თავზე არანაკლებ 2-3 საათისა — იკითხოთ ლიტერატურა თქვენს დარგში. არაფერი უნდა დარჩეს თქვენი ყურადღების მიღმა თქვენს სპეციალობაში, ყოველი გამოტოვებული დღე რამდენიმე თვით ჩამორჩენას უდრის“.**

**ელენე იმერლიშვილი,**
**1979 წ.**

**ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“ №10, 2016 წ.**

**ჩვენს ინსტიტუტს სხვებისგან განასხვავებს ის, რომ ვცდილობთ, ყველაფერში თანამედროვე მოთხოვნების სიმაღლეზე ვიყოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისა და ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლების თვალსაზრისით. ბატონმა ფრიდონ თოდუამ სერიოზული ამოცანა დასახა ჩვენსა და, საზოგადოდ, ქვეყნის წინაშე — შევქმნათ ისეთი ძლიერი სამსახური, რომ არც ერთ პაციენტს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საქართველოდან უცხოეთში გამგზავრება არ დასჭირდეს.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თამარ ჭითანავა: დაავადების თავიდან აცილება პროფილაქტიკური გამოკვლევით შეიძლება

**დღეს მსოფლიოში ონკოდაავადებების სიხშირის განუხრელი მატების ტენდენცია აღინიშნება. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად კიბოს 14 მილიონზე მეტი ახალი შემთხვევა ვლინდება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2020 წლისთვის ეს რიცხვი 20 მილიონამდე გაიზრდება. გინეკოლოგიური დაავადებების გავრცელების, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანემედროვე მეთოდებისა და სიახლეების შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს ესაუბრება კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გინეკოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი თამარ ჭითანავა.**



— ავადობის სიხშირისა და გავრცელების მიხედვით, ქალთა ონკოლოგიურ დაავადებებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ჩვენი მოსახლეობის ავადობის, ინვალიდობისა და მოკვდავობის სტრუქტურაში. პირველ ადგილზეა ძუძუს კიბო, შემდეგ — საშვილოსნოს ყელის, ტანისა და საკვერცხეების ავთვისებიანი სიმსივნეები.

მსოფლიოში ყოველწლიურად **საშვილოსნოს ყელის კიბოთი** დაავადების 500 ათასი ახალი შემთხვევა აღირიცხება და ამ დიაგნოზით 300 ათასი ქალი იღუპება. საქართველოში ყოველწლიურად 600-მდე ქალს უდგინდება ეს დიაგნოზი. დაავადების პიკი 50-60 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის, თუმცა ბოლო პერიოდში გაცილებით ახალგაზრდებშიც არცთუ იშვიათად გვხვდება.

საკმაოდ ხშირია ე.წ. ჰიპერპლასტიკური პროცესებიც, რომლებიც საშვილოსნოს ყელზე, ენდომეტრიუმში ან საკვერცხეებში ვითარდება და მცირე თუ დიდი ზომის პოლიპების, კისტების ან კიდევ უფრო სერიოზული სიმსივნური პათოლოგიების სახით ვლინდება. **ზოგიერთი დაავადება, შესაძლოა, ყოველგვარი სიმპტომის გარეშეც მიმდინარეობდეს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია პერიოდული პროფილაქტიკური გასინჯვა, რომელიც ჩივილების გამოვლენამდე დაავადების აღმოჩენის საშუალებას გვაძლევს. ნებისმიერი უჩვეულო სიმპტომი უნდა იყოს სიგნალი იმისა, რომ ქალმა რაც შეიძლება დროულად ჩაიტაროს გინეკოლოგის კონსულტაცია.**

საშვილოსნოს ყელის კიბო ქალთა მოკვდავობის უმნიშვნელოვანეს პროცენტს შეადგენს, არადა, ამ პრობლემის თავიდან აცილება მარტივად შეიძლება პროფილაქტიკური გინეკოლოგიური გამოკვლევით, რომელიც, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც ყველა ქალმა უნდა ჩაიტაროს. ჩვენს რეალობაში კი ქალების უმეტესობა მოგვმართავს მაშინ, როდესაც უკვე აწუხებს ტკივილი, სისხლდენა და სხვა პრობლემები, რომლებიც დაავადების შორსწასულობასა და არასახარბიელო პროგნოზზე მიგვითითებს.

თანამედროვე მედიცინა დიაგნოსტიკური შესაძლებლობების სრულ არსენალს ფლობს, ამიტომაა, რომ ავთვისებიანი პროცესის არსებობის დადგენა თუ მისი ადგილობრივი და შორეული გავრცელების შეფასება დღეს პრობლემა აღარ არის.

შემიძლია დაბეჯითებით ვუთხრა თქვენი გაზეთის მკითხველებს, რომ ჩვენი ინსტიტუტის ინფრასტრუქტურა ამ შესაძლებლობას ნამდვილად გვაძლევს, აქ ყველაფერია: დაწყებული თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობით, ულტრაბგერითი აპარატურით, ენდოსკოპიური ტექნიკით, რენტგენოგრაფიული დანადგარებითა და კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფებით და დამთავრებული უნიკალური პათო-მორფოლოგიური და იმუნო-ჰისტოქიმიური აპარატურით.

**— ტექნიკა ტექნიკად, მაგრამ კადრები?**

— ეს საკითხიც უმაღლეს დონეზეა გადაწყვეტილი.

მოგეხსენებათ, სწორად დასმულ დიაგნოზზეა დამოკიდებული პაციენტის მკურნალობის ტაქტიკა, რეჟიმი და ეფექტიანობა. მაგალითად, საშვილოსნოს ყელის კიბოზე ეჭვის შემთხვევაში, სტანდარტული გამოკვლევის გარდა, აუცილებელია სიმსივნის ბიოფსია (მისი შემდგომი მორფოლოგიური შესწავლით), აგრეთვე, გულმკერდისა და მუცლის ღრუს რადიოლოგიური გამოსახულებითი დიაგნოსტიკა, რათა შეფასდეს პროცესის ადგილობრივი თუ შორეული გავრცელება (მეტასტაზირება სხვა ორგანოებში). პათოლოგიური პროცესის გავრცელების სრულ სურათსაც (დაავადების კლინიკურ სტადირებას) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მკურნალობის ტაქტიკის არჩევისთვის. სწორედ ამას გულისხმობს თანამედროვე სამედიცინო დიაგნოსტიკური სტანდარტების დანერგვა მკურნალობის საუკეთესო ხარისხის უზრუნველსაყოფად, რომელიც დღეს, თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების რევოლუციური განვითარების ერაში, არა მხოლოდ სასურველი, არამედ აუცილებელი პირობაა.

**საქართველოში არც ერთ სხვა სამედიცინო დაწესებულებაში არ არის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ისეთი შესაძლებლობები, როგორიც ჩვენს ინსტიტუტში. მუდმივად ვაფართოებთ რადიოლოგიური დიაგნოსტიკის დიაპაზონებს. უკვე შევიძინეთ და ექსპლოატაციაში გავუშვით უნიკალური პათო-მორფოლოგიური და იმუნო-ჰისტოქიმიური ლაბორატორია**

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ **საქართველოში არც ერთ სხვა სამედიცინო დაწესებულებაში არ არის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ისეთი შესაძლებლობები, როგორიც ჩვენს ინსტიტუტში. მუდმივად ვაფართოებთ რადიოლოგიური დიაგნოსტიკის დიაპაზონებს. უკვე შევიძინეთ და ექსპლოატაციაში გავუშვით უნიკალური პათო-მორფოლოგიური და იმუნო-ჰისტოქიმიური ლაბორატორია.**

რაც შეეხება ქირურგიას, რასაკვირველია, უმეტეს შემთხვევაში არჩევის მეთოდი მინიმალურად ინვაზიური ჩარევებია, ამიტომ დღეს ლაპაროსკოპიულმა ქირურგიამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი მედიცინაში.

ლაპაროსკოპია თანამედროვე ქირურგიაა. **დღევანდელი ლაპაროსკოპიული ტექნიკა ცხოვრების ხარისხის გაცილებით სწრაფი გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. მინიმალური ტკივილი და დისკომფორტი, მცირე ზომის განაკვეთი და გართულებების გაცილებით ნაკლები პროცენტი — ამ ყველაფრის გამო ლაპაროსკოპიას უპირატესობა ენიჭება თითქმის ყველა გინეკოლოგიური დაავადების სამკურნალოდ. ეს მეთოდი შეუცვლელია ისეთი პათოლოგიების დროს, როგორებიცაა კვერცხშესავალი მილების გაუვალობა, შეხორცებითი პროცესები მუცლისა და მცირე მენჯის ღრუში, საკვერცხის კისტები, საშვილოსნოს მიომა, ენდომეტრიოზი.**

დღეს რეალობაა ის, რაც ადრე წარმოუდგენელად მიიჩნეოდა: მცირე ინვაზიური ქირურგიის როლი ონკოგინეკოლოგიაში უფრო და უფრო იზრდება. საუბარია დიდი მოცულობის, ხშირ შემთხვევაში, ძალიან ტრავმულ ოპერაციებზე, რომლებსაც ღია მეთოდის გამოყენების შემთხვევაში რეაბილიტაციის ხანგრძლივი პერიოდი ესაჭიროება. ლაპაროსკოპიული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია იმავე მოცულობის ოპერაციების ნაკლებ ტრავმულად ჩატარება ისე, რომ რეაბილიტაციის დრო მნიშვნელოვნად მცირდება და ქიმიო-სხივური მკურნალობის გაგრძელება მოკლე ვადებში ხდება შესაძლებელი. ამ ყველაფრის მიუხედავად, რასაკვირველია, არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა ტრადიციული ქირურგიული ჩარევა შეუცვლელია.

**ჩვენს ინსტიტუტს სხვებისგან განასხვავებს ის, რომ ვცდილობთ, ყველაფერში თანამედროვე მოთხოვნების სიმაღლეზე ვიყოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისა და ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლების თვალსაზრისით. ბატონმა ფრიდონ თოდუამ სერიოზული ამოცანა დასახა ჩვენსა და, საზოგადოდ, ქვეყნის წინაშე — შევქმნათ ისეთი ძლიერი სამსახური, რომ არც ერთ პაციენტს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საქართველოდან უცხოეთში გამგზავრება არ დასჭირდეს.**

დღეს თოდუას კლინიკაში ყველა საჭირო ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი გვაქვს, რომელიც ნებისმიერ დაავადებასთან გამკლავების შესაძლებლობას გვაძლევს.

**— მაგრამ ეს ხომ საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა?**

— თანამედროვე ტექნოლოგიებით მკურნალობა, რასაკვირველია, ძვირია, მაგრამ საქართველოში ფასები საზღვარგარეთისაზე გაცილებით იაფია. ამასთანავე, მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში ძალაში შევიდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, ნებისმიერი სახის მკურნალობა — ქირურგია, ქიმიოთერაპია თუ სხივური თერაპია — სახელმწიფოს მიერ ფინანსდება და ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი ფენისთვის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დღეს პაციენტს აქვს არჩევანის უფლება, ანუ უფლება, მიიღოს მომსახურება მისთვის სასურველ კლინიკაში.

ჩვენს კლინიკაში გამოიყენება ონკოლოგიური პაციენტის მკურნალობის პრაქტიკულად ყველა მეთოდი.

სხივურ თერაპიაში დამონტაჟებულია 2 ულტრათანამედროვე სხივური ამაჩქარებელი, გამართულია უალტერნატივო ქიმიოთერაპიის განყოფილება. უახლოეს მომავალში რადიოთერაპიის განყოფილებას შეემატება რადიოქირურგიული სისტემა EDGE, ხოლო ქიმიოთერაპიის დარბაზი ერთდროულად 35 პაციენტის მომსახურებას შეძლებს.

**არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ შევეხო EDGE რადიოქირურგიულ სისტემას, მით უმეტეს, რომ ამ აპარატს მსოფლიოს მასშტაბით ჯერ მხოლოდ 17 კლინიკა ფლობს. იგი უახლესი სიტყვაა რადიოქირურგიაში და მისი მეშვეობით, შესაძლებელია ჯანსაღი ქსოვილების დაზიანების გარეშე, მხოლოდ სიმსივნურად გადაგვარებული ქსოვილების დასხივება და განადგურება. მკურნალობის ეს მეთოდი, პრაქტიკულად, ოპერაციული ჩარევის ალტერნატივაა.**

ბრაქითერაპიის დეპარტამენტში უახლესი თაობის VARIAN-ის აპარატი განთავსდება, რაც უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია თუნდაც მხოლოდ გინეკოლოგიური სიმსივნეების მკურნალობის ჭრილში. სიტყვა **ბრაქითერაპია** ბერძნული წარმოშობისაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „მოკლეს“, რაც სიმსივნისა და თერაპევტული აგენტის სიახლოვის მანიშნებელია. რადიოაქტიური წყარო უშუალოდ სიმსივნის ქსოვილში თავსდება. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანია საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობისას; ასევე კანის, სარძევე ჯირკვლის, პროსტატის, ტრაქეისა და საყლაპავის სიმსივნეების მკურნალობის დროს.

**მე და ჩემს კოლეგებს გაგვიმართლა, რომ ვართ ისეთი სკოლის წარმომადგენლები, როგორიცაა აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკა. ვერც ერთ ევროპულ კლინიკაში ვერ იპოვით ისეთ მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და ინტელექტუალურ პოტენციალს, როგორიც ჩვენს ცენტრშია. მეამაყება, რომ ვმუშაობ ისეთი ადამიანების გვერდით, რომლებიც საკუთარი დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლები და წამყვანი სპეციალისტები არიან.**

**მსოფლიოში ყოველწლიურად საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადების 500 ათასი ახალი შემთხვევა აღირიცხება და ამ დიაგნოზით 300 ათასი ქალი იღუპება. საქართველოში ყოველწლიურად 600-მდე ქალს უდგინდება ეს დიაგნოზი. დაავადების პიკი 50-60 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის, თუმცა ბოლო პერიოდში გაცილებით ახალგაზრდებშიც არცთუ იშვიათად გვხვდება**

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

ფერმერის სკოლა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არსებული რეალობიდან გამომდინარე, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გამოსაკვებად, ასევე, მხარდასაჭერია ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარება. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მილიონობით ჩატარებული ცდები და დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება სწორედ აღნიშნული მოსაზრების დადასტურებაა. ჩვენმა ქვეყანამ უპირველეს მიზნად უნდა დაისახოს უახლოეს 4-5 წელიწადში ადგილობრივი წარმოების სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფა.**



გოგოლა მარგველაშვილი

**რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.**

# 2050 წლისთვის მწვავე სასურსათო კრიზისია მოსალოდნელი

**საქართველოს აგრარულ სექტორში ბოლო წლებში განხორციელებულ დადებით ძვრებთან ერთად მრავალმა მტკივნეულმა პრობლემამ იჩინა თავი. კერძოდ, ჩამოყალიბდა სრულიად მიუღებელი ტენდენცია ჩვენი ქვეყნის უპირველესი ეროვნული სიმდიდრის — ნიადაგის უსისტემო ექსპლოატაციისა და მისადმი მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულების.**

მცირემიწიან საქართველოში 205 ათასი ჰექტარი დამლაშებულ და ბიცობ ნიადაგებს უკავია, 330 ათასი ჰექტარი — მჟავეს, ხოლო 220 ათასი ჰექტარი — დაჭაობებულს. ერთ მილიონ ჰექტრამდე ნიადაგი სხვადასხვა ხარისხით ეროზიული პროცესების გავლენას განიცდის, რაც ანადგურებს სავარგულებს, არღვევს ათასობით წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ეკოლოგიურ წონასწორობას, განაპირობებს რიგ უარყოფით სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ შედეგებს.

ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 80 პროცენტი ღარიბია საკვები ელემენტებით, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაბალ და უხარისხო მოსავალს განაპირობებს. ქვეყნის ყველა რეგიონში შენიშნება ნიადაგის ნაყოფიერების უმთავრესი მაჩვენებლის – ჰუმუსის მწვავე დეფიციტი და მისი ბალანსი უარყოფითია.

**როგორ ვმართოთ ნიადაგის ნაყოფიერება, მიწათმოქმედების რომელ სისტემას მივანიჭოთ უპირატესობა — ინტენსიურს თუ ორგანულს? ხანგრძლივი დაკვირვებების საფუძველზე გთავაზობთ ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულ პრობლემაზე.**

დავიწყოთ ინტენსიური სისტემით.

**სოფლის მეურნეობის მაღალგანვითარებულ არც ერთ ქვეყანას ჯერჯერობით არ უთქვამს უარი ინტენსიურ სოფლის მეურნეობაზე. აშშ, კანადა, ბრიტანეთი, ევროპის ყველა სახელმწიფო, აზიის ქვეყნები, დღემდე ეწევიან ინტენსიურ სოფლის მეურნეობას. მიზანი ერთია — ფართობის ყოველ ერთეულზე მიღებულ იქნეს რაც შეიძლება მეტი მოსავალი მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით, რომელსაც აღწევენ ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად მინერალური სასუქების აუცილებელი გამოყენებით, რა თქმა უნდა, ორგანულ სასუქებთან ერთად.**

მსოფლიოში მინერალურ სასუქებზე მოთხოვნა და მისი წარმოებაც ყოველწლიურად იზრდება, რომელსაც შემდეგი ძირითადი ფაქტორები განაპირობებს:

* მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობის მატება იწვევს კვების ძირითად პროდუქტებზე მოთხოვნის მატებას, ამასთანავე, ხდება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მსოფლიოს სათესი ფართობების თავისუფალი რესურსების შემცირება, რაც განაპირობებს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის აუცილებლობას, ახალი ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვას. აღნიშნულის შედეგად იზრდება სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების მოთხოვნა მინერალურ სასუქებზე.

* ბოლო წლებში რთული კლიმატური პირობები ბევრ წამყვან ქვეყანაში ნეგატიურად აისახა ს/ს კულტურების მოსავალზე და გამოიწვია მარცვლეულის მსოფლიო მარაგების შემცირება, რის გამოც, გაიზარდა მინერალურ სასუქებზე მოთხოვნა.

* 2014 წელს მსოფლიოში 2 მილიარდ 534 მილიონი ტონა მარცვლეული აწარმოეს, რომელიც არ იყო საკმარისი ამავე პერიოდში ერთ მილიარდამდე ადამიანისთვის შიმშილობის პრობლემის მოსახსნელად. ამ ოდენობის მოსავლის 50 პროცენტი მიღებული იყო მინერალური სასუქების ხარჯზე. ადვილი წარმოსადგენია, რამდენი ადამიანი იშიმშილებს, ეს ოდენობა რომ მოაკლდეს.

## ორგანული (იგივე ეკოლოგიური, ბიოლოგიური) მიწათმოქმედება

მიწათმოქმედების ამ მეთოდის ძირითადი მიზანი და აზრია ნატურალური ბოსტნეულისა და ხილის მიღება, რომლებიც სრულიად თავისუფალია ყოველგვარი „ქიმიისგან“.

**ძირითადი მიზანია ასევე:** ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება. ორგანული მიწათმოქმედების იდეოლოგია ის არის, რომ კი არ გადავაკეთოთ ბუნება, არამედ დავეხმაროთ მას, ამიტომ ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა ხდება აგროტექნიკური ხერხებისა და ნატურალური საშუალებების ხარჯზე. იქნება ეს ორგანული სასუქები, სიდერაცია, ბიოჰუმუსი, ბიოპრეპარატები და ა.შ.

**ამასთანავე, არსებობს კითხვები:**

**1.** შეიძლება თუ არა, ამ მიმართულების გამოყენებით გადაწყდეს არსებული ეკოლოგიური პრობლემები?

**2.** შეუძლია თუ არა ორგანულ მიწათმოქმედებას გახდეს ტრადიციული მიწათმოქმედების რეალური ალტერნატივე, ე.ი. წარმატებით გადაწყვიტოს პლანეტის მზარდი მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა ხარისხიანი, ჯანსაღი საკვები პროდუქტებით?

**ორივე კითხვაზე პასუხი უარყოფითია.**

**პასუხი პირველ კითხვაზე:** არსებული ინფორმაციით, გარემოს მრავალი სახის დამაბინძურებლებიდან სოფლის მეურნეობის წილზე მოდის 4-5%; ყველაზე მეტია ტექნოგენური, ტრანსპორტით, წიაღისეულის მოპოვებით, ნავთობპროდუქტებით და ა.შ. დაბინძურება.

სოფლის მეურნეობაში მთავარ დამაბინძურებლად ითვლება მინერალური სასუქებისა და პესტიციდების გამოყენება. თუ მკაცრად დავიცავთ მინერალური სასუქების გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებულ რეგლამენტს, გარემოზე მათი ნეგატიური ზეგავლენა მინიმალური იქნება.



მიწა — ჩვენი მარჩენალი

**პასუხი მეორე კითხვაზე:**

ორგანული მიწათმოქმედების ნაკლია:

* ს/ს კულტურების მოსავლის შედარებით დაბალი დონე (არსებობს მოსავლის ჭერი, ზღვარი, რომლის გადალახვაც ორგანული სასუქებით შეუძლებელია).

* მსოფლიოში არასაკმარისი რაოდენობითაა ძირითადი ორგანული სასუქი — ნაკელი. საერთაშორისო ექსპერტების აზრით, 6 მილიარდი სული საქონელი უნდა არსებობდეს, მსოფლიოში ორგანული სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფილი რომ იყოს ნაკელით; მაშინ, როცა, 2009 წლის მონაცემებით, მსოფლიოში 1,6 მილიარდი სული საქონელი იყო.

* გენეტიკურად თუ ნიადაგში მცირეა რომელიმე საკვები ელემენტი, დაბალი იქნება მისი შემცველობა ნაკელშიც.

* თუ ნიადაგი დაბინძურებულია, მაგალითად, მძიმე მეტალებით, იგი გადადის ნაკელშიც და კვლავ უბრუნდება ნიადაგს.

* ნაკელის შორ მანძილზე გადაზიდვა არარენტაბელურია.

* ნაკელით ნიადაგს არ უბრუნდება მარცვლის აზოტი, ფოსფორი და კალიუმი, მარცვლით გადის მარცვლეულის მიერ გამოტანილი ფოსფორის ორი მესამედი, აზოტის — სამი მეხუთედი და კალიუმის — მხოლოდ ერთი მეშვიდედი.

* მინესოტის უნივერსიტეტის მეცნიერთა გამოკვლევებით, ორგანულ მინდვრებზე მოყვანილი ბოსტნეულისგან სალმონელოზით დაავადების ალბათობა სამ-ხუთჯერ მაღალია ტრადიციული წესით მიღებულ ბოსტნეულთან შედარებით, რადგან ორგანულ მეურნეობაში განოყიერებისთვის გამოყენებული ნაკელი ითვლება ხელსაყრელ არედ დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების გამრავლებისთვის.

* ორგანული პროდუქტების წარმოებაზე გადასვლა არ არის რეკომენდებული განვითარებადი ქვეყნებისთვის; მოსახლეობის რაოდენობის მუდმივი მატება მოითხოვს ასეთ ქვეყნებში ორგანული სოფლის მეურნეობის იდეოლოგიაზე უარის თქმას და უფრო პრაგმატული მეთოდებით (ტექნოლოგიით) სარგებლობას.

აღნიშნული ნაკლოვანებების გამო არ ვართ დაზღვეული, რომ მიღებული იქნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით;

**მიწათმოქმედების ეს ორი მიმართულება არ გამორიცხავს ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე პერიოდში ორივეს აქვს არსებობის უფლება, ორივეს განვითარება აუცილებელია. ვფიქრობ, დრო და ბაზარი გამოავლენს მათგან უპირატესს.**

**ფერმერებს, მინდა, ვურჩიო, მხარი დაუჭირონ მიწათმოქმედების რაციონალურ სისტემას, რომელიც გულისხმობს:**

*** ნაკელისა და სხვა ორგანული საშუალებების არსებული რესურსების სრულად გამოყენების პირობებში ორგანული მიწათმოქმედების მაქსიმალურად შესაძლო მასშტაბით განვითარებას და ამის საფუძველზე, მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობით ყოველგვარი „ქიმიისგან“ თავისუფალი ნატურალური, ჯანსაღი პროდუქციის წარმოებას. კარგი იქნება, თუ ასეთი პროდუქციის წარმოება საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთლიანი მოცულობის 20-30 პროცენტს მიაღწევს.**

***არსებული რეალობიდან გამომდინარე, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გამოსაკვებად, ასევე, მხარდასაჭერია ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარება. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მილიონობით ჩატარებული ცდები და დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება სწორედ აღნიშნული მოსაზრების დადასტურებაა.**

**ჩვენმა ქვეყანამ უპირველეს მიზნად უნდა დაისახოს უახლოეს 4-5 წელიწადში ადგილობრივი წარმოების სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფა.**

საერთაშორისო ექსპერტების პროგნოზით, უახლოეს სამ ათეულ წელიწადში მსოფლიოს მოსახლეობა 3 მილიარდით მოიმატებს და ამ პერიოდში მოსალოდნელია მწვავე სასურსათო კრიზისი; გულუბრყვილობა იქნება იმის დაშვება, რომ მსოფლიოს რომელიმე ერთ რეგიონში არსებული სასურსათო კრიზისი გავლენას არ იქონიებს დანარჩენ რეგიონებზე. გამომდინარე აღნიშნულიდან, **დღეს მსოფლიოში პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ცდილობს, მნიშვნელოვნად გაზარდოს სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი წარმოება და შეძლებისდაგვარად მოახერხოს საკუთარი მოსახლეობის უზრუნველყოფა ადგილობრივი წარმოების პროდუქციით. კარგი იქნება, თუ ჩვენი ქვეყანაც ჩაერთვება ამ პროცესში და დავიწყებთ მოძრაობას დევიზით „მივირთმევთ ადგილობრივს“, მით უმეტეს, ჩვენი მიწის, წყლის რესურსების, კლიმატური პირობებისა და, რაც მთავარია, სამეცნიერო პოტენციალის, ჩვენი მეურნეების — ფერმერი იქნება თუ გლეხი — გამოცდილების გათვალისწინებით, შეგვიძლია არა მხოლოდ საკუთარი თავის გამოკვება, არამედ, როგორც ინტენსიური, ისე ორგანული სოფლის მეურნეობის წარმოების პირობებში, გავხდეთ ჯანმრთელი, ეკოლოგიურად სუფთა, ხარისხიანი კვების პროდუქტების ექსპორტიორი ქვეყანა.**

**უპირველესი მიზანი უნდა იყოს ჩვენი უმთავრესი სიმდიდრის, ჩვენი მასაზრდოებელი ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლება. მიმაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება უნდა ეყრდნობოდეს ნიადაგდაცვით და რესურსდამზოგ მიწათმოქმედებას, რომლის ძირითადი პრინციპებია: ნიადაგის ნულოვანი ან მინიმალური დამუშავება. თესლბრუნვების დივერსიფიკაცია; სიდერაცია; ნიადაგის ზედაპირის მუდმივად დაფარვა ორგანული მასით — მცენარეულობით, ან მისი ნარჩენებით — მულჩის სახით.**

**დღეს მსოფლიოში პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ცდილობს, მნიშვნელოვნად გაზარდოს სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი წარმოება და შეძლებისდაგვარად მოახერხოს საკუთარი მოსახლეობის უზრუნველყოფა ადგილობრივი წარმოების პროდუქციით.
კარგი იქნება, თუ ჩვენი ქვეყანაც ჩაერთვება ამ პროცესში და დავიწყებთ მოძრაობას დევიზით — «მივირთმევთ ადგილობრივს»**

**რთული პერიოდია ემოციური და მგრძნობიარე ადამიანებისთვის, განსაკუთრებით — ქალებისა და ბავშვებისთვის. ყურადღებით მართეთ ავტომობილი. წარმატებებს მიაღწევენ ვერძისა და თევზების ნიშნებით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**26 ოქტ. - 1 ნოემბ. ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

სასიკეთო პერიოდია მოლაპარაკებების გასამართავად და ხელშეკრულებების გასაფორმებლად. თავი აარიდეთ კოლეგების გაკრიტიკებას, რადგან მათი მხარდაჭერა დაგჭირდებათ ხელმძღვანელობის დავალებების შესასრულებლად.

მოერიდეთ აზარტულ თამაშებსა და საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობას. შესაძლოა, დახმარება გთხოვოთ ახლობელმა ადამიანმა და უარს ნუ ეტყვით — სიკეთე ათმაგად დაგიბრუნდებათ.

მარტოხელა ვერძებს ელით ბობოქარი სასიყვარულო თავგადასავალი საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან.

მაღალია ტრავმირების ალბათობა — ყურადღებით მართეთ ავტომობილი!

**დადებითი დღე: 29 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 31 ოქტომბერი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

ბევრ ახლობელს დასჭირდება თქვენი დახმარება და უარს ვერ ეტყვით, მაგრამ თქვენი საქმეებიც არ უნდა მიატოვოთ უყურადღებოდ. გაგიჩნდებათ ახალი იდეა, რომლის განხორციელებამაც შეიძლება საკმაო ფინანსური მოგება მოგიტანოთ.

მარტოხელა კირჩხიბები ამ პერიოდში ვერ შეძლებენ იმ ადამიანის გულის მოგებას, რომელთან ურთიერთობის გაღრმავებაზეც, კარგა ხანია, ოცნებობენ, მიზეზი გრძნობის გამოხატვის პრობლემა იქნება.

თუ გულის რომელიმე დაავადება გაწუხებთ, აუცილებლად ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები და შეეცადეთ, გაიმყაროთ იმუნიტეტი.

**დადებითი დღე: 1 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 27 ოქტომბერი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

შეცადეთ, ღრმად ჩასწვდეთ თქვენ წინაშე არსებულ ყველა პრობლემას და ისე იმოქმედოთ, სხვაგვარად არაფერი გამოგივათ. თუ შეატყობთ, რომ საქმეებს ვერ უმკლავდებით, დასახმარებლად ახლობლებს მიმართეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მოსალოდნელია როგორც სასიამოვნო სიურპრიზი, ასევე, უთანხმოებაც, რომელიც გამოწვეული იქნება თქვენი წინდაუხედავი საქციელით.

დაიცავით კვებისა და ძილის რეჟიმი.

**დადებითი დღე: 31 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 27 ოქტომბერი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

ამ პერიოდში მგრძნობიარე იქნებით და ემოციების ამოფრქვევამ ახლობლებთან და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში უთანხმოება თუ არ გამოიწვია, შეიძლება პრობლემები შეგიქმნათ კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის უმცროს წევრებს. დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში.

მაღალია ტრავმირების ალბათობა. გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებასა და ავტომობილის მართვისას.

**დადებითი დღე: 27 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 30 ოქტომბერი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

დაღლილობის გამო, შესაძლოა, თავი შეუძლოდ იგრძნოთ. და ეს გასაკვირი არ იქნება, რადგან ბევრ დროსა და ენერგიას დახარჯავთ საქმეების შესრულებაზე. კარგი იქნება, თუ პაუზას აიღებთ და სულს მოითქვამთ. საყვარელი ადამიანი მხარში ამოგიდგებათ და შეეცდება, ყველა პრობლემის — სამსახურებრივი თუ საყოფაცხოვრებო — მოგვარებაში დაგეხმაროს.

მაღალია გაცივებისა და სასუნთქი გზების დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 1 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 ოქტომბერი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

მიუხედავად იმისა, რომ პრობლემების მოგვარება ძალიან გაგიჭირდებათ, შეეცადეთ, დადებითი განწყობა შეინარჩუნოთ, რადგან მალე დაიწყება სასიკეთო პერიოდი, როდესაც ბევრი ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებთ.

დაქორწინებულმა ლომებმა, შესაძლოა, თავიდან ვერ აიცილონ კონფლიქტი, რომლის მიზეზიც ეჭვიანობა იქნება, თანაც — უსაფუძვლო.

მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად. კარგი იქნება, თუ დაკავდებით სპორტის რომელიმე სახეობით, მაგალითად, ცურვით, ან შეასრულებთ სუნთქვით სავარჯიშოებს.

**დადებითი დღე: 30 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 ოქტომბერი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

ინტენსიური და დაძაბული პერიოდია. შეხვედრებზე, მოგზაურობაზე აგრეთვე, ახალ იდეებსა და სამომავლო გეგმების განხორციელებაზე სამსჯელოდ ბევრი დროისა და ენერგიის დახარჯვა მოგიწევთ, მაგრამ საბოლოოდ კმაყოფილი დარჩებით.

ნუ შეეცდებით საყვარელი ადამიანის გაკრიტიკებას წვრილმანების გამო — ეს უთანხმოების მეტს არაფერს მოგიტანთ.

მაღალია შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 1 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 29 ოქტომბერი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

მოგეცემათ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი, თანაც საკმაოდ მოულოდნელი გზით. მთავარია, აქტიურად იმოქმედოთ.

28 ოქტომბერს წინდაუხედავად ნათქვამმა თქვენმა სიტყვებმა ან საქციელმა შეიძლება ახლობელი ადამიანი გაანაწყენოს, ამიტომ, ვიდრე რამეს იტყვით, კარგად დაფიქრდით.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ.

მაღალია თირკმლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 27 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 30 ოქტომბერი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

ამბიციებისა და იდეების რეალიზაციის პერიოდია. იაქტიურეთ და მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. თქვენთვის ახლა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება განცდა იმისა, რომ გარშემო მყოფები გაფასებენ, უყვარხართ და პატივისცემით არიან გამსჭვალულნი.

მარტოხელა ტყუპებს გამოუჩნდებათ თაყვანისმცემელი, მაგრამ, სანამ ურთიერთობის გაღრმავებამდე მივა საქმე, კარგად უნდა დაფიქრდნენ, არის თუ არა ახალგაცნობილი პიროვნება ის, ვისაც ეძებდნენ.

თუ გულმკერდის არეში უსიამოვნო ჩხვლეტას იგრძნობთ, აუცილებლად მიდით ექიმთან და გადაიღეთ კარდიოგრამა.

**დადებითი დღე: 31 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 27 ოქტომბერი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

ეს პერიოდი იმაზე უფრო წარმატებული აღმოჩნდება, ვიდრე ფიქრობდით. შეეცადეთ, ყველა დაწყებული საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანოთ.

რთული გადაწყვეტილების მიღების წინ რჩევა უფროს და გამოცდილ ადამიანებს ჰკითხეთ.

მარტოხელა ქალწულები გაიცნობენ საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელ წარმომადგენელს და შეეცდებიან მასთან ურთიერთობის გაღრმავებას.

მაღალია ვირუსული დაავადების გამწვავების ალბათობა, შეეცადეთ, ვიტამინებით მდიდარი საკვებით გაიმყაროთ იმუნიტეტი.

**დადებითი დღე: 1 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 30 ოქტომბერი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

დადებითი პერიოდია შეხვედრებისა და საჯარო გამოსვლებისთვის.

მოგიწევთ მუხლჩაუხრელი მუშაობა ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. გაითვალისწინეთ, რომ პრობლემების გადაჭრა მარტო მოგიწევთ — ახლობლები და კოლეგები ვერაფერში დაგეხმარებიან.

საყვარელი ადამიანის მიმართ გამოიჩინეთ მეტი მზრუნველობა — ახლა მას თქვენი დახმარება ძალიან სჭირდება.

უარი თქვით ცხიმიან და ცხარე საკვებზე, აგრეთვე, ალკოჰოლზე და შეეცადეთ მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 29 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 27 ოქტომბერი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

მზად იყავით მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების გასაფორმებლად, პარტნიორებისთვის სათქმელი თითოეული სიტყვა კი კარგად აწონ-დაწონეთ.

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ საკითხებზე მსჯელობისას მის თვალსაზრისს გაითვალისწინებთ.

მაღალია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 28 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 31 ოქტომბერი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



# სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მთვარის კალენდრის მიხედვით

**ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ მთვარის კალენდარს მიწის დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. მცენარეების დარგვისა და მოსავლის აღების, ხვნა-თესვის დაწყებისა და სახლის აშენების დროსაც კი მთვარის კალენდრის მიხედვით განსაზღვრავდნენ. გთავაზობთ 26 ოქტომბერი—1 ნოემბრის მთვარის კალენდარს, რომლის მიხედვითაც შეიტყობთ, რომელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება სჯობს ამ პერიოდში.**

**26 ოქტომბერი** — რეკომენდებულია ოთახისა და სათბურის მცენარეების მოვლა: მორწყვა, ნიადაგის გაფხვიერება;

**27 ოქტომბერი** — გაასუფთავეთ მიწა ფოთლებისა და მცენარეების ნარჩენებისგან;

**28 ოქტომბერი** — ამ დღეს შეიძლება მცენარეების დარგვა;

**29 ოქტომბერი** — დასაშვებია დეკორატიული ბუჩქებისა და ხეების გადარგვა;

**30 ოქტომბერი** — ახალმთვარეობის პერიოდში, სჯობს, მიწას არ შეეხოთ — არ გააფხვიეროთ და მორწყოთ. არც მცენარეების გადარგვაა რეკომენდებული, განსაკუთრებით ისეთის, რომელთაც ფესვების სუსტი სისტემა აქვს.

**31 ოქტომბერი** — ჯერ კიდევ დიდია ახალი მთვარის გავლენა, ამიტომ სჯობს, დაისვენოთ და არაფერი მოიმოქმედოთ.

**1 ნოემბერი** — მიზანშეწონილია მცენარეების მორწყვა და ნიადაგის გაფხვიერება. რეკომენდებული არ არის ოთახის მცენარეების გადარგვა, განსაკუთრებით ისეთის, რომელსაც ფესვების სუსტი სისტემა აქვს.



## «ამერიკან თინკერი»:

# ჰილარი კლინტონი — ეშმაკის ადვოკატი

**„ამერიკან თინკერი“ ბრალს სდებს აშშ-ის პრეზიდენტობის დემოკრატების კანდიდატს, რომ იგი მთელი თავისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში უგულებელყოფდა სიმართლეს. ფილმი „ეშმაკის ადვოკატი“, რომელშიც ალ პაჩინო მთავარ როლს თამაშობს, შესანიშნავი ანალოგიაა ჰილარი კლინტონის დასახასიათებლად.**

1975 წელს ჰილარი კლინტონი დაინიშნა 41 წლის მამაკაცის ინტერესების დამცველად, რომელსაც ბრალად ჰქონდა წაყენებული 13 წლის გოგონას გაუპატიურება. კლინტონმა სასამართლოს მოსთხოვა, ჩაეტარებინა დაზარალებულის ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რასაც ადასტურებდა იმით, რომ გოგონა ფანტაზიორობდა მამაკაცებთან ურთიერთობის წარმოდგენით. იგი ეჭვს გამოთქვამდა დაზარალებულის ჩვენებების სისწორის გამო.

ადვოკატის მცდელობის შედეგად ბრალდებულმა ციხეში ერთ წელიწადზე ნაკლები გაატარა. არადა, **ჰილარი კლინტონმა იცოდა, რომ მოძალადემ მართლა ჩაიდინა დანაშაული. მას შეეძლო და თავი უნდა აერიდებინა ასეთი კაცის ადვოკატობისთვის, რადგან ყოველთვის წარმოგვიდგებოდა, როგორც ქალებისა და ბავშვების მხურვალე და მოუსყიდველი დამცველი, მაგრამ გადაწყვიტა, დაეცვა მოძალადე. შემდეგ იგი ასეთივე მონდომებით იცავდა თავის ქმარს — ბილ კლინტონს, რომელსაც ბრალად წაუყენეს ხუანიტა ბროუდრიკის გაუპატიურება. იგი ცრუობდა ბენღაზის შესახებ და ჩირქს სცხებდა იქ დაღუპული ამერიკელების ოჯახებს.**

თავისი ელექტრონული ფოსტის გამო ატეხილი სკანდალებისას მან წაშალა წერილები, რისი უფლებაც არ ჰქონდა, შემდეგ კი ემუქრებოდა კონგრესმენებს, რომლებმაც გაბედეს და ამხილეს იგი. ჰილარიმ გამოიყენა სახელმწიფო დეპარტამენტი კლინტონის ფონდში სახსრების მისაზიდად. შიგადაშიგ ასწრებდა ვერცხლეულისა და ავეჯის მოპარვას თეთრი სახლიდან და სახელმწიფო დეპარტამენტიდან.

ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ცრუობდა, ემუქრებოდა, სპობდა სამხილებს და თავს არიდებდა ჭეშმარიტებას. იგი იღებდა ფულს, იხვეჭდა სახელსა და ძალაუფლებას; არასოდეს ამბობდა სიმართლეს და თავს არიდებდა პასუხისმგებლობას. მან ამჯობინა, ემართა ჯოჯოხეთში და არ ემსახურა ზეციურ სამყაროში.



# ანაკლიის მშენებარე პორტის ტერიტორიაზე ადრეანტიკური ხანის ნაქალაქარი აღმოაჩინეს

**ანაკლიაში, მშენებარე პორტის ტერიტორიაზე, მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია კულტურის ნიმუშების ორი ფენა, რომელიც კოლხურ ნამოსახლარს წარმოადგენს და ჩვ. წ. აღ-მდე VI-IV საუკუნეებით თარიღდება. ეს ინფორმაცია რადიო „ათინათმა“ გაავრცელა.**

არქეოლოგიური კვლევა-ძიება ე.წ. ლაზიკის იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა. ექსპედიციას არქეოლოგი **რევაზ პაპუაშვილი** ხელმძღვანელობდა. ზუგდიდის გამგეობის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსის — **ლაშა ჯიქიას** ინფორმაციით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი 4 ჰექტარზეა გადაჭიმული. ზუგდიდის გამგეობაში ამბობენ, რომ არქეოლოგიური აღმოჩენით „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ წარმომადგენლები დაინტერესდნენ. მათივე თქმით, პროექტი უკვე მზადდება და ანაკლიაში გათხრები მომდევნო წლის ზაფხულში განახლდება.

## «აზიის სიახლეების არხი»:

# ფილიპინების პრეზიდენტმა კვლავ შეურაცხყო ობამა და დაემშვიდობა აშშ-ს



**ფილიპინების პრეზიდენტმა როდრიგო დუტერტემ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტისას განაცხადა, რომ მისი ქვეყნისთვის დადგა დრო, აშშ-ს დაემშვიდობოს.**

**„თქვენი (აშშ-ის) ჩვენს ქვეყანაში ყოფნა თქვენთვისვე იყო მომგებიანი. ახლა კი დადგა დრო, დაგემშვიდობოთ, ჩემო მეგობრებო“.**

ფილიპინების მეთაურმა აღნიშნა, რომ აღარ სურს, კვლავაც მისდიოს დასავლეთის პოლიტიკურ კურსს და განზრახული აქვს, შეცვალოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ვექტორი. ამასთანავე, აშშ-ის პრეზიდენტ ობამას, ჩვეულებისამებრ, „შობელძაღლი“ უწოდა და თქვა, რომ აღარასოდეს გაემგზავრება შეერთებულ შტატებში.

წინა დღით ფილიპინებში განაცხადეს, რომ შეერთებული შტატების სამხედრო დახმარების გარეშეც შეძლებენ თავიანთი ქვეყნის დაცვას.

დუტერტეს ადრეც შეუმკია ობამა უცენზურო სიტყვებით, რაზეც პრეზიდენტს უპასუხია, რომ ეს კაცი „კოლორიტული ბიჭია“.

# ქართული ღვინის კულტურას პოლონეთში შეასწავლიან

**ქართული ღვინის კულტურასა და ისტორიას პოლონეთის ღვინის აკადემიის სკოლაში შეასწავლიან.**



აღნიშნულის თაობაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და პოლონეთის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ფონდს შორის (Galicja Vitis) გაფორმდა.

მემორანდუმი ითვალისწინებს ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობას პოლონეთში სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებისა და საგანმანათლებლო აქტივობების მეშვეობით. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **გიორგი სამანიშვილი** იმედოვნებს, რომ აღნიშნული მემორანდუმი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პოლონეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და ექსპორტის გაზრდას.

პოლონეთი ქართული ღვინის საექსპორტო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენს.

# ვენესუელის პარლამენტი პრეზიდენტს სახელმწიფო გადატრიალებაში ადანაშაულებს

**ვენესუელაში საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით მასშტაბური საპროტესტო აქცია გაიმართა. აქცია ოპოზიციის დაპატიმრებული ლიდერების ცოლების მიერ იყო ორგანიზებული.**

მანიფესტანტებმა ქალაქის ცენტრალური ავტომაგისტრალი გადაკეტეს. ოპოზიცია ვენესუელაში მას შემდეგ გააქტიურდა, რაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება შეაჩერა. ამის მიზეზად კი ხელმოწერების გაყალბება დაასახელა. ნაციონალურმა კონგრესმა ხმების უმრავლესობით პრეზიდენტ **ნიკოლას მადუროს** ქმედება სახელმწიფო გადატრიალებად მიიჩნია. დეპუტატების თქმით, პრეზიდენტმა მისი იმპიჩმენტის შესახებ დაგეგმილი რეფერენდუმი დაბლოკა. მადუროს გადაყენების მოთხოვნით ხელმოწერების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო. ნიკოლას მადუროს ვენესუელის კონსტიტუციის დაარღვევაში ადანაშაულებენ და საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.



ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს საუდის არაბეთში ვიზიტით მყოფი ნიკოლას მადურო გამოეხმაურა. მისი თქმით, ოპოზიცია ძალაუფლების ხელში ჩაგდებას არაკონსტიტუციური მეთოდებით ცდილობს. პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნით სტუდენტებმა კარაკასში მასშტაბური საპროტესტო მსვლელობები მოაწყვეს. აქცია პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა, რომლის შედეგადაც 30-მდე ადამიანი დაშავდა. რამდენიმეს მდგომარეობა კრიტიკულია. პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხზე საყოველთაო რეფერენდუმის გამართვა ვენესუელაში 26 ოქტრომბრისთვის იგეგმებოდა, მაგრამ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეფერენდუმი დაბლოკა.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**





http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894